

675-23
2003


ISSN 1512-0961



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
THE GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

გ ა ვ ბ ე
PROCEEDINGS
ИЗВЕСТИЯ

ეკონომიკის სერია
ECONOMIC SERIES
СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ



ტომი
VOLUME 11
ТОМ

2003 № 3

თბილისი * TBILISI * ТБИЛИСИ

მთავარი ობიექტორი

ვ.პაპავა

სარედაქციო კოლეგია

რ. აბესაძე, თ. აქუბარძია (პასუხისმგებელი მდივანი), თ. ბერიძე, პ. გომრგაძე, მ. დაბრიუ-
სეი (პოლონეთი), ა. თეთრაული, მ. ჯაულია, ა. ეურატაშვილი, ა. ერებისვევი (უკრაინა), კ.
ისმაილივი (აზერბაიჯანი), ვ. მაუ (რუსეთი) ი. მესხია, ქ. მიკულისეი (რუსეთი), ჯ.
ო'ბრაიენი (აშშ), ნ. პაიჭაძე, კ. პოტელი (ბელგია), ზ. სამედ-ზადე (აზერბაიჯანი), ა. ხი-
ლაგაძე, შ. ტაბატა (იაპონია), ჯ. ტედს्टრომი (აშშ), ა. ფილიპენკო (უკრაინა), თ. ჩიკავაძე,
ლ. ჩიკავაძე, გ. წერეთელი (მთავარი ობიექტორის მოადგილე), ნ. ჭითანავა, მ. ჯიბუტი, ლ.
ჟორდანაშვილი.

EDITOR-IN-CHIEF

V. PAPAVA

EDITORIAL BOARD

R. Abesadze, T. Akubardia, T. Beridze, L. Chikava, T. Chikvaidze, N. Chitanava, A. Filipenko (The Ukraine), H. Giorgadze, M. Djibuti, M. Dabrowski (Poland), E. Ismailov (Azerbaijan), M. Kakulia, L. Korganashvili, A. Kuratashvili, A. Kredisov (The Ukraine), V. Mau (Russia), I. Meskhia, K. Mikulski (Russia), J. O'Brien (USA), N. Paichadze, C. Potelle (Belgium) Z. Samed-Zade (Azerbaijan), A. Silagadze, Sh. Tabata (Japan), J. Tedstrom (USA), A. Tetrauli, G. Tsereteli (Deputy Editor in-Chief).

ГЛАВНЫЙ РЕДАКТОР

В. ПАПАВА

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Р. Абесадзе, Т. Акубардия, Т. Беридзе, Г. Гиоргадзе, М. Домбровски (Польша), М. Джубути,
М. Каулия, А. Кураташвили, Л. Корганашивили, А. Кредисов (Украина), Э. Исмаилов (Азер-
байджан), В. Май (Россия), Я. Месхия, К. Микульский (Россия), Дж. О'Брайен (США),
Н. Паичадзе, К. Потель (Бельгия), З. Самед-заде (Азербайджан), А. Силагадзе, Ш. Табата
(Япония), Дж. Тедстрем (США), А. Тетраули, А. Филипенко (Украина), Г. Церетели (зам.
главного редактора), Л. Чикава, Т. Чиквайдзе, Н. Читанава.

380007, თბილისი, ქოთოვის 14, საქართველოს მუნიციპალიტეტის ადამიერი
3. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
ტელ: (995-32) 996-853, ფაქს: (995-32) 998-389

P. Gugushvili Institute of Economics, The Georgian Academy of Sciences,
14, Kikodze street, Tbilisi, 380007, Georgia
Tel: (995-32) 996-853, Fax: (995-32)998-389

Институт Экономики им. П. Гугушвили АН Грузии,
ул. Кикодзе, 14, Тбилиси, 380007, Грузия
тел (995-32) 996-853, факс (995-32) 998-389

E-mail: papavladinier@posta.ge; papavavladrinier@yahoo.com
<http://georgia-gateway.org/matsne/>



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
THE GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

გ ა ვ ხ ხ
PROCEEDINGS
ИЗВЕСТИЯ

ეკონომიკის სერია
ECONOMIC SERIES
СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ

ტომი
VOLUME 11 № 3
ТОМ

ქურნალი დაარსდა 1992 წლის ოქტომბერში
The journal is established in October, 1992
Журнал основан в октябре 1992 г

გამოდის წელიწადში 4-ჯერ
The journal is published 4 times a year
Выходит 4 раза в год

თბილისი “მეცნიერება”
TBILISI “METSNIEREBA”
ТБИЛИСИ “МЕЦНИЕРЕБА”
2003



806919760

CONTENTS

Vladimer Papava, Vepkhia Chocheli	
Formation of "The New Three-Poles World Currency System" and Georgia	146
Mirian Murjikneli	
Budget and Health Reform in Transitional Economy	156
Anzor Abralava	
Sustainable and Safe Development of National Economy in the Epoch of Globalization	169
Jakhangir Gadjev	
Conceptual Foundations for the Formation of the Bank of National Development	188
Iza Natelauri	
Foreign Trade Models and their Role in Achieving Macroeconomic Equilibrium	205
Vajha Kakabadze	
Nontariff Regulation of Foreign Trade	217
Natalia Achelashvili, Marina Achelashvili	
Peculiarities of Economic and Ecological Policy in Nature Management of Georgia	232
Lily Gvenetadze	
Some Problems of Budget Management in the Post-Communist Countries (Lessons from Georgia)	246
Giorgi Shikhashvili	
Biblical Perception of National Conception of Social and Economic Development and Tax and Finance Activities	274

СОДЕРЖАНИЕ

Владимир Папава, Венхия Чочели	147
формирование «новой всемирной трехполюсной валютной системы» и Грузия	
Мирини Мурджикнели	157
Бюджет и реформа здравоохранения Грузии в условиях перехода к рыночной экономике	
Аизор Абрагалава	170
Безопасное и устойчивое развитие национального хозяйства в эпоху глобализации	
Джакхангир Гаджиев	172
Концептуальные основы формирования банка общенационального развития	
Иза Нателлаури	206
Модели внешней торговли и их роль в достижении макроэкономического равновесия	
Важа Каракадзе	218
Нетарифное регулирование внешней торговли	
Наталия Ачелиашвили, Марина Ачелиашвили	219
Особенности экономической и экологической политики в области природопользования в Грузии	
Лили Гвенетадзе	247
Некоторые проблемы управления бюджета в пост-коммунистических странах (на примере Грузии)	
Георгий Шихцхвильи	
Библейское осмысление национальной концепции социально-экономического развития и налогово-финансовой деятельности	

“მსოფლიო ახალი სამარლუსიანი საგადუჭო სისტემის” ჩამოყალიბება და საძართველო

ვლადიმერ პაპავა

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი,
0108, თბილისი, ნიკოლაძის ქ. № 7

ვეფხია ჩოჩელი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი,
0107, თბილისი, ქიქოძის ქ. № 14
შემოვიდა: 2003 წლის 15 აგვისტოს

რეზიუმე. სტატიაში შეფასებულია უკანასკნელი ორი წლის
მანძილზე გაკეთებული ორი საკმაოდ სენსაციური პროგნოზი
აშშ დოლარის კრახის თაობაზე და ნაჩვენებია, რომ მოვლენე-
ბის ანალოგიური სცენარით განვითარება ნაკლებ სავარაუდოა.

დასაბუთებულია, რომ საერთოევროპული ვალუტის ევროს
შემოდებამ მსოფლიოში “ახალ სამპოლუსიან სავალუტო სის-
ტემას” ჩაუყარა საფუძველი, რომლის გამართულ ფუნქციონი-
რებაზე გლობალური ეკონომიკის სტაბილურობა დიდად იქნება
დამოკიდებული.

გამოკვლეულია ე. წ. “ახალი ეკონომიკის” არსი და დასა-
ბუთებულია, რომ ეკონომიკის ”ახალ” (ინფორმაციულ) და
”ძველ” (ტრადიციულ) სექტორებს შორის ზრდადი დისპროპორ-
ციების საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისის მაპროცეციუ-
ლელ მიზეზად განხილვა არამართებულია, რადგანაც “ახალი
ეკონომიკის პირობებში” ინფორმაციული ნაკადების მართვის
გაუმჯობესებამ და ახალი ტექნოლოგიების დანერგვით მარა-

გების უფრო ეფექტიანმა მართვამ, ეკონომიკური რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენება გახადა შესაძლებელი, რაც მწარ-მოებლურობის ზრდისა და მაღალი კონკურენციის პირობებში ინფლაციის დაბალ დონეს განაპირობებს.

ნაჩვენებია, რომ საქართველოს, როგორც “მცირე ეკონომიკის” ქვეყანას, გლობალურ ეკონომიკურ პროცესებზე რაიმე არ სებითი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია, თუმცა მეტ-ნაკლებად გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით გარკვეული სარგებელიც მიღებაც არ არის გამორიცხული, რომ არაუკარი ვთქვათ აშკარად უარყოფითი ეფექტების ზეგავლენის მინიმიზებაზე.

* * *

ოთვილი იძულებ


მსოფლიოში ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში პრაქტიკულად ნებისმიერ კონკრეტულ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესების გავლენის ხარისხი საერთაშორისო ეკონომიკაზე სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება. მით უფრო, როცა მსოფლიო საფინანსო სივრცე ელექტრონულ კაფშირებს ეფუძნება და ინფორმაციის, როგორც წარმოების ფაქტორის, გავრცელება და გაცვლა ავტომატურ რეჟიმში ხორციელდება.

ამ თვალსაზრისით ნებისმიერი ეკონომიკური პროგნოზის საერთაშორისო რეზონანსი, თუნდაც იგი ერთ კონკრეტულ ქვეყანას შეეხებოდეს, მნიშვნელოვანად იზრდება.

ამჯერად ჩვენ განვიხილავთ ორ სენსაციურ პროგნოზს, რომელიც უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გაკეთდა და როგორც აშშ დოლარის, ისე საერთაშორისო სავალუტო სისტემის პერსპექტივას ძალიან “მუქ ფერებში” ხატავს [1; 2].

რესი ექსპერტები მიხეილ ხაზინი და ოლეგ გრიგორიევი ამტკიცებენ, რომ აშშ დოლარის კრახი ახლო მომავალში გარდაუვალია [1].

მათი აზრით, გლობალური კრიზისის მაპროვოცირებელ მიზეზად ეკონომიკის “ახალ” (ინფორმაციულ) და “ძველ” (ტრა-



დიციულ, მაგალითად, სამრეწველო) სექტორებს შორის ზრდა-
დი დისპროპორციები განიხილება; კერძოდ “ძველ ეკონომიკა-
ში” მწარმოებლურობის ზრდა და შემოსავლიანობა შედარებით
მოკრძალებულ და იმავდროულად სტაბილურ დონეზე დარჩა,
ხოლო “ახალ ეკონომიკაში” კი – მწარმოებლურობისა და შე-
მოსავლიანობის ზრდა თვეში 10 პროცენტამდეც ადის [1, c. 16].

ნიშანდობლივია, რომ არაერთი ამერიკელი თეორეტიკოსი
სამეცნიერო ბრუნვაში “ახალი ეკონომიკის” ცნების მიზანშეწო-
ნილობასთან დაკავშირებით სერიოზულ ეჭვს გამოთქვამდა [3,
c. 22]. აღსანიშნავია, რომ ჯერ-ჯერობით თეორიული საკითხი
იმის შესახებ “ახალი ეკონომიკა” “პოსტინდუსტრიული” საზო-
გადოების “წინ წაწეული” ფაზაა, თუ განვითარების სრულიად
ახალი ეტაპი – “ზეპოსტინდუსტრიული” სტადიაა, გადაწყვეტი-
ლი არ არის [3, c. 20].

ამის მიუხედავად, რამდენიმე სიტყვით ამ ე. წ. “ახალი
ეკონომიკის” არსი მაინც შევეცადოთ ჩამოვაყალიბოთ [1, cc. 3-5].

“ახალი ეკონომიკის” (მაგალითად, ინტერნეტ-ტექნოლოგიუ-
ბი) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება ისაა, რომ მისი რეალი-
ზაციისათვის ძალზედ დიდი პირველადი ინვესტიციებია საჭი-
რო, რომელთა მომგებიანობა პროექტის განვითარების მხოლოდ
ძალიან დიდი მაშტაბების პირობებში მიიღწევა. მომგებიანობის
საწყისი დონიდან მოყოლებული ინვესტიციების უმნიშვნელო
გაზრდაც კი მოგების სერიოზულ ზრდას გამოიწვევს.

ბილ გეითსის – კომპიუტერული ბიზნესის “ცოცხალი ლე-
გენდის” – შეფასებით, თუ ეკონომიკური განვითარების წინა
ეპოქები ხანმოკლე რევოლუციური ცვლილებებით გამიჯნული
სტაბილურობის ხანგრძლივი პერიოდებით ხასიათდებოდა, რა-
საც ევოლუციონისტები წყვეტად წონასწორობას უწოდებდნენ,
დღეს ელექტრონული ინფორმაცია ბიზნესის მუდმივად ცვლად
გარემოს ქმნის, რომელსაც ის წყვეტად ქარსს უწოდებს [4, c.
417].

საინტერესოა, რომ, თუ “ძველი ეკონომიკის” საქონელზე
ფასები მოთხოვნა-მიწოდებით განისაზღვრება, “ახალი ეკონომი-
კის” საქონელზე ფასს მომავალი მოგება განსაზღვრავს.

როგორც შედეგი, ახალი ეკონომიკა ძველი ეკონომიკისაგან განსხვავებული მოდელით ვითარდება, რომელმაც მიიღო სახელწოდება – ინკუსტიციური. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ საწყისი მნიშვნელოვანი დანახარჯები იმ ინკუსტორების მიერ ხორციელდება, რომლებიც უდიდეს მოგებებს შედარებით შორეულ მომავალში ელიან. ამასთანავე, “ახალი ეკონომიკის” კომპანიების აქციების ღირებულება საფონდო ბირჟებზე არა მიმდინარე შემოსავლებისა და გასავლების ბალანსიდან, არამედ მომავალი, გარკვეული გაგებით, “ვირტუალური” მოგებიდან განისაზღვრება [1, c. 19].

ავტორთა მტკიცებით, ასეთი სიტუაცია საფონდო ბაზრის სტაბილურობას აფერხებს, რადგანაც იგი ფინანსური პირამიდის ნიშნების მატარებელია და მისი მდგრადობა ფსიქოლოგიურ მიზეზებზეა დამყარებული.

მსგავს შეფასებას აშშ-ს საფონდო ბაზრის განვითარების შესახებ აკეთებენ სხვა რუსი ექსპერტებიც: ი. დორონინი, ვ. ზაგაშვილი და ვ. პრიპისნოვი [5, cc 3-4].

მათი აზრით “ე. წ. ზრდის კომპანიების” აქციების კურსის დაცემა გამოწვეულია:

– ჭარბი კაპიტალიზაციით. მაღალი ტექნოლოგიების კომპანიების წილი მთლიანი გაყიდვებისა და დასაქმების ნაწილში არ აღემატებოდა არასაფინანსო კომპანიების ანალოგიურ მაჩვენებლების 10 %-ს, მაშინ როცა აშშ-ს საფონდო ბაზრის კაპიტალიზაციაში მისი წილი შეადგენდა 36 %-ს.

– მოზიდული კაპიტალის არაფექტურის გამოყენებით. კურძოდ, აშშ-ს ინტერნეტ-კამპანიებმა 1995-1999 წლებში მოზიდული კაპიტალის 80 პროცენტამდე დაიხარჯა რეკლამაზე, აქციების პირველადი განთავსების მიზნით საინვესტიციო ბანკების დანახარჯების დასაფარავად და შეთავაზებული მომსახურების ღირებულების სუბსიდირების მიზნით.

– მაღალი ტექნოლოგიების აქციების ბაზარზე “აღმავლობის” სპეციალისტური ხასიათით, რამაც “ე. წ. ზრდის კამპანიების” გადაჭარბებული შეფასება გამოიწვია.

რამდენადაც “ახალი ეკონომიკის” აქტივების ამოსავალი ბაზა საქმაოდ საეჭვოა, საფონდო ბაზრის ზრდის ტემპების ნებისმიერმა არსებითმა შენელებამ, ფართომასშტაბიანი კრიზისი შეიძლება გამოიწვიოს.

გამოკვლევაში ხაზგასმულია, რომ, აშშ-ში აღმავლობის შემდეგ (70-იან წლები) უკრიზისო განვითარება, გამოწვეული იყო, ერთის მხრივ, სსრკ-ის დანგრევითა და აშშ-ის მიერ ყოფილი სსრკ-ის ეკონომიკურ სივრცეზე ჩამოყალიბებადი ახალი აუთვისებელი ბაზრების ექსპანსიით და, მეორეს მხრივ, “ახალი ეკონომიკის” შექმნით, რომელმაც ჭარბი ფინანსური რესურსები თავისეკენ “გადაქაჩა”. აშშ-ში კვლავ დაფიქსირდა 20-იანი წლების ფენომენი – სწრაფი ეკონომიკური ზრდა ინფლაციის გარეშე.

ავტორები ამერიკული სიტუაციის განსაკუთრებულობას აღიარებენ, რაც იმაში მდგომარეობს, რომ “ძველმა ეკონომიკამ” “ახალ ეკონომიკასთან” კრედიტების, ინვესტიციებისა და შრომის ბაზარებზე კონკურენტული ბრძოლის წაგება დაიწყო, რის გამოც წარმოების ფაქტორების რეალური დირექტულება გაიზარდა, რამაც თავის მხრივ. წარმოების ხარჯების ზრდაზე პპოვა ასახვა [1, c. 23].

ამდენად, “ძველი ეკონომიკის” შეფარდებითი რენტაბელობის განუხრელი შემცირება და მისი შედეგები გლობალური ეკონომიკური კრიზისის “გამშვებ” მექანიზმად განიხილება. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებლები ფასებს გაზრდიან, იმპორტიორებთან კონკურენტულ ბრძოლას წააგებენ, რაც იმპორტის ზრდასა და სავაჭრო ბალანსის დეფიციტის გაუარესებას გამოიწვევს; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მიწოდება დაბალი ფასებით განხორციელდება, მაშინ ადგილობრივი მწარმოებლები რეალური ზარალის საფრთხის წინაშე დადგებიან.

მოცემული სცენარის თანახმად “ახალი ეკონომიკის” საფინანსო მასშტაბების არსებითმა გაფართოებამ დაგროვების წილის შემცირება და მოხმარების ზრდა განაპირობა, რასაც საპროცენტო განაკვეთების ზრდასთან ერთად ინფლაციური პროცესების გამომწვევია.

მოვლენების ანალოგიური განვითარება იწინასწარმეტყველა ცნობილმა მიღიარდელმა და ფილანტროპმა ჯორჯ სოროსმა, რომლის თანახმადაც უახლოეს წლებში აშშ დოლარი თავისი დირებულების მესამედს დაკარგავს [2]. მისი აზრით მსოფლიოში აშშ ადმინისტრაციის მიმართ ეკონომიკის მართვის თვალსაზრისით ნდობა შეირყა.

ჯორჯ სოროსის განმარტებით აშშ დოლარის გაუფასურებას მსოფლიო ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა ექნება. ამასთან, აშშ-დან საბუღალტრო სკანდალების და კოორპორაციული დარღვევების გამო კაპიტალის გადინება გაიზრდება, რომლებსაც აშშ-ის უმსხვილეს კომპანიებში პქონდა ადგილი.

დაახლოებით იგივე პროგნოზს აკეთებენ “Merrill Lynch”-ის ექსპერტები, რომლებიც თვლიან, რომ ევროს კურსი 2003 წლის ბოლოს 1.25-ს მიაღწევს, ხოლო მათი კოლეგები “Gold Sachs”-იდან კი თავიანთ პროგნოზში უფრო შორს მიდიან და თვლიან 1 ევრო 1.35 აშშ დოლარი იქნება [6, c. 13].

ამ განცხადებების შემდეგ დებატებმა აშშ დოლარის მომავლისა და, საერთოდ, გლობალური ეკონომიკის თაობაზე ახალი ძალით იფეთქა.

მართალია, განხილულ პროგნოზებს შესაძლებელია ნაწილობრივ დავეთანხმოთ, თუმცა მოვლენების ასეთი დრამატული განვითარება და აშშ დოლარის ასეთი მნიშვნელოვანი გაუფასურება ნაკლებ მოსალოდნელი უნდა იყოს, რადგანაც იგი მსოფლიო სავალუტო სისტემას, და, აქედან გამომდინარე, მსოფლიო ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებას საფრთხეს შეუქმნიდა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ აშშ, იაპონია და ევროზონა მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის 45.3 პროცენტს აწარმოებს. მათზე მოდის აგრეთვე მსოფლიო იმპორტის 42.8 და ექსპორტის 40.9 პროცენტი [7, p. 13]. ამ ქვეყნებში სერიოზულმა ეკონომიკურმა რყევებმა შესაძლებელია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პროვოცირება გამოიწვიოს და იგი არ შედის არა მარტო ზემოაღნიშნული ქვეყნების, ისე სხვა ქვეყნების ინტერესებში.

გარდა ამისა, ერაყში სამშვიდობო ოპერაციის წარმატებულობას როგორც აშშ-ში, ისე მთელ მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე დადებითი გავლენა ექნება. კერძოდ, ენერგომატარებლებზე ფასების სტაბილური კლება დადებითად იმოქმედებს მოსახლეობის რეალურ შემოსავლებსა და კორპორაციების მოგებაზე. თუმცა, მეტ-ნაკლებად ფართომასშტაბიანი პარტიზანული მოძრაობის გაგრძელების შემთხვევაში ერაყი საინვესტიციო მიმზიდველობას დაკარგავს და ინვესტიციების მოზიდვა საკმაოდ გაჭირდება.

ამასთან, ის მოსაზრება, რომ აშშ-ის დოლარის კრახის მიზეზი ახალი ტექნოლოგიების განვითარებაა, მნელი გასაზიარებელია. კერძოდ, ძირითადი არგუმენტი “ახალი ეკონომიკის” სასარგებლოდ ისაა, რომ ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ბაზრის ლიბერალიზაციამ შეცვალა ძირითადი მაკროეკონომიკური ურთიერთკავშირი წარმოების გაფართოებას, მწარმოებლურობის ამაღლებას, ინფლაციასა და უმუშევრობას შორის; ინფორმაციული ნაკადების მართვის გაუმჯობესებამ ეკონომიკური რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენება გახადა შესაძლებელი, ხოლო ინტერნეტმა მომხმარებელს არჩევანის პრიდუქციის უფრო ფართო წრეზე გაკეთების შესაძლებლობა მისცა, რაც კონკურენციას აძლიერებს; ამასთან, ახალი ტექნოლოგიები მარაგების უფრო ეფექტიანი მართვის საშუალებას იძლევა; ხოლო მწამოებლურობის ზრდა მაღალი კონკურენციის პირობებში ინფლაციის დაბალ დონეს განაპირობებს [8, cc. 2-5].

წარსულის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სოროსის განცხადება, აშშ დოლარის არასაიმედოობის შესახებ, უფრო მეტად სპეციულაციური ცვექტის მატარებელია. გათვლა მარტივია, აღნიშნული სიგნალი ეკონომიკური აგენტების მხრიდან აშშ დოლარზე უარის თქმას უნდა უწყობდეს ხელს, რამაც, შესაბამისად, აშშ დოლარის კიდევ უფრო მეტი დევალვაცია უნდა გამოიწვიოს. სოროსის განცხადება აშშ დოლარის სპეციულაციურ რეეფენსა და, აქედან გამომდინარე, შესაბამისი მოგების მირებაზე გათვლილი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სპეციულაციური

თამაშები მნიშვნელოვანია, მაგრამ არა იმდენად, რომ მან ვალუტის სიძლიერე განსაზღვროს.

ანალოგიური განცხადება სოროსმა დაახლოებით ათი წლის წინ ბრიტანული გირვანქა სტერლინგის მიმართ გააკეთა.

მან თავისი აქტივები ბრიტანული გირვანქა სტერლინგიდან გადაიყვანა და როდესაც მისმა კურსმა მიაღწია მინიმალურ ნიშნულს, მისი შესყიდვა დაიწყო, რამაც მას მნიშვნელოვანი მოგება მოუტანა [9, p. 1].

ეჭვგარეშეა, რომ 1995-1999 წლებში ჯერ დიდ ბრიტანეთში დაწყებულმა “კორპორაციული კრიზისების” ტალღამ, რომელმაც 2002 წლის ბოლოს კი უკვე აშშ-ში მოელი სიცხადით იჩინა თავი, მითი აშშ-ის ეკონომიკის ყოვლისშემძლეობის შესახებ არსებითად შეარყია და აშშ დოლარის პოზიციები საერთაშორისო არენაზე მნიშვნელოვნად შეასუსტა. იმავდროულად, თუ გარკვეულ ისტორიულ ექსკურსს გავაკეთებოთ, დავრწმუნდებით, რომ აშშ დოლარის “ჩამოწერა” აშკარად ნაადრევია. ამასთან, ერთი შეხედვით, წმინდა ამერიკულმა პრობლემამ, დასაბამი დაუდო მსოფლიოში სამპრალუსრანი საგალუტო სისტემის ჩამოყალიბებას, რასაც ჩვენი აზრით, შემდგომში მსოფლიოში საგალუტო წესრიგის დამყარების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭება.

რა არგუმენტები გაგვაჩნია ასეთი დასკვნის გასაკეთებლად?

ჩვენს მიერ მოყვანილი ვარაუდი, რომ აშშ დოლარის წამყვანი პოზიციები საერთო ეკონომიკული ვალუტის ეკროს შემოღების შემდეგ გარკვეულწილად შესუსტდებოდა, გამართლდა [10]. რაც შეხება ეკროს თავდაპირველ გაუფასურებას, იგი დროებით მოვლენას წარმოადგენდა და ეკონომიკური მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ზემოაღნიშნული პროგნოზის სისწორე დაასაბუთა.

2003 წლის 23 მაისს ევრომ აშშ დოლართან მიმართებაში 1.837 ერთეული შეადგინა, რომელიც ერთი ცენტით აღმატებოდა იმ ნიშნულს (1.1747), საიდანაც 1999 წლის 1 იანვარს დაიწყო ახალი ვალუტის ისტორიის ათვლა. თუმცა უნდა აღინიშ-

ნოს, რომ ზემოაღნიშნული ნიშნული უმნიშვნელოდ მაინც ჩამოუაღდება ევროს კოტირების მაქსიმუმს (1.906) [6].

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ევროს პიპოტეზური კურსი განვლილი ათწლეულის განმავლობაში, რომელიც ეპროს კალათაში შემავალი ვალუტებიდან გამომდინარეა გამუტვლილი, უმნიშვნელოდ აღემატება ევროს კოტირების მაქსიმუმს.

ევროპის ცენტრალური ბანკის ვიცეპრეზიდენტი ლუკას პაპადემოსის გაანგარიშებით ევროს მაქსიმალური კურსი ახლოსა განვლილი თხუთმეტი წლის ევროს პიპოტეზურ საშუალო კურსთან [11]. აღნიშნული იმის ვარაუდის გამოთქმის საშუალებას გვაძლევს, რომ ევროს კურსის ამაღლების რეზერვი ჯერ კიდევ გააჩნია. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ევროპის ერთიან ვალუტაზე გადასვლის გამო, ამ ქვეყნების ვალუტებს შორის ტრანსაქციური ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო კონვერტაციის ხარჯები ნულს გაუტოლდა, რაც კურსის ამაღლების რეზერვს გარეკვეულად ზრდის. ამასთან, ევროზონაში საქონლის, მომსახურების, კაპიტალის და სამუშაო ძალის თავისუფალი მოძრაობა რესურსების ეფექტიან განაწილებას გამოიწვევს.

თუმცა გასარკვევია ერთი მხრივ, აშშ დოლარის შემდგომი დევალვაციის მიზანშეწონილობის საკითხი და მეორე მხრივ, “იაფი” დოლარი რამდენადაა მისაღები ევროკავშირის, იაპონიისა და სხვა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებისათვის.

პასუხი ცალსახად უარყოფითი იქნება, რადგანაც აშშ დოლარის მნიშვნელოვანი დევალვაცია მის ძირითად საგაჭრო პარტნიორებში დევალვაციების კასკადს გამოიწვევს, რასაც საბოლოო ჯამში პროტექციონიზმის აღზევებამდე მივყავართ და მსოფლიოში ეკონომიკურ აქტივობას შეამცირებს [10].

ზემოაღნიშნულიდან, გამომდინარე ევროს მნიშვნელოვანი გაძვირება ნაკლებ მისაღებია და ის პარიტეტი, რომელიც დაფიქსირდა ევროს შემოღების მომენტისათვის აშშ დოლარის მიმართ შენარჩუნდება ან უმნიშვნელოდ გაიზრდება.

მართალია, ეკონომიკური ვითარება ევროპაში გაცილებით უკეთესია, თუმცა ევროს შემდგომი გაძლიერება ევროპულ სა-

ქონლის კონკურენტუნარიანობას შეამცირებს, როგორ შიდა ისე საგარეო ბაზრებზე. ნათელია, რომ „ძვირი“ ევრო გამოიწვევს ექსპორტის შემცირებას, თუმცა მისი კომპენსირება იაფი იმპორტით მოხდება.

ევროს შემდგომი გაძლიერება ევროზონაში ეკონომიკურ ზრდას საფრთხეს შეუქმნის. კერძოდ, 2003 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკურ ზრდა მთლიანად ევროზონაში არ დაფიქსირდა, ხოლო გერმანიაში, რომელიც ევროპის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, ეკონომიკური დაცვმამ 0.2 პროცენტი შეადგინა [11].

ევროზონისაგან განსხვავებით, აშშ-ში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 1.9 პროცენტი შეადგინა, რაც 0.3 პროცენტით აღემატება თავდაპირველ პროგნოზს. „The Economist“-ის პროგნოზით 2003-2004 წლებში აშშ-ში ეკონომიკური ზრდა 5.6, იაპონიასა და ევროზონაში შესაბამისად 1.5 და 3.1 პროცენტის დონეზე დაფიქსირდება [12, გვ. 26].

აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემისაგან განსხვავებით ევროპის ცენტრალურ ბანქს თავისი ვალუტის სტაბილურობის შესანარჩუნებლად და სავაჭრო პირობების პარიტეტის უზრუნველსაყოფად რეზერვი (საპროცენტო განაკვეთის შემცირება) გააჩნია.

ევროპის ცენტრალური ბანკის 5 ივლისის სხდომაზე ხადრიცხვი განაკვეთი 0.5 პროცენტით შემცირდა და 2 პროცენტს გაუტოლდა [13], რაც ერთი მხრივ, ევროპაში ეკონომიკურ აქტივობას აამაღლებს, ხოლო მეორე მხრივ, ევროზონიდან კაპიტალის გადინებას გამოიწვევს და ევროპული ვალუტის გაძვირებას გარეკაულწილად გაანეიტრალებს. ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტის ვ. დიუსენბერგის განცხადებით საპროცენტო განაკვეთის ასეთი დაბალი დონე ევროპაში II მსოფლიო ომის შემდეგ არ დაფიქსირებულა [14].

ამასთან, ევროზონის შემდგომი გაფართოება დიდი ბრიტანეთის ჩართვით, ევროს სტაბილურობას დამატებით იმპულსს მისცემდა, რადგანაც დიდი ბრიტანეთის საქმიანი აქტივობა დაახლოებით 2-ჯერ აღემატება ევროზონის ქვეყნების ეკონომი-

კურ ზრდას და გათვალისწინებულია რომ 2003 წელს 2,2 პროცენტს მიაღწევს [15]. თუმცა, როგორც დიდი ბრიტანეთის ფინანთა მინისტრმა გორდონ ბრაუნმა განაცხადა, დიდი ბრიტანეთისათვის გათვალისწინებულმა ხუთმა ტესტმა, რომელსაც მისი მზადყოფნა ევროზონაში შესახლელად უნდა ეჩვენებინა, უარყოფითი შედეგები დააფიქსირა და მისი ევროზონაში გაწევრიანება გაურკვეველი ვადით გადასწიდა [16].

მიზანშეწონილია განვიხილოთ ის ფაქტორები, რომლებსაც სხვადასხვა ზემოქმედება ექნება აშშ-ს ეკონომიკაზე და პერსპექტივაში აშშ დოლარის შესაძლო დინამიკაზე მოახდენს გაფლენას.

თავდაპირველად, განვიხილოთ, ის გარემოებები, რომლებიც აშშ დოლარის დევალვაციას განაპირობებს.

პირველია ნდობის შემცირება აშშ ეკონომიკის მიმართ. რაც, სასაქონლო ბირჟებზე აშშ დოლარის პოზიციების შესუსტებასა და ცენტრალურ ბანკების რეზერვებში აშშ დოლარის წილის შემცირებას გამოიწვევს. ბოლო პერიოდამდე ნავთობის და ოქროს ვაჭრობა ძირითადად აშშ დოლარებში ხდება, ხოლო ცენტრალური ბანკების რეზერვების დაახლოებით 50 პროცენტი აშშ დოლარებში იყო წარმოდგენილი [17].

ამ ტენდენციის პირველი ნიშნები კი, სამწუხაროდ, ბოლო ათწლეულში ისედაც გამოიკვეთა: თუ 1989 წლისათვის სავალუტო ბაზრების ბრუნვის საერთო მოცულობაში აშშ დოლარის წილი 45 პროცენტს შეადგენდა 1995 წლისთვის 41.5 პროცენტი შეადგინა (მაშინ, როცა აშშ-ს წილი მსოფლიო მთლიან შიდა პროდუქტში 20.7 პროცენტს, ხოლო მსოფლიო ექსპორტში 15.2 პროცენტს შეადგენს); ანალოგიური მაჩვენებლები ევროკაფშირისათვის, შესაბამისად, 20.4 და 14.7 პროცენტს შეადგენს; აღნიშნულ პერიოდში გერმანული მარკის წილი 13.5 პროცენტიდან 18.5 პროცენტამდე და ურანგული ფრანკის გავლენა შემცირდა 5 პროცენტიდან 3.5 პროცენტამდე; რაც შეეხება იაპონურ იენს, ის 13.5–12 პროცენტის ინტერვალში მერყეობდა [18, c. 4].

სამწუხაროდ, 1996-2000 წლებისათვის ზემოაღნიშნული განზოგადებული მაჩვენებლების მოპოვება ვერ მოხერხდა. ოუმცა M2-ის (ფული ვიწრო გაგებით) ზრდის ტემპების ანალიზი ანალოგიურ სურათს ხატავს. კერძოდ, 1996-2000 წლებში აშშ-ში M2 4.7 %-ით შემცირდა. ამის საპირისპიროდ, იაპონიის M2 47.9 %-ით, ევროზონის M2 47%-ით, დიდი ბრიტანეთის M2 47 %-ით, აზიის ახლად ინდუსტრიული ქვეყნების (კორეა, სინგაპური, ჩინგანი, ჰონგ-კონგი) M2 39.7 %-ით, შვეიცარიის M2 3 %-ით გაიზარდა [19, p. 216, 20, p. 802]. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსოფლიო ძირითადი გაღუმების ზრდა არ ატარებდა ინფლაციურ ხასიათს და ძირითადად მათი გამოყენების საერთაშორისო არეალის ზრდით იყო განპირობებული.

მთელი მსოფლიო შეძრა ისეთი გიგანტი კოორპორაციების გაკოტრებამ თუ აქციების ფასის კატასტროფულმა დაწევამ, როგორიცაა Enron Corp, Mereck & Co, Xerox Corp., Adelphia Communications, WorldCom Inc., Generel Electric, Waste Management, Cendant და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ კრიზისი ერთი შეხედვით წმინდა ბუდალტრული ხასიათისა იყო, მან აუდიტური მომსახურების, საფონდო ბაზრის, მარეგულირებელი ორგანოების, კომერციული ბანკების, სარეიტინგო სააგენტოებისა და კორპორაციული მართვის არსებული პრაქტიკაც თანაბრად მოიცვა. საყურადღებოა, ისიც, რომ აშშ-ს ეკონომიკის გახსნილობის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე, იგი სხვა წამყვანი ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს.

სახეზეა ე. წ. (Bubble economy), “ბუბლის ეკონომიკა” რომელიც ცნობილი იაპონიული პროფესორის კ. კუსაკის მიერ განიმარტება, როგორც სიტუაცია, როდესაც აუკოტაშური მოთხოვნის დროს ხდება ფასიანი ქადალდების კურსისა და უძრავ ქონებაზე ფასების გაუმართდებელი ზრდა [21, c. 178].

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის ზემოაღნიშნული სახე არა ეკონომიკის ცალკეულ სეგმენტს მოიცავს, არამედ მაკროეკონომიკურ დონეზე ახდენს ზემოქმედებას და ქვეყნის ფისკალურ

და მონეტარულ სისტემაზე განაპირობებს მნიშვნელოვან გაფლენას, რაც ნაციონალური ეკონომიკის ნგრევას იწვევს.

მეორე, კორპორაციულმა სკანდალებმა აშშ-ს კაპიტალის ბალანსი მნიშვნელოვნად შეცვალა, რაც კაპიტალის გადინების ზრდაში, ისე კაპიტალის შემოდინების შემცირებაში გამოიხატა.

ქერძოდ, ბოლო წლებში აშშ-ს საგადასახდელო ბალანსის დიდი დეფიციტი აქვს (მთლიანი შიდა პროდუქტის 5 პროცენტი); ბოლო პერიოდამდე აშშ-ს საგადასახდო დეფიციტის დაფარვა წმინდა კაპიტალის მოდინებით ხდებოდა. ოუ 1999 წელს მიმდინარე ანგარიშის ბალანსის დეფიციტი 91 პროცენტით უცხოური პირდაპირი ინვესტიციებით ფინანსდებოდა, უკვე 2002 წლისათვის ეს მაჩვენებელი 43 პროცენტამდე შემცირდა [22, p. 69]. ექსპერტები თვლიან, რომ დაცემა კიდევ გაგრძელდება. ზემოაღნიშნული კლება ერთის მხრივ, აშშ-ს ეკონომიკის მიმართ ნდობის დეფიციტით, ხოლო მეორე მხრივ, ამერიკელი ინვესტირების მხრიდან უცხოური აქტივების (მაგალითად, ევროზონის წვეულებრივ აქციები) ყიდვითაა გამოწვეული.

მესამე, აშშ-ს დოლარის გაუფასურება ინვესტორებს აშშ-ს ფასიანი ქაღალდების და აქციების გაყიდვისაკენ უბიძგებს, რაც მათზე ფასების შემცირებას იწვევს. ცნობილია, რომ უცხოელებს ეკუთვნის აშშ-ს სახაზინო ვალდებულებების 40 პროცენტი, ფასიანი ქაღალდების მესამედი და უძრავი ქონების 13 პროცენტი [22, p. 70].

რაც შეეხება იმ ფაქტორებს, რომლებიც აშშ დოლარის დევალვაციას შეაფერებს არანაკლებ მნიშვნელოვანია და მოიცავს:

პირველი, საერთაშორისო რეზერვებში აშშ დოლარის წილის შემცირება უფრო საგრძნობი იქნებოდა, რომ არა აშშ-ს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორების ქცევა, რომელიც იქითკენაა მიმართული, რომ აშშ დოლარის გაუფასურება არ დაუშვებან და, შესაბამისად, მასთან საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში სავაჭრო პირობების გაუარესება (ეჭვგარეშეა, რომ „ძვირი“ ევრო ან იენი ექსპორტის შემცირებას გამოიწვევს). ამიტომ ისინი თავიანთ სავალუტო რეზერვებში აშშ დოლარის მოცუ-

ლობას ზრდიან. კერძოდ, მაისში იაპონიის ცენტრალურმა ბანჯმა დაახლოებით 43 მლრდ. აშშ დოლარი (რომელიც უკანასენელ წლებში ყველაზე მსხვილი სავალუტო ოპერაციაა), სამხრეთ კორეამ და ტაივანმა კი 4.5 მლრდ. აშშ დოლარი შეისყიდა. ანალოგიურმა მაჩვენებელმა ჩინეთისათვის მარტში 7.8 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა [23].

ამასთან, უკანასენელ წლებში სავალუტო კურსების სტაბილურობის მისაღწევად სავალუტო ინტერვენციებში პრიორიტეტი ერთობლივ ინტერვენციებს მიენიჭა. ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორის ტაკატოში იტოს მიერ ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ 90-იან წლებში სხვადასხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკების ერთობლივი ინტერვენციები 20-50-ჯერ უფრო ეფექტიანი იყო, ვიდრე მხოლოდ იაპონიის ცენტრალური ბანკის მიერ განხორციელებული ინტერვენცია [22, p. 69].

მეორე, აშშ დოლარის უმნიშვნელო გაუფასურება აშშ-ს ექსპორტს წაახალისებს, კორპორაციულ მოგებასა და ინვესტიციების მოცულობას გაზრდის; ამასთანავე, ის ევროზონასა და იაპონიაში სტრუქტურულ რეფორმებსა და კორპორაციული რესტრუქტურიზაციის განხორციელებას შეუწყობს ხელს, რაც ამ რეგიონებში უფექტიანობას აამაღლებს და საერთაშორისო ეკონომიკისათვისაც იქნება ხელსაყრელი. კერძოდ, ერთ-ერთი შეფასებით აშშ დოლარის 20 პროცენტიანი გაუფასურება მსოფლიოში 1 პროცენტიან ზრდას გამოიწვევს [22, p. 70]. თუმცა, როგორც ავღნიშნეთ, ასეთი მნიშვნელოვანი გაუფასურება ნაკლებ მოსალოდნელია.

მესამე, აშშ პრეზიდენტის უკონომიკური გეგმის განხორციელება, რომელიც გადასახადების უახლოეს 10 წელიწადში 350 მლრდ. აშშ დოლარით შემცირებას ითვალისწინებს [12, გვ. 27], მნიშვნელოვნად გაზრდის კოორპორაციათა რეინვესტირების შესაძლებლობას, რაც საქმიანი აქტივობის ამაღლებას და, შესაბამისად, სავარაუდოდ აშშ დოლარის კურსის გამყარებას გამოიწვევს.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სავალუტო სისტემა ბოლო დრომდე ერთპოლუსიან სისტემას წარმოადგენდა,

მოვლენების ბოლოდროინდელმა განვითარებამ სამპოლუსიან სისტემას დაუდო საფუძველი (აშშ დოლარი, ევრო და იქნი). ამასთან, კვლავ წინა პლანზე გადმოდის ოქროს, როგორც საერთაშორისო სარეზერვო აქტივის მნიშვნელობა. გერმანიის ბუნდესბანკის ყოფილი პრეზიდენტის პროფესორ პას ტაიტემეიერის (Tietmeyer) განცხადებით ევროპის ცენტრალური ბანკის რეზერვებში დაახლოებით 40 მლრდ. ევრო (მთლიანი რეზერვების 15 პროცენტი), ხოლო რესერის საერთაშორისო რეზერვების 10.5 პროცენტი ოქროშია განთავსებული [24]. აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნებულია სხვა ქვეყნებშიც.

საყურადღებოა, ლათინური ამერიკისა და აზიის ქვეყნების პოზიცია, რომლებიც საერთაშორისო სავალუტო სისტემის რეფორმას ევროს როლის გაზრდის მიმართულებით ითხოვენ. მაგალითად, ლათინურ ამერიკაში MERCOSUR-ი ქვეყნები და აზიაში ASIAN+3 (ჩინეთი, იაპონია და კორეა) ქვეყნები ყურადღებით სწავლობენ რეგიონალურ მონეტარულ ინტეგრაციას, რომელიც მათი აზრით ასე წარმატებით განხორციელდა ევროზონაში [25].

ზემოთქმულის მიუხედავად, საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარებაზე ერაყის რმისშემდგომი მოწყობა დიდ გავლენას იქონიებს. ის აშშ-ს ეკონომიკური აქტივობის ცვლილებაზე წამყვანი ფაქტორი იქნება.


ერაყში საომარი მოქმედების დასრულების შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ ერაყში ეკონომიკური სანქციების გაუქმების შესახებ რეზოლუცია მიიღო. ამ დოკუმენტის თანახმად, აშშ-ს და ბრიტანეთს ერაყის ომისშემდგომ მოწყობაზე და მისი ნავთობის მსოფლიო ბაზაზე მიწოდების მართვაში სრული უფლებამოსილება ენიჭება [12, გვ. 26].

სანამ აღნიშნული გადაწყვეტილება ამერიკაზე აისახება ამას საქმაო დრო დასჭირდება. ომამდე ერაყი მსოფლიო ბაზაზე ყოველდღიურად 2 მლნ. ბარელს აწვდიდა. ოუმცა ომმა პრაქტიკულად მოშალა ნავთობის მრეწველობის ინფრასტრუქტურა.

ერაყის ნავთობის სამინისტროსთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე ფილიპ კეროლი თვლის რომ მიმდინარე წლის II ნახევარში ნავთობის მოპოვება გაუსწრებს ომამდელ დონეს; ზოგიერთი ექსპერტის აზრით ეს ნიშნული დღეში 1.5 მლნ. ბარელს მიაღწევს [26, c. 9]. თუმცა არის უფრო ოპტიმისტური პროგნოზები, რომლის თანახმადაც ინტენსიური ინვესტიციების შემთხვევაში ერაყს შეუძლია 6 მლნ. ბარელის მოპოვება, რაც მას საშუალებას მისცემს საუდის არაბეთის (8.8 მლნ. ბარელი), აშშ-სა (7.2 მლნ. ბარელი) და რუსეთის (7.1 მლნ. ბარელი) შემდეგ ნავთობის მოპოვების მოცულობით მე-4 ადგილი დაიკავოს [27, გვ. 21]. ერაყის მიერ ნავთობის წარმოების ასეთი დონის პირობებში მას შეეძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მსოფლიოში ნავთობის ფასების კონიუნქტურულ ცვლილებაზე და OPEC-ის მონოპოლია ფასწარმოქმნაში ნავთობის ბაზარზე გარკვეულწილად გაანეიტრალოს.

თუ აშშ დაუშვებს ერაყული ნავთობის მიწოდების გაზრდის პირობებში ნავთობის მსოფლიო ბაზარზე ფასების მნიშვნელოვან კლებას, ამან შეიძლება ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში ეკონომიკური რყევები გამოიწვიოს, რაც მას გლობალურ ეკონომიკურ კრიზისად მიუბრუნდება. მოვლენების აღნიშნული სცენარით განვითარება განსაკუთრებით სახიფათოა რუსეთისათვის, რომელის საბიუჯეტო შემოსავლების ლომის წილი სწორედ ნავთობის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლებზე მოდის. იგი სახიფათოა საქართველოსათვისაც, რადგანაც რუსლის შესაძლო დევალვაციის პირობებში საქართველოს სავაჭრო პირობები რუსეთთან საგრძნობლად გაუარესდება, რაც მყისიერად აისახება საგადამხდელო ბალანსზე და ლარის სტაბილურობას საფრთხეს შეუქმნის, რომელიც პრაქტიკულად ფისკალურ-მონეტარული სფეროს ერთადერთ „ნათელ წერტილს“ წარმოადგენს.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო “მცირე ეკონომიკის” ქვეყანას წარმოადგენს, მას გლობალურ ეკონომიკურ პროცესებზე რაიმე არსებითი ზეგავლენის მოხდება არ შეუძლია, თუმცა მეტ-ნაკლებად გონივრული ეკონომიკური პოლიტი-



კის გატარებით გარკვეული სარგებელიც მიღებაც არ არის გამორიცხული, რომ არაფერი ვთქვათ აშკარად უარყოფითი ეფექტების ზეგავლენის მინიმიზებაზე.

აქ აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ აშშ-ის მიერ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით იზრდება ევროპული ორიენტაციის მქონე ისეთი მუსულმანური სახელმწიფოების თანადგომა და მხარდაჭერა, როგორიც თურქეთი და აზერბაიჯანია. ეს კი საქართველოზე გაფლით აზერბაიჯანიდან თურქეთის მიმართულებით ენერგომატარებლების ტრანსპორტირების საერთაშორისო მნიშვნელობას კიდევ უფრო გააძლიერებს.

როცა ექსპერტები გლობალური სავალუტო სისტემის სერიოზულ რეევებს დასაშვებად მიიჩნევენ, (რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენი აზრით, ერთობ გაზვიადებულია), კითხვები იმის შესახებ, რომ „ძვირი“ და „იაფი“ უცხოური ვალუტის პირობებში როგორი უნდა იყოს საქართველოს სავალუტო პოლიტიკა, და რა დადგითი და უარყოფითი მხარები ექნება ლარის კურსის არსებულ დონეზე შენარჩუნებას – ბუნებრივად იბადება.

საქართველოსათვის აშშ-ის ლოდარის შესაძლო დევალვაციის შედეგად დადგებით მომენტს წარმოადგენს ის, რომ საგარეო ვალის ოდენობა ლარებზე გადაანგარიშებით შემცირდება, რაც საქართველოს ბიუჯეტისათვის გარკვეული შეღავათი იქნება.

ამავე დროს უარყოფითი მომენტებიც ყურადსაღებია.

ჯერ, ერთი იმპორტის წახალისტება მოხდება, რაც საგარეო ვალის დაფიციტს კიდევ უფრო გაზრდის;

მეორე, უცხოური ინვესტიციებიდან ბიუჯეტში გადასახდები შემცირდება;

მესამე, საგარეო წყაროებიდან ბიუჯეტის ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობები ასევე შემცირდება.

ყოველივე ამის გათვალისწინებით საქართველომ უნდა მოახდინოს თავისი სავალუტო პოლიტიკის ადაპტირება მსოფლი-

ოში ჩამოყალიბებადი ახალი ტენდენციების მხედველობაში მიღების საფუძველზე.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მონეტარული სისტემა საკმაოდ სუსტია, საქართველოსათვის ფასების საერთო დონის კონტროლი არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ლარის რეალური გაცვლითი კურსის კონტროლი.

ცალკეული ემპირიული და თეორიული გამოკვლევები გვიჩვენებს, გარდამავალ ქვეყნებში ექსპორტის სტიმულირებისათვის ინსტიტუციური და სტრუქტურული ასპექტები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ვალუტის დევალვაცია (იხ., მაგალითად, [28]).

ზოგიერთი ქართველი (ისევე როგორც სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნის) ეკონომისტისაგან არც თუ იშვიათად გაისმის მოსაზრება, რომ ეკონომიკური ზრდისა და ექსპორტის სტიმულირების მიზნით გამართლებულია ლარის დევალვაცია, თუმცა თეორიულადვე მტკიცდება, რომ წარმოების ტექნიკური ჩამორჩენილობის, საერთაშორისო ბაზრებზე არაკონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების პირობებში ვალუტის დევალვაცია ხელს არა წარმოებისა, თუ ექსპორტის, არამედ ინფლაციის გაზრდას შეუწყობს [29; 30].

2003 წლის იანვარ-მაისში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროპავშირის ქვეყნებთან 150 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალიზიურ მაჩვენებელთან შედარებით 65.6 პროცენტით მეტია; აქედან, იმპორტმა 129.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (2-ჯერ მეტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით); იმ პირობებში, როცა ლარის რეალური კურსი ევროსთან მიმართებაში მნიშვნელოვანად შემცირდა და სავაჭრო პირობები გაუმჯობესდა, იმპორტის ასეთი ზრდა ზემოაღნიშნული დებულების პრაქტიკული დადასტურებაა [31, გვ. 27].

ევროს შემოდებამ არსებითად შეცვალა “მსოფლიო ფული”. სწორედ მისი “დაბადების” შემდეგ გახდა იგი მსოფლიოს მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი ვალუტა და აშშ დოლართან და იქნიან ერთად შეადგენს “მსოფლიო ფულის” მესამე

ბურჯვს. გაცვლითი კურსები ამ სამ კუნძულს შორის მსოფლიო კონფერენციის უმნიშვნელოვანების ფასი გახდება [32].

ზემოდნიშნული რეალობიდან გამომდინარე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო რეზერვების დივერსიფიკაციას ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ რეზერვებში აუცილებელია ყველა მეტ-ნაკლებად სტაბილური გალუტის გათვალისწინება.

აშშ-სა და მისი მოკავშირეების და მუსულმანური სამყაროს ტერორისტთა დაპირისპირების გათვალისწინებით სავარაუდოა, რომ ყველაზე უფრო მეტ სტაბილურობას ის ვალუტები შეინარჩუნებენ, რომელი სახელმწიფოებიც ანტიტერორისტულ საომარ მოქმედებებში მინიმალურად იქნებიან ჩაბმულნი. ასეთ ვალუტათა რიცხვს, უწინარეს ყოვლისა, იაპონური იენი და შევიცარიული ფრანკი განეკუთვნება. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვები სულ ცოტა ხუთოლუსიანი კონფერენციის (აშშ დოლარი, ევრო, იენი, ფუნტი სტერლინგი, შევიცარული ფრანკი) ანარეკლი უნდა იყოს.

თუ კი გავითვალისწინებო, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის საანგარიშსწორებო ერთეულის - სესხების სპეციალური უფლების (ანუ “SDR”-ის) ღირებულება მასში შემავალი ვალუტებისაგან განსხვავებით დიდი სტაბილურობით ხასიათდება (რადგანაც სავალუტო კალათაში შემავალი რომელიმე ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილება ჩვეულებრივ სხვა ვალუტების გაცვლითი კურსის ღინამიკით კომპენსირდება), მაშინ საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვების მეორე მოდელს საფუძვლად შეიძლება “SDR”-ის სტრუქტურა დაედოს [33; 34]. კერძოდ, ამ რეზერვების მაქსიმალური დაცულობის მიღწევის მიზნით მის სტრუქტურაში თითოეული ჩამოთვლილი ვალუტა ისეთივე პროცენტული შემადგენლობით უნდა იყოს განთავსებული, როგორიც “SDR” -ში არის.

„SDR“-ს ღირებულება 2001 წლის 1 იანვრიდან იმ სავალუტო კალათის საფუძველზე განისაზღვრება, რომლის 45 პროცენტი აშშ დოლარის, 29 პროცენტი ევროს, 15 პროცენტი

იაპონური იენისა და 11 პროცენტი ფუნტი სტერლინგისაგან შედგება [35].

თუმცა, თუ საქართველოს 2003 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს [32] გაავანალიზებთ, მასში შეიძლება რამდენიმე პრობლემა გამოვყოთ:

პირველი, რამდენადაა განხორციელებული სავალუტო რეზერვების დივერსიფიკაცია ეროვნული ბანკის დონეზე;

მეორე, რამდენადაა განხორციელებული დეპოზიტების დოვერსიფიკაცია კომერციული ბანკებისა და კერძო პირებისათვის.

მესამე, რამდენადაა ამოქმედებული ოპციური ოპერაციების (ე.წ. წაუგებელი ოპერაციების) განხორციელების მექანიზმები, რამაც როგორც ეროვნული ბანკისათვის, ისე ეკონომიკური აგენტების მხრიდან აქტივების რეალური ღირებულების შენარჩუნება უნდა უზრუნველყოს.

2002 წლისათვის ევროში ანაბრებმა ანაბრების მხოლოდ 2 პროცენტი შეადგინა [37, გვ. 33]. ევროს გაძლიერების გამო, მაშინ როცა ანაბრების დიდი ნაწილი აშშ დოლარებშია (83 პროცენტი) ეკონომიკური აგენტების „დანაკარგი“ მნიშვნელოვანი აღმოჩნდება [38, გვ. 12].

აღნიშნული დონისძიებების გატარება მნიშვნელოვანია მოსახლეობის ნდობის შენარჩუნების თვალსაზრისითაც, რომელიც კრიტიკულ ნიშნულზე იმყოფება და საფრთხეს უქმნის საბანკო სისტემის ჯერ კიდევ მყიფე სტაბილურობას. კერძოდ, 2003 წლის იანვარ-მარტში დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში შემცირდა 8.9 მლნ. ლარით, ხოლო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში მხოლოდ 9.4 მლნ. ლარით გაიზარდა. თუ განვიხილავთ, გასული წლის ანალიზიურ პერიოდს, დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 3.4 მლნ. ლარით, ხოლო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 17 მლნ. ლარით გაიზარდა [38, გვ. 12]. როგორც ვხედავთ, ეკონომიკური აგენტების მოლოდინი გასული წლის ანალიზიურ პერიოდთან შედარებით 2003 წელს გაცილებით პესიმისტურია. ეს გამოწვეულია, როგორც ქვეყნის შიგ-

ნით ფისკალური სფეროს სისუსტით, ისე მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებით. კერძოდ, ეკონომიკურმა აგენტებმა ჩათვალეს, რომ აშშ დოლარი არის ვალუტა, რომლისთვის უცხო არაა გაუფასურება და ისიც, როგორც სხვა ვალუტები თავისი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ანარეკლს წარმოადგენს.

და ბოლოს, აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას ყველაზე უფრო დიდ პრობლემას უქმნის არა მსოფლიოში ჩამოყალიბებადი “ახალი საელუტო წესრიგი”, არამედ ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის არარსებობა, რაც საბიუჯეტო სფეროში წესრიგის დამყარებას უშლის ხელს და საქართველოს საინვესტიციო მიზნების უკარგავს. ეს უკანასკნელი კი ქვეყანაში კორუფციისათვის ეკონომიკური საფუძვლების გამოცვის, ეკონომიკური აღმავლობის გზით სიდარიბის აღმოფხვრის გარეშე ვერასოდეს კერძნება მიღწეული, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს სერიოზული სისტემური რეფორმების გატარებას.

ლიტერატურა:

1. Хазин М. Л., Грегорьев О. В. Сценарий крушения доллара в ближайшей перспективе. В кн.: *Крах доллара*. Сост. А.А.Нагорный. Москва, Издатель Н. Е.Чернишова. 2001.
2. Georg Soros Says Dollar May Lose a Third of its Value.
www.ananova.com/business/story/sm_617615.html
3. Дейкин А. И. “Новая экономика” Клинтона и “Профитные планы” Буша. США. Канада. Экономика. Политика. Культура, 2001, № 10.
4. Гейтс Б. Бизнес со скоростью мысли. Москва, Изд-во ЭКСМО-Пресс. 2001.
5. Доронин И., Загашвили В., Приписнов В. Мировая хозяйственная конъюнктура в 2000 – начале 2001 г. Мировая экономика и международная экономика, 2001, № 8.
6. Михайлович Дм. У Эвро сохранились резервы для роста. Коммерсант, 2003, № 89, 26 Мая.

7. Isha J., Eurozone and World Economy. BEATEC, 2002. Vol. X, No. 2.
8. Обзор экономического положения Европы, Женева, ООН. 2000, №1.
9. Dollar and Euro Game in Full Swing.
http://english.pravda.ru/main/18/89/356/10110_.html
10. პაპავა ვ., წონელი ვ., გლობალური ეკონომიკური კრიზისის შესაძლებლობა და საქართველოს სტრატეგია. საქართველოს ეკონომიკური მიმართულებები, 2002, №1.
11. Euro Rises to Record Level against the Usa Dollar.
http://www.usatoday.com/money/markets/2003-05-27-euro_x.htm
12. ეპიშევა ლ. აშშ-ზ გადასახადები 350 მილიარდით შეამცირა. მაკრო მიკრო ეკონომიკა, 2003, №5.
13. ECB announces interest rate cut.
<http://archives.tcm.ie/breakingnews/2003/06/05/story101602.asp>
14. ECB slashes interest rate to 2 %.
<http://onebusiness.nzoom.com/cda/printable/1,1856,195672,00.html>
15. UK Economy-Key Facts, 20 May 2003. British Embassy, Washington DC.
http://www.britainusa.com/econom/xq/asp/SarticleType.1/Article_ID.2904/qx/articles-show.htm#
16. Germany's Euro Test.
http://www.economist.com/finance/displayStory.cfm?story_id=1842183
17. Euro Rises Near to Parity with Dollar.
<http://news.bbc.co.uk/1/hi/business/2067943.stm>
18. Тавлас Дж.С. Международное использование валют. В кн.: *Передовое макроэкономическое и финансовое управление*, Том I. Вена, Институт МВФ, 2001.
19. World Economic Outlook. The Information Technology Revolution. Washington, IMF. October, 2001.
20. Бок Зи Коу., Экономика Японии. Какая она? – Москва, ЗАО “Издательство” “Экономика”, 2002.
21. A Cliff-hanger., June 8th 2002. The Economist..

- http://www.economist.com/displaystory.cfm?story_id=S%27%29H%28%2ARA%3B%2A%2000%20T%0A
22. Бизнесмены США спасают доллар от Азии.
http://www.gazeta.ru/2003/06/17/kz_m89155.shtml
23. Gold Important in Maintaining Public Confidence Security of Reserves a Key Factor.
http://www.gold.org/pr_archive/html/191101.html
24. Thygesen N. The Path to the Euro for Enlarge Country Countries.
<http://www.europarl.eu.int/comparl/econ/pdf/emu/speeches/20020521/thygesen.pdf>
25. Реутов А. С Ирака сняли последнее США меняют санкции на нефть. *Коммерсант*, 2003, № 92, 29 мая.
26. Խոջինազա Ա. Ջազո նայողածո – մերժություն օնքյերականության վորոշության մասին. մայրա մոյրա ցյունության, 2003, №1.
27. Իռհելու Յ. “Բրդուղուցանո ցյունություն և խոնարինություն”: քածակու սացագածածագու թշուրու – ցյունություն նորածու քածակու գույնու սայարտացություն մշցեայրշատա պարզություն մաշեյ – ցյունություն և սյունա, 2003, թոմու 11, № 1-2.
28. Ջաձազա Յ. Ցուլագ-սայրեցություն քուլություն սայարտացություն: մյացրու, ույ լուսաբանություն? մայրա մոյրա ցյունության, 1997, № 12.
29. Ջաձազա Յ. օնցուացություն նեցացլենա ցյունություն նորածու ծանրու, 2000, № 1.
30. Սայարտացություն և սուցուացություն-ցյունություն մաշտարյածա, 2003 թվություն սանցարու-մասու. տօւություն, սայարտացություն սթաթություն սաեցլմթություն քաշարթամենքու, 2003.
31. Mundell R.A. Reconsideration of the Twentieth Century. *The American Economic Review*, 2000, No. 3.
32. SDR Valuation, Tuesday, August 12, 2003.
<http://www.imf.org/external/np/sec/pr/2000/pr0055.htm>
33. Special Drawing Rights.
<http://www.imf.org/external/np/exr/facts/sdr.HTM>
34. IMF Completes Review of SDR Valuation.
<http://www.imf.org/external/np/sec/pr/2000/pr0055.htm>

35. საქართველოს პარლამენტის დადგენილება “საქართველოს 2003 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის მიზანთადი მიმართულებების შესახებ”.
http://www.nbg.gov.ge/geo/savaluto_politika/index_4.html
36. კაპულია მ. ევრო საქართველოს სავალუტო ბაზარზე: თმობს თუ არა აშშ დოლარი თავის პოზიციებს? მაკრო მიერო გომონიერა, 2003, № 4.
37. მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი. თბილისი, საქართველოს ეროვნული ბანკი. 2003, № 1.

FORMATION OF “THE NEW THREE-POLES WORLD CURRENCY SYSTEM” AND GEORGIA

Vladimir Papava

*Georgian Foundation for Strategic and
International Studies,*

7 Nikoladze st, 0108, Tbilisi, Georgia

Vepkhia Chocheli

Paata Gugushvili Institute of Economics,

The Georgian Academy of Sciences

14 Kikodze st, 0107, Tbilisi, Georgia

Summary. In the paper an evaluation is given for two rather sensational prognoses on the crash of the USA dollar that were advanced during the last two years, and it is shown that it is less likely that the events will develop according to the analogous scenario.

It is examined the meaning of the so called “new economy” and substantiated, that the consideration of growing imbalances between the

"new" (informational) and "old" (traditional industrial) sectors as factors provoking a global economic crisis is not correct. According the "new" economy improving management of informational flows and new information technologies allows a more economical use of resources and leads through increasing competitiveness and productivity to maintain low inflation.

It is substantiated that the appearance of the European currency euro in the world laid down the foundation to the new three-pole currency system. Stability of the global economy will depend largely on its good functioning.

It is shown that Georgia as a country with "small economy" cannot have any essential influence on the global economic processes. However, it is not excluded a certain benefit may also be derived by carrying out more or less reasonable economic policy, to say nothing of minimizing of influence of evidently negative effects.

ФОРМИРОВАНИЕ "НОВОЙ ВСЕМИРНОЙ ТРЕХПОЛЮСНОЙ ВАЛЮТНОЙ СИСТЕМЫ" И ГРУЗИЯ

Владимир Папава

Фонд исследования стратегии и
международных отношений Грузии,
Тбилиси, 0105, ул. Нико Николадзе N 7

Верхняя Чочели

Институт экономики им. П. Гутишвили
Академии Наук Грузии,
Тбилиси, 0107, ул. Кикодзе N 14

Резюме. В статье анализируются недавно сделанные два сенсационные прогнозы о крахе доллара США и показано, что развитие событий по таким сценариям мало вероятно.

На основе раскрытия содержания т.н. "новой экономики" показано, что известные диспропорции между "новым" (информационным) и "старым" (традиционным) секторами экономики нецелесообразно рассматривать в качестве причин, которые могут провоцировать глобальный экономический кризис, ибо в условиях "новой экономики" качественное улучшение управления информационными потоками и внедрение новых технологий более эффективного управления запасами, создает возможность рационального использования экономических ресурсов, что в условиях высокой конкуренции и роста производительности будет способствовать поддержанию низкого уровня инфляции.

Обосновано, что введение общеевропейской валюты Евро в мире заложило основу "новой трехполюсной валютной системы", от «направленного» функционирования которой во многом будет зависеть стабильность глобальной экономики.

Показано, что Грузия, как страна "малой экономики", не может оказать какое-либо существенное влияние на глобальные экономические процессы, хотя не исключено и получение определенной пользы путем проведения более или менее разумной экономической политики, не говоря уже о сведении к минимуму влияния явно отрицательных эффектов.

Vakhtang Chocheli

Paadti Giorgiashvili Institute of Economics
 The Georgian Academy of Sciences
 14 Kiroveli st. 0101, Tbilisi, Georgia

Summary. In the paper an attempt is made to make a forecast of the future development of the world economy based on the analysis of the causes of the crash of the USA dollar that occurred in 2008. It is shown that the forecast period is two years, and it is shown that it is less likely to occur over the next two years according to the analytical scenario. It is also shown that the main cause of the crisis was the excessive expansion of the USA economy, which led to a sharp increase in the cost of living. It is also shown that the main cause of the crisis was the excessive expansion of the USA economy, which led to a sharp increase in the cost of living. It is also shown that the main cause of the crisis was the excessive expansion of the USA economy, which led to a sharp increase in the cost of living.

პიშჩეთი და ჯანდაცვის ორგორმა საბაზო ეკონომიკიაზე ბარდამავალ პერიოდზე

მირიან მურჯიენელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
0102, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2

შემოვიდა: 2003 წლის 20 მაისს

რეზიუმე. 90-იანი წლების დასაწყისში ტრადიციულმა საგაჭრო კავშირების რღვევამ, ექსპერტ-იმპორტის მოცულობის მკვეთრმა შემცირებამ, კონფლიქტებმა ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეამცირა მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, გაიზარდა ჩრდილოვანი (აღურიცხავი) ეკონომიკის წილი, კატასტროფულად შემცირდა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობა. ბიუჯეტის დეფიციტის შეესხბა ძირითადად მიმდინარეობდა ეროვნული ბანკის ემისიური კრედიტების გამოყენებით. სახსრების უკონტროლო გაცემამ მთლიანად მოშალა ფულად-საკრედიტო სისტემა, გაიზარდა სახელმწიფო საგარეო ვალები.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარებით 1994 წლის ბოლოდან დაიწყო ქვეყნის ფინანსური სისტემის სტაბილიზაციის განხორციელება, რის შედეგად 1995 წელს მინიმუმადე იქნა დაყვანილი ინფლაციის დონე, განხორციელდა ფულადი რეფორმა და შემოღებული იქნა ეროვნული ვალუტა. შეიქმნა წინა პირობები ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციის უმჯაცრესი ინსტრუმენტის ბიუჯეტის მიღებისა და აღსრულებისათვის.

საქართველოში 1995 წლიდან დაიწყო რეფორმების განხორციელება, რომელმაც ხელი შეუწყო ჯანდაცვის სისტემა მთლიანად გადასულიყო საბაზო ეკონომიკის პრინციპებზე.

* * *

ცენტრალიზებული გეგმიანი ეკონომიკის პირობებში საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს საკავშირო ორგანოებში განსაზღვრავდნენ და კანონის სახით მიაწოდებდა მოქაფშირე რესპუბლიკებს. სსრკ-ში შემავალ რესპუბლიკებს არ პქონდათ საქუთარი საფინანსო და საბიუჯეტო პოლიტიკა.

მიუხედავად ამისა, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენდა ძირითად ფინანსურ გეგმას და ემსახურებოდა ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ გავთარებას.

საქართველოს 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა 4.978.8 მლნ. ლარი შეადგინა. გეგმა შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით შესრულდა 101 პროცენტით. ამ პერიოდში საკავშირო ბიუჯეტიდან ურთიერთანაგარიშგებით მიღებული სახსრები გადაცემულს 751.3 მლნ. ლარით აღემატებოდა [1].

1990 წლის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დაფინანსებაზე მიმართული იყო 475.9 მლნ. ლარი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ტრადიციული სავაჭრო კავშირების რღვევამ გამოიწვია საქართველოს იმპორტექსპორტის მოცულობის მგევთო შემცირება. ღროულად ვერ მოიძებნა საქონლის გასაღების ბაზრები საქართველოს ექსპორტის ტრადიციულ სახეობებზე. უაღრესად დაეცა ქვეყნის სავალუტო შემოსავლები, რამაც შეაფერხა ურთიერთობების დამყარება საგარეო სავაჭრო პარტნიორებთან. შედეგად ამისა განსაკუთრებით მკვეთრად შემცირდა ენერგომატარებლების იმპორტი (გაზი, საწვავი, ნედლეულის მაკომპლექტებელი ნაწილები), რამაც თავის მხრივ გამოიწვია მწვავე ენერგეტიკული კრიზისი და ეროვნული მეურნეობის წამყვანი დარგების და მსხვილი საწარმოების სრული გაჩერება.

1992 წლიდან ქვეყანაში დაწყებულმა კონფლიქტებმა ცხინვალის რეგიონში და აფხაზეთში, აგრეთვე სამოქალაქო ომმა დამატებითი დარტყმა მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას. უდიდესმა ხარჯებმა – 300 ათასამდე ლტოლვილი მოსახლეობის შენახვი-

სათვის განხორციელებულმა ღონისძიებებმა კიდევ უფრო გაზარდა დაწოლა სახელმწიფო ბიუჯეტზე.

შემცირდა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა. 1989 წელთან შედარებით (1992 წლის ფასებში) 1995 წელს 75 პროცენტით, მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩრდილოვანი /აღურიცხავი/ ეკონომიკის წილი.

წარმოების ასეთი მასშტაბების ვარდნამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა სახელმწიფო საფინანსო სისტემას. კაბასტროფულად შემცირდა სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციის დონე მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში და ოგი 4 პროცენტამდე დაეცა, ამას დაემატა, ისიც რომ მთავრობამ ბიუჯეტში წარმოდგენილი უზარმაზარი დეფიციტის დაფარვა დაიწყო ეროვნული ბანკის ემისიური კრედიტების გამოყენებით, სახელმწიფო საქრედიტო პოლიტიკამ, რომელიც გამოიხატა ყოველგვარი გაანგარიშებისა და რესურსების გარეშე ათეულ მილიონამდე სესხის უკონტროლოდ გაცემაში, დამანგრეველი გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირებაზე, მოშალა საფინანსო-საქრედიტო სისტემა, ჩაკლა მეწარმეობის განვითარების სერვილი, გაზარდა სახელმწიფო საგარეო გალები, რამაც 1993 წელს და განსაკუთრებით 1994 წლის შუა პერიოდში უმაღლეს დონემდე აიყვანა პიპერინფლაციის ტემპი (1 აშშ დოლარი უდრიდა 3-4 მლნ. კუპონს). 1992-94 წლებში სახელმწიფო ხარჯების საბიუჯეტო პოლიტიკა ჯერ კიდევ ითვალისწინებდა დიდი მასშტაბით ეროვნული მეურნეობის ცალკეული დარგების და ღონისძიებების, სუბსიდირებას (განსაკუთრებით ენერგორესურსები, კვების პროდუქტები, კომუნალური მომსახურება, ტრანსპორტი). ფასების ლიბერალიზაციის პირველი ღონისძიებების გატარება 1994 წლის ბოლოს დაიწყო, რაც კიდევ უფრო ართულებდა საბიუჯეტო ხარჯების პროგნოზიებას [2].

1993-94 წლებში, ინფლაციის მაღალი ტემპების და საგადასახადო ბაზის განსაზღვრის პრაქტიკული შეუძლებლობების გამო ვერ მოხერხდა ქვეყნის ბიუჯეტის შედგენა და დამტკიცება, დაუზუსტებული იყო ქვეყნის საშინაო და საგარეო ვალუ-

ბის მოცულობა, არგადახდებისა და საბიუჯეტო დავალებების სიდიდე, მოუწესრიგებელი იყო გადასახადების მობილიზაციის საკანონმდებლო ბაზა, შეუცნობადი იყო საბაზო ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესით გამოწვეული სინქელები.

უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისში მყოფი ქვეყნის მთავრობამ დაბმარებისათვის მიმართა საერთაშორისო საფინანსო ორგანოებს და 1994 წლის ბოლოდან შეუდგა ქვეყნის ფინანსური სისტემის სტაბილიზაციის პროგრამის განხორციელებას, რომელიც მიზნად ისახავდა იმ დროისათვის ქვეყანაში არსებული საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის რაღიკალურ ცვლილებას, ქვეყნის საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციას, არგადახდების კრიზისის დაძლევას, პიპერინფლაციური პროცესების დაძლევას და მის მინიმუმამდე შემცირებას. ფინანსური სტაბილიზაციის პროგრამის შესრულებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობის შესახებ ეკონომიკური მემორანდუმის გაფორმებამ, რაც მსოფლიო ბანკთან და ეკონომიკური კომისიასთან აქტიური თანამშრომლობის უზრუნველყოფის საფუძველი გახდა [3].

მოკლე დროში საქართველომ 1995 წლის ფინანსური სტაბილიზაციის ამოცანა დამაკმაყოფილებლად შეასრულა. ინფლაციის დონის მინიმუმამდე დაუკანამ მყარი საფუძველი დაუდო ფულის რეფორმის წარმატებით განხორციელებას, შემოღებულ იქნა ეროვნული ვალუტა – ლარი. შეიქმნა წინა პირობები ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციის უმკაცრები ინსტრუმენტის – ბიუჯეტის მიღებისა და ადსრულებისათვის. მოხდა საბიუჯეტო პროცესის სწრაფი რეაბილიტაცია, იგი იქცა ქვეყნის განვითარების რაციონალური ტენდენციების ჩამოყალიბების მთავარ ეკონომიკურ ბერკეტად.

ქვეყნის საფინანსო სისტემის სტაბილიზაცია წარმოუდგენელი იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდთან გაფორმებული მემორანდუმის გარეშე. ამასთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიები, სისტემატურად ადევნებდნენ თვალს მემორანდუმით გაფორმებული მოთხოვნების ოპტიმალურად შესრულებას: ამდენად, მთავრობამ გაითვალისწინა რა ქვეყნის ინტერე-

სები, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა საერთასორისო ხელშეკრულების შესრულებას, რომლის შედეგმა უდიდესი დადგებითი როლი ითამაშა ბიუჯეტის, საფინანსო სისტემის და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის რეაბილიტაციაში. მემორანდუმით გათვალისწინებული პარამეტრების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკის სრული კრახი გარდაუვალი იყო.

ბიუჯეტმა, როგორც სახელმწიფოს ძირითადმა ფინანსურმა გეგმამ, მჭიდრო კავშირი დაამყარა ქვეყნის ეროვნული მეურნეობის დარღვა ფინანსებთან, სახელმწიფო და სოციალური დაზღვევის სისტემასთან, ბანკის კრედიტებთან, მოსახლეობის სოციალური დაცვის ფონდებთან, ფულის მიმოქცევასთან და სხვა.

სახელმწიფო საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითადი მოთხოვნაა ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების სწორად განსაზღვრა. ბიუჯეტის შემოსავლების განსაზღვრისას დიდი უურადღება ეძღვვა მთლიანი ეროვნული პროდუქტის სწორად შეფასებასა და განსაზღვრას.

შემოსავლები საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებიდან დიდ როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციაში. დიდია მათი ხევდრითი წილი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში.

გარდამავალ პერიოდში დიდი როლი შეასრულა ნატურალური სახით შემოტანილმა კედების პროდუქტებმა, რომლის მიღება თანდათან შეიცვალა ფულადი ფორმით. ამ ფორმით დახმარებამ ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკისა და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების განვითარებას.

გადაჭარბებით შესრულდა 1995 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დონისძიებების დაფინანსების საბეჭმო დავალებები. ამ მიზნით ნაცვლად 22.6. მლნ. ლარისა, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 35.4 მლნ. ლარი – 12.8 მლნ. ლარით მეტი. აქედან ლტოლვილთა შენახვის ღონისძიებებზე ნაცვლად 16.8 მლნ. ლარისა ფაქტიურად გამოყოფილი

იქნა 22.3 მლნ. ლარი. ხოლო ჯანმრთელობის დაცვის სისტემის დასაფინანსებლად ბიუჯეტით დამტკიცებული 4.5 მლნ. ლარის მაგიერ გამოყოფილი იქნა 12.8 მლნ. ლარი. ძეგლან 6.0 მლნ. ლარი გამოყო სისტემაში რეფორმის დასაწყებად [4].

მიუხედავად დაფინანსებაში შექმნილი სიძნელეებისა, მსოფლიო ბანკის ექსპერტების დახმარებით 1995 წელს დარგში დაწყებული რეფორმები წარმატებით განხორციელდა, რეფორმამ, რომელმაც ხელი შეუწყო ჯანდაცვის სისტემა მთლიანად გადასულიყო საბაზო ეკონომიკის პრინციპებზე.

სახელმწიფო სექტორში ფინანსური სიძნელეების გამო ჯანდაცვის სექტორში გამოწვეული ხარჯების დიდ ნაწილს უშეალოდ პაციენტი იხდის ოანაგადახდის, პირდაპირი გადახდისა და რაც ყველაზე მთავარია, არაოფიციალური გადასახდელის ფორმით [5].

2000 წელს, საქართველომ დაახლოებით 220.0 მლნ. ლარი დახარჯა ჯანდაცვაზე. ამ თანხის დაახლოებით 2/3 ნაწილი შეფასების მიხედვით კერძო (ჯიბიდან გადახდილი) თანხებზე მოდის, ხოლო 1/3 სახელმწიფოს მიერ გაწეულ დაფინანსებაშია. ეს მთლიანი ეროვნული პირდუქტის დაახლოებით 4%-ია, რაც ერთ სულ მოსახლეზე 20 აშშ დოლარს უდრის. ერთ სულ მოსახლეზე დანახარჯების მიხედვით საქართველო ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში ყველაზე უფრო მცირე მხარჯეველთა სიაში მოიაზრება [6].

ჯანმრთელობის დაცვის სექტორის ფინანსურ მდგომარეობას კიდევ უფრო აკნინებს მზარდი დისბალანსი ერთის მხრივ, ჯანმრთელობის დაცვაზე მოსახლეობის უფლებებსა (შამედიცინო მომსახურების საბაზისო პაკეტი) და მეორეს მხრივ, ჯანმრთელობის დაცვის ბიუჯეტისა და ფაქტიურ შემოსავლებს შორის. ამ დისბალანსის შედეგად, ჯანდაცვის მომსახურებისათვის გაანგარიშებული ფასები და ტარიფები ძალზედ დაბალია, ასევე დაბალია მომსახურე პერსონალის ხელფასები, კაპიტალური დაბანდებებისათვის განსაზღვრული სახსრები, სამედიცინო მომსახურების სარისხი და შრომის ნაყოფიერება სამედიცინო დაწესებულებებში. ყოველივე ეს მწვავე წინააღმდეგობაში მო-

დის შენობის, საწოლებისა და მომსახურე პერსონალის სიჭარებეთან (განსაკუთრებით საავადმყოფოებში). საბოლოო ჯამში, ჯანდაცვის სექტორის სახსრებისა და ბიუჯეტების მართვა ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეებზე ჯერ-ჯერობით ნაკლებად ეფექტიანია.

კარგადაა ცნობილი ეს პრობლემები ჯანდაცვის სექტორისათვის და საერთაშორისო პარტნიორებისათვის. გასული წლების განმავლობაში, ადგილობრივმა ექსპერტებმა, მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით, შეიმუშავეს პოლიტიკური მიმართულებები ჯანდაცვის დაფინანსების სისტემის რეორგანიზაციისა და გაჯანსაღებისათვის.

საქართველოს ეროვნული ჯანდაცვის პოლიტიკიდან გამოდინარე, 2004 და შემდგომ წლებში მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საბაზისო პაკეტის ფორმირებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია:

- სამედიცინო მომსახურების საბაზისო პაკეტის მოცულობისა და 1997-2002 წლებში აღებული გადამდებულებების დაფარვის ფინანსური უზრუნველყოფა;
- მთლიან შიდა პროდუქტსა და სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობაში ჯანდაცვის სექტორის სახელმწიფო დაფინანსების ხედრითი წილის გაზრდა;
- რეალური გზების მოძიება ოფიციალური თანაგადახდის გაფართოებასთან და არაოფიციალური გადასახადების ლეგალიზაციისათვის;
- ჯანდაცვის სექტორის დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრების ეფექტურობის ამაღლებისათვის.

ლიტერატურა:

- I. ანგარიში საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო. თბილისი, საქართველოს ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს სტამბა 1991.

2. მესხია ი., მურჯიკნელი მ. ეკონომიკური რეფორმა საქართველოში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, კონკრეტული „თეგი“ 1996.
3. მესხია ი., მურჯიკნელი მ. საბიუჯეტო პოლიტიკის სრულყოფის ზოგიერთი საკითხები გარდამავალი ეკონომიკის პირობებში. – კრებულში გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში. თბილისი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, (ტომი 1), 1996.
4. ანგარიში საქართველოს 1995 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. თბილისი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 1996.
5. გამყრელიძე ა., ათუნი რ., გოცაძე გ. მაკლეპოსი ლ., ჯანმრთელობის დაცვის სისტემები გარდამავალ პერიოდში. თბილისი, 2002.
6. მსოფლიო ბანკის დოკუმენტი საქართველოს სახელმწიფო ხარჯების მიმოხილვის შესახებ. თბილისი, მსოფლიო ბანკის თბილისის ოფისი 2002.

BUDGET AND HEALTH REFORM IN TRANSITIONAL ECONOMY

Mirian Murjikneli

Tbilisi State University

2, University St, 0102, Tbilisi, Georgia

Summary. In 1990, breaking of traditional trade relations, sharp decrease in export/import volume and armed conflicts significantly reduced the volume of gross domestic product in the country, increased share of shadow economy that resulted in serious problems for the state system. The level of rising of state budget revenues was catastrophically reduced. The volume of tax

revenues as against the volume of gross domestic product decreased to 2.3 percents. Filling of budget deficit was performed through emission credits of the National Bank of Georgia. Failure to maintain control over the credit allocation system resulted in the break-up of the monetary system and increase in state foreign debts.

International financial organizations supported the country being in the deep economic crisis. From the end of 1994, financial system stabilization program was commenced.

In 1995, the rate of inflation was reduced to the minimum that enabled the country to implement money reform and put into circulation the national currency – Lari. Preconditions were provided for the adoption and enforcement of budget – main instrument for stabilization of the economy of the country. The country, for the first time, had the opportunity to adopt state budget of the year 1995.

In 1995, macroeconomic parameters significantly improved together with rehabilitation of public finances/budgetary process resulting in the increase of social sectors and measures for social protection of population 4-5 times, as compared with the previous years. Restructuring of internal and foreign liabilities and the process of establishment of civilized relations with creditor/donor countries have been initiated.

БЮДЖЕТ И РЕФОРМА ЗДРАВООХРАНЕНИЯ ГРУЗИИ В ПЕРИОД ПЕРЕХОДА К РЫНОЧНОЙ ЭКОНОМИКЕ

Мириан Мурджикнели

Тбилисский Государственный Университет

им. И. Джавахишвили

Тбилиси, 0102, ул. Университетская 2

Резюме. В начале 90-х годов разрыв традиционных торговых союзов, резкое сокращение объема экспорт-импорта, военные конфликты зна-

чительно сократили объем валовой внутренней продукции Грузии, выросла доля теневой экономики, катастрофически сократился объем доходов Государственного Бюджета. Пополнение бюджетного дефицита в основном осуществлялось использованием эмиссионных кредитов Национального Банка. Неконтролируемая выдача средств полностью развалила денежно-кредитную систему, выросли внешние государственные долги.

С помощью международных финансовых организаций в конце 1994 года в стране начался процесс стабилизации финансовой системы, в результате чего в 1995 году был сведен до минимума уровень инфляции, была осуществлена денежная реформа и введена национальная валюта. Были созданы все предпосылки для принятия и исполнения бюджета.

1995 года в Грузии началось осуществление реформ, которые способствовали полному переходу системы здравоохранения на принципы рыночной экономики.

Все эти реформы не могли не отразиться на государственных финансах Грузии. Важнейшим из которых было то, что бюджетное дефицитообразование в 1995 году впервые превысило 10% от валового внутреннего продукта.

BUDGET AND HEALTH REFORM IN THE NATIONAL HEALTH CARE SYSTEM IN THE REPUBLIC OF GEORGIA მდგრადი ჯობის სისტემის შექმნა Tbilisi State University თბილისის უნივერსიტეტი 2, University St, 0102, Tbilisi, Georgia

Summary. In 1990, breaking of national state relations led to significant export-import volume and annual deficit significantly. In 1995 budget of gross domestic product in the country increased more than shadow economy that resulted in serious problems for the state system. The level of state debt reached record value 2.09 billion GEL. The main reason was lack of effective macroeconomic organization of economy, which caused significant increase in budget deficit.

ეროვნული მეცნიერების უსაფრთხო და მდგრადი ბანკითარება გლობალიზაციის ეპოქაში

ანზორ აბრალავა

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
საქართველოს პარლამენტი
რუსთაველის 8, 0108, თბილისი

შემოვიდა: 2003 წლის 20 ივნისს

რეზიუმე. ეროვნულ ეკონომიკაზე გლობალიზაციის პროცესის გავლენა წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. გლობალიზაციის ეფოქაში გამორიცხული არა არის ეკონომიკურად სუსტი ქვეყნების მეურნეობათა კონკურენტუნარიანობის დაქვეითება, მათი ექსპლუატაციის გაძლიერება განვითარებული ქვეყნების მიერ. ამ საშიშროებამ ჩვენს დროში მწვავედ დააყენა გლობალიზაციის პროცესის მიზანმიმართულად წარმართვის პრობლემა. საბასუროდ მრავალ ქვეყანაში შეიმუშავეს მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფი პროგრამები. მათი აუცილებლობა ჩვენში მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის შენარჩუნება-განმტკიცებისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის პრობლემებს.

გარდამავალ პერიოდში საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია ორიენტირებული უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისაკენ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ, კონსტიტუციური მოწყობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისაკენ, ეროვნული ფასეულობისა და ინტერესების მყარი სისტემის შექმნისაკენ.

სამწუხაროდ, ქვეყანაში დღემდე რჩება ეროვნული საკითხის მოუგვარებლობითა და მაორგანიზებელი იდეოლოგიის უქონლობით გამოწვეული პრობლემები. აუცილებელია ეროვნული ინტერესების წინა პლანზე წამოწევა და იმგვარი დონისძიე-

ბების გატარება, რომლებიც განამტკიცებს ქვეყნის სუვერენიტეტს და უზრუნველყოფს მის მდგრად და უსაფრთხო განვითარებას.

* * *

გლობალიზაციის ეპოქაში ეროვნული მეურნეობის განვითარება შეუძლებელი გახდა მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში დამკიდრებული ტენდენციების გაუთვალისწინებლად. მაგრამ ეკონომიკაზე გალობალიზაციის პროცესის გავლენა წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. გამორიცხული არაა ეკონომიკურად სუსტი ქვეყნების მეურნეობათა კონკურენტუნარიანობის დაქვეითება, მათი სიმდიდრისა და წამყვანი დარგების გადასვლა უცხოელთა ხელში, საბოლოოდ კი – განვითარებული ქვეყნების მიერ სხვა ქვეყნების ექსპლუატაციის გაძლიერება. ამ საშიშროებამ ჩვენს დროში მწვავედ დააყენა გლობალიზაციის პროცესის მიზანმიმართულად წარმართვის პრობლემა, რის საპასუხოდაც მრავალ ქვეყანაში შეიმუშავეს მდგარადი განვითარების და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფი პროგრამები.

ქართველი მეცნიერ-ეკონომისტები ჯერ კიდევ 1990-იან წლებში სვამდნენ ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამის შემუშავების და განხორციელების აუცილებლობის საკითხს და ამას მჟიდროდ უკავშირებდნენ საქართველოს სასხელმწიფო უნივერსიტეტის შენარჩუნება-განმტკიცებისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის პრობლემებს [1].

ცხადია, ჩვენც ლოგიკურად და აუცილებლად მიგვაჩნდა და დღესაც მიგვაჩნია ისეთი საკითხების გარკვევა, თუ როგორ შეიძლება შესუსტდეს ქვეყანაში არსებული მძაფრი საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაპირისპირება, როგორ მივაღწიოთ სოციალურ-ეოკნომიკურ წონასწორობას და როგორ მოხდეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ ეს საკითხები განუყოფლად უკავშირდება ქვეყნის


მდგარდი და უსაფრთხო განვითარების საერთო პრობლემას [2].

აქეთ ადსანიშნავია ისიც, რომ გეოეკონომიკური სივრცის არაერთგაროვნების გამო დღეს საჭირო ხდება მდგარდი განვითარების მიღწევის გზების გადასინჯვა. წინათ მდგარდი განვითარების წამყვანი იდეა იყო პოსტინდუსტრიული მოდელის, მისი ინსტიტუტებისა და მსოფლიო ფინანსური ნაკადების მაგისტრალების შენარჩუნების იდეა, რაც მსოფლიო ტრანსნაციონალური კვლავწარმოებითი ციკლების შენარჩუნებას და მათი შეუფერხებელი საქმიანობის უზრუნველყოფას გულისხმობს. ეს კვლაწარმოებითი ციკლები მოითხოვენ მათვეის პრაქტიკულად ყველა ქვეყნის ეროვნული რესურსების უწყვეტად მიწოდებას და თავიანთი პოზიციების მუდმივად გაფართოებას. ბოლოს, ესაა სოციალურ-ეკონომიკური ყოფის სხვა სქემების მიუღებლობა. საუბარი ეხება საბაზო ურთიერთობების ფართო სკალიფან მხოლოდ ერთი ჭრილის-გვიანდელი პოსტინდუსტრიალიზმის გაფერიშებას. განვითარების პოსტინდუსტრიულმა მოდელმა გამოიმუშავა თავის გადარჩნის სტრატეგიული ხერხები და გეოეკონომიკური ექსპანსიონიზმის აქტიური პოზიცია დაიკავა. მთელი პლანეტა შეუმჩნევლად აღმოჩნდა ჩაბმული მსოფლიო გეოეკონომიკურ ომში. ამიტომ ჩვენს დროში გარდაუვალია მდგარი განვითარების მცნების ახლებურად გააზრება, რადგან იგი სრულიად სხვა აზრობრივ დატვირთვას იძენს. დღეს იგი უნდა გვესმოდეს როგორც ეთნონაციონალური და ინდუსტრიული მომენტების პარმონიულად შერწყმის პროცესის მდგრადობა, აგრეთვე, ეთნოეკონომიკური სისტემის ფორმირების მდგარდობა.

გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფციაში მკვეთრად არ ჩანს დღეისათვის წამყვანი – გეოეკონომიკური მიღგომა. თუ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები კვლავაც საგაჭრო-საშუალებლო დოქტრინის ფარგლებში დარჩება მოქცეული, ეროვნული ეკონომიკა დაქვეითების ისედაც გაჭიანურებულ პროცესს გააგძლებს. ის ქვეყნები, რომლებსაც საგარეო ბაზრებზე ნედლეული და ინტელექტუალური რესურ-

სები გააქვთ, ხელს უწყობენ მსოფლიო შემოსავლის შექმნას, ეს შემოსავალი კი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს რჩება. ასეთი ქვეყნების ეროვნული მეურნეობები არ მონაწილეობენ შექმნილი შემოსავლის გადანაწილებაში, მიღებულ კრუდიტებს კი „ნასესხებ სახსრებად“ მიიჩნევენ. ამდენად, წამყვანი უნდა იყოს ის იდეა, რომელიც ეროვნულ მეურნეობას მსოფლიო შემოსავლის კენ გაუკაფავს გზას, კერძოდ: ეროვნული საგარეო ეკონომიკური სისტემის საფუძვლელს უნდა შეადგენდეს ინტერნაციონალიზებული კვლავწარმოებითი ბირთვები, მათი მუდმივად მომატება კი საქართველოს საგარეო ეკონომიკური კავშირების განვითარების არსი უნდა გახდეს.

ყველაზე ზოგადად ქვეყნის ეროვნული უსაფრთხიერის უზრუნველყოფისა და მდგრადი განვითარების გამოხატულებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ეროვნული მეურნეობის თუ შეიძლება ითქვას, „ზომიერად“ განვითარება, ანუ განვითარების პროცესის მოქცევა მატებისა და კლების დასაშვები საზღვრებით შემოფარგლულ კალაპოტში. გრაფიკულად ეს შემდეგნაირად შეგვიძლია გამოვსახოთ:



ხელშემსლელი ფაქტორები

აქ E_2 განვითარების მაქსიმალური შესაძლებლობაა, E_1 - დაქვეეითების შესაძლო ნიშნული, E_3 კი - მეურნეობის განვითარების პომეოსტაზისური მდგომარეობაა. ამდენად, შეგვიძლია

ჩაქრეროთ მდგრადი განვითარების პირობა: $E_2 \leq E_3 \leq E_1$. ასეთი მდგრადარეობის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორების მთელი კომპლექსი. მსოფლიო მასშტაბის ხელშემშლელი ფაქტორებიდან მთავარი გლობალური პროცესის შედეგების ბოლომდე შეუცნობლობა, მსოფლიო მასშტაბით ინტერესების დაუბალანსებლობა, ეკონომიკური, კულტურული და ტექნოლოგიური განსხვავებულობა, ხოლო ხელშემწყობი ფაქტორებიდან მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგში არსებული მიღწევების სწრაფად გავრცელება, განათლების ინტელექტუალური მეცნიერებლივი კროგრესის გადაქცევა განვითარების მთავარ ფაქტორად.

ადსანიშნავია, რომ მეცნიერ-სპეციალისტთა მიახლოებითი და წინასწარი გათვლით, საქართველოს მდგრადარეობის ძირითადი პირობებია.

- მოსახლეობის ერთ სულზე მოსული მშპ არანაკლებ 8-10 ათასი დოლარისა;

- სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის 3-5%-სა;
- სახელმწიფო ვალი არაუმტებელი მშპ-ის 60%-ისა;
- საგარეო ვალის მომსახურებაზე გაწეული ხარჯები არაუმტებელი წლიური საექპორტო შემოსავლების 20%-ისა;
- ფულის მასის ზრდა წარმოების ზრდის შესაბამისად;
- საერთაშორისო რეზერვების საკმარისი მოცულობა საქონლის იმპორტის დასაფარავად სულ მცირე სამი თვის განმავლობაში. [3].

მაგრამ, ბუნებრივია, ყოველ ქვეყანას თავისი სპეციფიკური ფაქტორები აქვს. საქართველოსთვის, კერძოდ, ესაა ძირითადად, ჩამოყალიბებული სტრუქტურული დისპროპორციები, ინტელექტუალური პოტენციალის მცირედ გამოყენება, კლანური, მაფიოზური და კრიმინალური ჯგუფების ანტი-სახელმწიფოებრივი საქმიანობა, სეპარატისტული მოძრაობები და სხვა, რომლებიც აფერხებენ ქვეყნის განვითარებას. რაც შეეხება განვითარების ხელშემწყობ შიდა ფაქტორებს, მათგან მთავარია ქარ-

თული ერის ინტელექტუალური, კულტურული და ცივილიზაციური პოტენციალი და მისი გეოსტრატეგიული რესურსები, აგრეთვე, მეურნეობის თითქმის შემთხვევა დარგში ჯერ კიდევ შემორჩენილი სიმძლავრეები.

მეცნიერთა დასკვნით, ყველა ეს პირობა საგრძნობლადაა დარღვეული, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანას დაკარგული აქვს გაფართოებული კვლავწარმოებისა და თვითგანვითარების უნარი, ეს კი, თავის მხრივ, რეალურ საფრთხეს უქმნის თვით სახელმწიფოებრიობას.

ეპონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გადაუდებლადაა საჭირო მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია ისა და სიდარიბის აღმოფხვრა, ინსტიტუციონალური მოწყობის დაჩქარება და წესრიგის დამყარება, ეკონომიკის სტრუქტურული სრულყოფა, რეგიონების სოცილურ-ეკონომიკური განვითარების უთანაბრობის დაძლევა და საზოგადოებისა და სამეურნეო საქმიანობის კრიმინალიზაციის აღკვეთა. ყოველივე ამის საფუძველი უნდა გახდეს საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია. გარდამავალ პერიოდში საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია ორიენტირებული უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისაკენ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ, კონსტიტუციური მოწყობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისაკენ, ეროვნული ფასეულობებისა და ინტერესების მყარი სისტემის შექმნისაკენ [4].

გარდამავალი პერიოდის თანამედროვე ეტაპზე საქართველოში რჩება ეროვნული საკითხის მოუგვარებლობითა და მარგანიზებელი იდეოლოგიის უქონლობით გამოწვეული პრობლემები, სეპარატიზმი რეალურ საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, ხოლო უკონტროლოდ მოქმედი შეიარაღებული ძალები ზღუდავენ ეროვნული უშიშროების განმტკიცების შესაძლებლობას, შეიცავენ საქართველოზე მუდმივი ზემოქმედებისა და დესტაბილიზაციის საფრთხეს. გარდა ამისა, პოსტსაბჭოურ სივრცეში გამოვლენილი

გეოპოლიტიკური და საგარეო ინტერესთა ცვლილებები ხშირად არამყარსა და ძნელად პროგნოზირებად სიტუაციებს ქმნის, რაც განაპირობებს, აგრეთვე, საქართველოსა და მის მუნიციპალიტეტის გარესიული სეპარატიზმის შდეგები და დარღვეული სახელმწიფოებრივი საზღვრები, კონფლიქტის ზონების ფაქტობრივად მოწყვეტა ერთიანი სახელმწიფოებრივი სივრციდან.

აღნიშნული მყიფე სტაბილურობის მიზეზია დსთ-ში ჩამოყალიბებული უშიშროების სისტემის არასაკმარისი ეფექტიანობა; სახელმწიფოთაშორის ურთიერთოებებში ორმაგი ესტ ნდარების გამოყენება, ტერიტორიებისა და აგრესიული სეპარატიზმის აღკვეთის ერთიანი პოლიტიკური, სამართლებრივი და სხვა აუცილებელი მექანიზმების უქონლობა. აქდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანები და უპირველესი საშუალებაა იმგვარი გეოპოლიტიკური სივრცის ჩამოყალიბება, რომელშიც სამართლიანობისა და დემოკრატიის პრინციპები იქნება ყველა ქვეყნის ინტერესების რეგულირების, ურთიერთგანვითარებისა და ურთიერთუშიშროების მთავარი საფუძველი.

საქართველო ესწრაფვის ორმხრივად ხელსაყრელი ურთიერთობების განვითარებას მეზობელ სახელმწიფოებთან, ევროატლანტიკური თანამეგობრობის ქვეყნებთან, ცენტრალური აზიის, მთლიანად აზიისა და წყნარი ოკეანის სახელმწიფოებთან, შავი და ხმელთაშუა ზღვების აუზის ქვეყნებთან. საქართველოს პარლამენტმა ჯერ კიდევ 1997 წელს მიიღო კონცეფცია ქვეყნის საგარეო კურსისა და სახელმწიფო უსაფრთხოების შესახებ, რომელიც საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავრ პრიორიტეტად ევროპულ სივრცეში ინტეგრირებას მიიჩნევს.

ეს პროცესი დაიწერა 1999 წელს მიღებულმა შეთანხმებამ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, რასაც წინ უსწრებდა დუქსემბურგში გამართული ე.წ. „კავკასიური სამიტი“ და რომელზეც მიღებული ერთობლივი დეკლარაცია კავკასიის სახელმწიფოებს რეგიონალური თანამშრომლობისაკენ მოუწოდება.

დებდა (ევროკავშირის აქტიური მხარდაჭერით) სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით.

სამხერეთ კავკასიაში რეგიონალური თანამშრომლობის განვითარებისათვის ხელშეწყობა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებადაა მიჩნეული. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სახელმწიფოთაშორისი პროექტების მომზადებას და მათ ეფექტისად განხორციელებას, რისი შედეგიცაა მრავალი ხელმოწერილი შეთანხმება TRACECA-სა და INOGATE -ს (ნავთობისა და გაზის სახელმწიფოთაშორისი ტრანსპორტირება ევროკავშირისაკენ) ფარგლებში. მათში სხვა მიზნებთან ერთად განსაზღვრულია შეთანხმების მონაწილე ქვეყნებს შორის რეგიონალური თანამშრომლობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ხელშეწყობა. 2002 წლის თებერვალში ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია ევროკავშირსა და სამხერეთ კავკასიას შორის ურთიერთობების გაღრმავების შესახებ, რომლის ერთ-ერთ საყურადღვბო მომენტია კავკასიში კონფლიქტების დარეგულირების მიმართულებით ევროკავშირის ძალისხმევის გააქტიურების სურვილი.

სამხერეთ კავკასიაში, როგორც მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში, უსაფრთხოების განმტკიცებას და მდგრად განვითარებას სერიოზულ პრობლემებს უქმნის რუსეთი. იგი ცდილობს კავკასიაში და მათ შორის საქართველოშიც საკუთარი სტრატეგიული ინტერესების რეალიზებას, რასაც დაბრკოლებას უქმნის მრავალ ასპექტში მათი შეუსაბამობა საქართველოს ინტერესებთან. ამიტომ რუსეთი ყველა ვერკეტსა და შესაძლო საშუალებებს იყენებს მიზნის მისაღწევად, თუმცა, მასთან საერთო ენის გამონახვა შეუძლებელი არა, რის გარეშე საქართველოს უსაფრთხოებაზე საუბარიც კი ზედმეტია. აუცილებელი გახდება საქართველოს მხრიდან გარკვეულ კომპრომისებზე წასვლა, რისთვისაც წინასწარ საჭიროა „დასავლეთის ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერის მოპოვება და განმტკიცება, ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ კურსის განუხერელი გატარება და დაცვა,

მაქსიმალურად ინტენსიური თანამშრომლობა აშშ-სთან, ნატო-სთან და ევროკავშირთან ...“ [5].

საქართველო და რუსეთი კონკურენტ ქვეყნებად აქცია ჯასპისს ნავთობის ტრანსპორტირების პერსპექტივაში. ამ პროცესის გაკონტროლებას და ბაქო-ნოვოროსისკის მიღსადენის სრულად დაუფლებას ემსახურებოდა რუსეთის მიერ საბრძოლო მოქმედების წამოწყება ჩეჩნეთში, მაშინ როდესაც საქართველომ მსხვილმასშტაბიანი ოპერაციები დაიწყო ბანდიტიზმის წინააღმდეგ, სერიოზული ნაბიჯები გადადგა კომუნიკაციებისა და ნავთობსადენების დასაცავად და თურქეთთან ურთიერთობების განსამტკიცებლად მისგან კრედიტების მიღების მიზნით რეინიგზისა და ნავთობსადენების აღდგენა-რემონტისათვის.

ამიერკავკასიაში რუსეთის პოლიტიკის არაერთგვაროვნებამ, მისი სამშვიდობო მისიის ჩავარდნამ და სხვა ფაქტორებმა მმიმე მდგომარეობაში ჩააგდეს იგი, რითაც ახალი შესაძლებლობები მიეცა თურქეთს კავკასიაში თავისი გავლენის გასავრცელებლად. ეს კარგად ემთხვევა აშშ-სა და მთლიანად ნატოს ინტერესებს რეგიონში, რომელიც ხელს უწყობს თურქეთს და იყენებს თავის ამ წევრს ამიერკავკასიიდან რუსეთის გაძვენაში. სომხეთთან მიმართებაში ამავე მიზანს ემსახურება ნატოს მეორე წევრი ქვეყნა – საბერძნეთი. საფიქრებელია, რომ ეს გააიოლებს ამიერკავკასიის რეგიონის საერთაშორისო ინტეგრაციას, რაც ამ რეგუონის ხანგრძლივი სტაბილიზაციისა და უსაფრთხოების გარანტია შეიძლება გახდეს [6].

დას-ის კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების (რომელიც როგორც საქართველოს, ისე მისგან გამოსული აზერბაიჯანისა და უზბეკეთის აზრით, რუსეთის ინტერესებს უფრო ემსახურებოდა, ვიდრე ამ გაერთიანების წევრების უსაფრთხოებაზე ზრუნვას) უარყოფის შემდეგ საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა შეიძინა უსაფრთხოების განმტკიცების პერსპექტივაში სუუამ-ის ფარგლებში. როგორც ცნობილია, ეს დაჯგუფება სხვა ამოცანებთან ერთად მიზნად ისახავს ნატო-სთან თანამშრომლობის გადრმავებას ეროვნული და რეგიონული უსაფრთხოების საკითხების გადასაწყვეტად. სუუამ-ით აშშ-ის

დაინტერესების გამოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ თავდაცვასა და უსაფრთხოებაში დახმარების აქტი (2000 წ.), რომლითაც აშშ-ის კონგრესმა სუუამ-სა და სომხეთს თანხები გამოუყო და მრუჟიდებლობისა და სუვერენიტეტის განსამზეკიცებლად. აქ იგულისხმებოდა სამხედრო დახმარება, ანტიტერორიზმში დახმარების გაწევა და სხვა. უნდა ვივარაუდოთ, რომ აშშ, თავისი სტრატეგიიდან გამომდინარე, მხარს დაუჭერს სომხეთსა და სუუამ-ის ქვეყნებს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმზეკებაში, კონფლიქტების მოგვარებაში და ა.შ.

მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს ჯერ კიდევ მკაფიოდ არა აქვს ჩამოყალიბებული თავისი ეროვნული ინტერესები, მათი შესაბამისი პოლიტიკა და ეროვნული სტრატეგია, უამისოდ კი მას რუსეთის ორბიტაზე დაბრუნების საფრთხე ემუქრება. აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პატარა და სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის გლობალიზაციის ეპოქაში მკვეთრად მატულობს უსაფრთხო განვითარებისა და ბიზნესის განვითარების ურთიერთდამოებიდებულება. ამიტომ ჩვენს ეროვნულ ინტერესებში შედის იმის სრულყოფილად გაცნობიერება, რომ საქართველოს უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი გარანტი მისი ბიზნესის კარგად განვითარებაა.

ამასთან, გლობალიზაცია გარევეულწილად ზღუდავს ქვეყნის სუვერენიტეტს. აქედან გამომდინარე, საქართველოში წინა პლანზე უნდა წამოვიდეს ჩეენი ეროვნული ინტერესები და განახორციელდეს იმგვარი ღონისძიებები, რომლებიც განამტკიცებს ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს და უზრუნველყოფს მის მდგრად და უსაფრთხო განვითარებას.

ლიტერატურა:

- თ. ჩიკვაიძე. ახალი მსოფლიო წესრიგი და საქართველოს მომავალი: სტრატეგია XXI საუკუნისათვის. ქურნ. „პოლიტიკა“ №4-6, 1998.
- ა. აბრალავა. გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ. ორგანიზაციულ-ეკონომიკური უსაფრთხოებათა განვითარება

ინოვაციურ სფეროში. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემ-ლობა. თბ., 2001.

3. თ. ბახილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001.
4. გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში. თბ., 2000.
5. 6. დურმიშიძე. ხალხთა ეროვნული ოკითხამორკვევის, ტერო-რიზმისა და სეპარატიზმის პრობლემა საქართველოს უსაფრ-თხოვებისთან მიმართებაში. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი №76, 2003.
6. Максоев. Кавказ и его geopolитическое пространство. – *Политика*, 1997, № 1.

SUSTAINABLE AND SAFE DEVELOPMENT OF NATIONAL ECONOMY IN THE EPOCH OF GLOBALIZATION

Anzor Abralava

Candidate of Economic Science

Parliament of Georgia

8, Rustaveli Av., 0108, Tbilisi, Georgia

Summary. Influence of process of globalization on national economy has inconsistent character. During an epoch of globalization decrease in competitiveness of facilities weak economically the countries and amplification of their operation is possible on the part of the advanced states. Such danger presently has sharply put a problem of purposeful conducting process of globalization in reply to which in many countries howled the programs providing their steady development and economic safety are developed. Necessity of the specified programs for Georgia is closely

connected to problems of preservation and strengthening of the state unity of our country and its social and economic progress.

In a transition period strategy of economic safety of Georgia should be guided, first of all, by increase of a standard of life of the population, maintenance of social and economic safety of the country, its constitutional device and preservation of territorial integrity, on preservation of strong system of national values and interests.

Unfortunately in the country on today sharply cost problems caused in result not decisions of an ethnic question and absence of organizing ideology. Promotion on the foreground of national interests and carrying out of the measures strengthening the state sovereignty both providing steady and safe development of the country is necessary.

БЕЗОПАСНОЕ И УСТОЙЧИВОЕ РАЗВИТИЕ НАЦИОНАЛЬНОГО ХОЗЯЙСТВА В ЭПОХУ ГЛОБАЛИЗАЦИИ

Анзор Абрагава

*Кандидат экономических наук,
Парламент Грузии,
Тбилиси, 0108, Пр. Руставели, 8*

Резюме: Влияние процесса глобализации на национальную экономику носит противоречивый характер. В эпоху глобализации не исключено снижение конкурентоспособности хозяйств слабых в экономическом отношении стран и усиление их эксплуатации со стороны развитых государств. Такая опасность в наше время остро поставила проблему целенаправленного ведения процесса глобализации, в ответ на которую во многих странах были разработаны программы, обеспечивающие их устойчивое развитие и экономическую безопасность. Необходимость указанных программ в Грузии тесно связана с проблемами

сохранения и укрепления государственного единства нашей страны и ее социально-экономического прогресса.

В переходный период стратегия экономической безопасности Грузии должна ориентироваться, в первую очередь, на повышение жизненного уровня населения, обеспечение социально-экономической безопасности страны, е, конституционное устройство и сохранение территориальной целостности, на сохранение прочной системы национальных ценностей и интересов.

К сожалению в стране по сегодняшний день остро стоят проблемы вызванные в результате не решения национального вопроса и неимения организующей идеологии. Необходимо выдвижение на первый план национальных интересов и проведение мер, усиливающих государственный суверенитет и обеспечивающих устойчивое и безопасное развитие страны.

КОНЦЕПТУАЛЬНЫЕ ОСНОВЫ ФОРМИРОВАНИЯ БАНКА ОБЩЕНАЦИОНАЛЬНОГО РАЗВИТИЯ

Джахангир Гаджиев

Международный банк Азербайджана

Баку, 370005, ул. Низами, 67, Азербайджан.

Поступила 03 апреля 2003 г.

Резюме: В статье сделана попытка системного изложения концептуальных основ формирования Банка Общенационального Развития. Автор выдвигает и обосновывает тезис о том, что наибольшая эффективность рыночного реформирования достигается при наличии в банковском секторе опорных, ключевых банков общегосударственного масштаба. В этой связи в статье раскрывается сущность и место Банка Общенационального Развития в переходной экономике, его специфика, основные признаки, задачи и функции, очерчиваются главный смысл миссии и приоритетные задачи подобного банка в современных условиях. На примере Международного банка Азербайджана выделяются этапы его становления в качестве Банка Общенационального Развития, показана его роль в активизации формирования единой социально-экономической системы Кавказа

Результаты процесса трансформации национальную экономику

Банковская система переходной экономики Азербайджана стоит перед качественно новым этапом своего развития. Этот этап связан с существенным повышением инвестиционной активности банков, повсеместным и достаточным обеспечением предпринимателей и населения всем спектром банковских услуг (как по количеству, так и по качеству), достижением соответствия банковской деятельности международным требованиям и возможностью долгосрочного кредитования

в необходимых для реального сектора экономики объемах, формированием разветвленной банковской инфраструктурой.

Успешная реализация задач, стоящих перед банковской системой на современном этапе, зависит от эффективной деятельности всех ее элементов.[1]. Данная система в большинстве государств с переходной экономикой складывается, как правило, из классического симбиоза трёх типов организаций:

- национальный (центральный) банк;
- коммерческие банки общегосударственного масштаба;
- коммерческие банки, которые работают на специфических рынках, например, на отраслевом или региональном уровне.

Мировой опыт [2] свидетельствует о том, что наибольшая эффективность рыночного реформирования достигается при наличии в банковском секторе переходных экономик кредитной организации второго типа или, другими словами, **Банка Общенационального Развития (БОР)**. Подобного рода банки (их, кстати, немного), считающиеся «локомотивами» банковской системы, оказывают традиционно сильное влияние на финансовый рынок страны и являются неотъемлемым атрибутом современной экономической жизни. В этой связи определенный научный интерес представляет раскрытие концептуальных основ БОР – его места и роли в переходной экономике, специфики, основных признаков, задач и функций.

По своей сущности БОР представляет собой специфический финансово-кредитный институт, осуществляющий существенное воздействие на денежный оборот страны и имеющий соответствующие правовой статус и назначение. Выступая как на внутреннем, так и на внешнем рынке в качестве многопрофильного предприятия общегосударственного масштаба, БОР играет весомую роль в формировании экономической политики, оказывает решающее влияние на макроэкономические процессы в стране, реализацию государственных программ и крупных международных проектов, имеющих общегосударственное значение, содействует развитию реального сектора экономики. Аккумулируемые подобными банками денежные ресурсы, их последующее

перераспределение дают возможность не только поддержать непрерывность производства и обращения продукта, но и ускорить воспроизводственный процесс в целом. Как правило, такого рода банки выполняют основные операции по указанию органов исполнительной власти, являются уполномоченными банками по приоритетным направлениям хозяйствования. И, наконец, это, в основном, элитные банки, которым предоставлены исключительные (а нередко и эксклюзивные) права на проведение всего комплекса операций со средствами госбюджета и международных кредитных организаций, обслуживание бюджетных программ и проектов, накопительных счетов важнейших государственных учреждений, финансирование проектов общегосударственного значения.

Приведенная выше общая характеристика БОР позволяет вывести следующие его основные признаки:

- БОР должен входить в число крупнейших системных банков страны и быть признанным лидером банковской системы, основой ее стабильности и устойчивости. Присутствие БОР во всех секторах рынка банковских услуг делают его альтернативой любому другому банку страны и обеспечивает функционирование ее банковской системы в любых условиях. Банк «задает тон» в своем экономическом пространстве, определяет тенденции и контуры будущего развития регионального кредитного сектора. Лидерство на рынке складывается из лучшего качества, лучших технологий, лучших продуктов и услуг. БОР активно способствует интеграции страны в мировое сообщество и поддерживает развитие в нем гражданского общества. Наряду с этим, Банку необходимо иметь международное признание, в частности, иметь авторитетные банковские рейтинги по престижным номинациям. Одновременно Банк планомерно расширяет свое присутствие за рубежом (путем открытия дочерних структур и представительств, развития корреспондентских отношений) и на мировых финансовых рынках, что позволяет его клиентам всегда и везде получать полный комплекс современных, качественных, технологичных банковских продуктов и услуг на уровне мировых стандартов.

Опыт развивающихся стран показывает, что реальной альтернативой адаптации за счет жесткого ограничения потребления, которое ведет к падению уровня жизни, как раз является внешнее финансирование. Поэтому в сложившейся экономической ситуации в Грузии при решении проблем природопользования и особенно охраны окружающей среды весьма важной становится роль иностранных инвестиций как потенциального дополнительного источника финансирования. Предполагается, что внешнее финансирование сделает в этом случае проблему адаптации республики к рыночным условиям хозяйствования менее болезненной. Роль же государства сводится к определению наиболее оптимальных направлений для иностранных инвестиций, которые позволят обеспечить получение наибольшего эффекта согласно целям экономического и экологического развития республики. Но вместе с тем и внешнее финансирование, если такое возможно и эффективно, означает лишь сглаживание процесса адаптации, т. к. предусматривает выплату полученных кредитов и процентов к ним.

В настоящее время на международном уровне ведется поиск более надежных и эффективных источников внешнего финансирования для решения трансграничных экологических проблем природопользования Кавказского региона [6]. В качестве одного из таких реальных источников финансирования предлагается использовать заем внешнего долга Грузии в счет мер по охране окружающей среды. После периода катастрофического экономического спада и гражданских войн, несколько стабилизировалась политическая и макроэкономическая ситуация в республике. В последние годы наблюдается более или мен-

ее устойчивый экономический рост. Вместе с тем Грузия остается бедной страной, в которой за чертой бедности находится 20 процентов населения и поэтому республика может рассчитывать на получение официальной помощи для решения региональных экологических проблем. Дело в том, что с точки зрения международных стандартов, внешний долг республики достиг неустойчивого уровня. На его обслуживание расходуется почти третья часть государственного бюджета. Поэтому в этих условиях такой экономический инструмент как заем внешнего долга в счет мер по охране окружающей среды даст возможность республике увязать решение задачи национального экономического развития с созданием трансграничной природоохранной инфраструктуры. Кроме положительного экономического и экологического эффекта от международных природоохранных проектов регионального характера, реализация подобных проектов может повлиять на процессы, способствующие политической стабилизации в Кавказском регионе в целом.

В заключении следует отметить, что практическая реализация экономической и экологической политики в области природопользования находится в зависимости от взглядов на проблему экономического развития вообще правящей политической элиты, от конкретной экономической ситуации, от потребности государства в доходах и т. д. Вместе с тем решение этих вопросов может деформироваться и под влиянием лоббирования различных политических и бюрократических сил в обществе. Надо также иметь в виду, что решение проблем экономического роста в сочетании в проблемой повышения эффективности и экологичности природопользования может осложниться как фиаско рыночного механизма, так и в результате несостоятельности экономической и экологической политики в области природопользования вследствие субъективных обстоятельств, что нередко наблюдается в настоящее время в стране.

Литература:

1. Менкью Г. Принципы Экономикс. Санкт-Петербург, «ПИТЕР», 1999.

2. Макконнелл К. Р., Брю С. Л. Экономикс. Т. 1. Москва, «Республика», 1992.
 3. Нестеров П. М., Нестеров А. П. Экономика природопользования и рынок. Москва, «Закон и право», 1997.
 4. Долан Э. Дж. Деньги, банки и денежно-кредитная политика. Санкт-Петербург, АО «Санкт-Петербург оркестр», 1994.
 5. Долан Э. Дж., Линдсей Д. Е. Микроэкономика. Санкт-Петербург, АО «Санкт-Петербург оркестр», 1994.
 6. Debt Swap for Environment and Development in Georgia: Pre-Feasibility Study, Institutional Options. OECD Secretariat of the EAP Task Force. Final Draft: January, 2003.

ეპონომიკური და ეპოლოგიური პოლიტიკის
თავისებურებები საქართველოს
გუნდისათვალმცენების სფეროში

ნატალია აჩელაშვილი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
პატა გუგუშვილის სახელობის
ეკონომიკის ინსტიტუტი,
0107, თბილისი, ქიქოძის ქ. 14.

მარინე ახელაშვილი
საქართველოს სტატისტიკის
სახელმწიფო დეპარტამენტი
01 15, თბილისი, ჭავჭავაძე

ნილია საქრედიტო-საფინანსო პოლიტიკის შესაძლებლობები ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის პრობლემების გადაწყვეტის დროს; დადგენილია სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ადგილი ბუნებათსარგებლობის ეფექტიანობის ამაღლებაში; გაშუქებულია პიგუს გადასახადის როლი გარემოს გაჭუჭყანების პრობლემების გადაწყვეტაში; გამოკვლეულია გარემოში ნარჩენების გაშვების უფლებების საბაზრო ლიცენზირების შესაძლებელობები; განსაზღვრულია ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის რეგიონული პრობლემების გადაწყვეტის თანამდებობები ეკონომიკური ხერხების გამოყენების პერსპექტივები, კერძოდ, კავკასიის ტრანსასაზღვრო ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის საერთაშორისო პროექტების საქართველოს საგარეო ვალის ჩამოწერის ხარჯზე დაფინანსება.

PECULIARITES OF ECONOMIC AND ECOLOGICAL POLICIES IN NATURE MANAGEMENT OF GEORGIA

Natalia Achelashvili

*Paata Gugushvili Institute of Economics,
 The Georgian Academy of Sciences,
 14, Kikodze st., 0107, Tbilisi, Georgia*

Marina Achelashvili

*State Department for Statistics of Georgia,
 4 K. Gamsakhurdia Avenue, 0115, Tbilisi, Georgia*

Summary. In the paper there are considered main directions of economic and ecological policies in the sphere of environment in Georgia; there is analysed the role of taxation as the most important instrument of economic policy; there are revealed abilities of credit-financial policy at the time of solution of environmental problems; there is verified the significance of the

government expenditure system in the solution of environment problems; there is interpreted the role of Pigovian tax in the solution of environmental problems; there is investigated possibilities of the market licensing for contamination of environment; there is determined the perspectives of implementation of modern economic methods to solve environment's regional problems, in particular, financing of international projects for the debt swap for environment and development in Georgia.

**ბიუჯეტის მართვის ზოგიერ პროგლემები
 პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში
 (საქართველოს მაგალითში)**

ლილი გვენეტიაძე

საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა
 და ფაქტობის სამინისტრო.

0108 თბილისი, ჭანტურიას 12.

შემოვიდა 2003 წლის 15 თებერვალი

რეზიუმე: ბიუჯეტის ეფექტიანი მართვა ქვეყნის საფინანსო უსაფრთხოების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს. პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში საბიუჯეტო კრიზისი სხვა ფაქტორებთან ერთად ბიუჯეტის მართვის პრობლემებითაცაა განკირობებული. ირდევევა ბიუჯეტის მართვის ფუნქციათა ურთიერთქმედების პრინციპები. მოქმედი მარეგულირებელი ნორმები ვერ ქმნის საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანი მართვის სამართლებრივ საფუძველს. შედეგად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი არა მარტო სტაბილურად მაღალია, არამედ ხშირად წლის განმავლობაშიც რამდენიმეჯერ ხდება უკვე მოდებული ბიუჯეტის კორექტირება. ამასთან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი არც ერთხელ არ შესრულებულა. იზრდება სახელმწიფო საგარეო ვალიც.

ბიუჯეტის მართვა ურთულესი პროცესია. ბიუჯეტის მართვის შედეგი კი დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად პასუხობს ბიუჯეტის მიზანი სახელმწიფოს ძირითად მიზნებსა და სტრატეგიას და ასევე იმაზე თუ რამდენად სისტემურად ხდება ბიუჯეტის მართვის ფუნქციათა რეალიზება. სისტემური მიღება ბიუჯეტის ეფექტიანი მართვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას უნდა წარმოადგენდეს, რამდენადაც მისი მხოლოდ ერთ რომელიმე სფეროს მართვაზე ან მართვის ერთ-ერთ ფუნქციაზე გან-

საქუთრებული უპირატესობის მინიჭება საბოლოო მიზნის მიღწევას შეუშლის ხელს.

სტატიაში ბიუჯეტის მართვის პროცესის მოლიანობაში დანახვის მიზნით, მართვის პროცესული მიღვომის კონცეფცია ბიუჯეტზე იქნა განზოგადოებული. აღნიშნულმა ხელი უნდა შეუწყოს ბიუჯეტის მიზნის ეფექტიან რეალიზაციას.

* * *

ქვენის საფინანსო უსაფრთხოება, როგორც საერთოდ საფინანსო სისტემის, ისე მისი ცალკეული სფეროების ეფექტიან მართვაზეა დამოკიდებული. რამდენადაც ბიუჯეტი საფინანსო სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია, მისი ეფექტიანი მართვა ქვენის საფინანსო უსაფრთხოების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პოსტ-კომუნისტურ ქამანებში საბიუჯეტო კრიზისი, სხვა ფაქტორებთან ერთად განპირობებულია იმით, რომ ბიუჯეტის მართვის პროცესისადმი არათანმიმდევრული მიღვით ირდვევა, საყოველთაოდ აღიარებული მართვის ფუნქციათა ურთიერთშეთანხმების პრინციპები, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად ბიუჯეტის მიზნის რეალიზაციას უშლის ხელს. ვიდრე ბიუჯეტის მართვაში არსებულ პრობლემებს შევეხებოდეთ უწინარეს ყოვლისა შევეცდებით განვსაზღროთ რა არის ბიუჯეტი. მით უმეტეს მკლევარ ეკონომისტთა შორის აზრთა სხვადასხავობაა ბიუჯეტის, როგორც ცნების ისე არსის გაგებაში. ჩვენი თვალსაზრისით მიზნობრივი და ეფექტიანი მართვისათვის ჯერ უნდა ვიცოდეთ რა ვმართოთ და შემდეგ უკვე როგორ ვმართოთ და შესაბამისად მოვძებნოთ იმ პრობლემების გადაწყვეტის გზები, რომელიც მართვის პროცესში წარმოიქმნება. აქვე უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ ყოველი მეცნიერება მოქმედებს განსაზღვრული ცნებებით, რომელშიც წარმოებს დაგროვილი ცოდნის კონცენტრაცია. ცნება — ლოგიკურად გაფორმებული ზოგადი აზრია საგანზე. ცნებას მით უფრო დიდი მნიშვნელობა

აქვს, რაც უფრო არსებითია ის ნიშნები, რომელთა მიხედვით არის განზოგადოებული საგანი თუ მოვლენა [1]. აღნიშნული დან გამომდინარე ბიუჯეტის ცნება უნდა განისაზღვროს იმ საერთო და არსებითი ნიშნების მიხედვით, რომელიც ბიუჯეტის ზოგად მნიშვნელობას, აზრს ასახავს. ეს საშუალებას მოგვცემს გავაანალიზოთ საბიუჯეტო ურთიერთობის გამოვლინების ფორმები და ავსენათ მისი არსი, რაც ბიუჯეტის მიზნობრივი მართვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას და საფუძველს უნდა წარმოადგენდეს.

მაინც რა არის ბიუჯეტი? „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით „ბიუჯეტი არის სახელმწიფო სახელისუფლო ორგანოების ფუნქციონირების განხორციელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების მობილიზების და გამოყენების ძირითადი გეგმა“. პლანირება ჩვენი თვალსაზრისით ბიუჯეტის მნიშვნელობას ვერ ასახავს, რამდენადაც დაგეგმვა მხოლოდ ბიუჯეტის მართვის პროცესში კი არ გამოიყენება, არამედ იგი ზოგადად მართვის პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანებს ფუნქციას წარმოადგენს [2]. ამასთან ბიუჯეტის დაგეგმვა თავად პროცესია, რომელმაც ბიუჯეტის მართვის მიზანი და მისი მიღწევის გზები უნდა განსაზღვროს. შესაბამისად დაგეგმვა, უდიდეს როლს ასრულებს ბიუჯეტის მართვის პროცესში, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ბიუჯეტის, როგორც საფინანსო სისტემის ერთ-ერთი სფეროს მნიშვნელობასა და აზრს ასახავდეს. აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ სსენატული კანონი უქმდება და 2004 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელმაც შეცვალა ბიუჯეტის განმარტება და ახლა „ბიუჯეტი – საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემოსულობების, აგრეთვე მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახდელების ნუსხა, რომლებიც დამტკიცებულია ცენტრალური, ავტონომიური რესპუბ-

ლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი დონეების მიერ". ზოგადად როგორც ცნობილია ცნება არ არის საბოლოო, აბსოლიტური, იყი განვითარების, ცვლილების მდგომარეობაში იმყოფება. ამდენად თვით ბიუჯეტის განმარტების ცვლილების ფაქტი სავსებით კანონზომიერია, თუმცა ვფიქრობთ ახალი განმარტებაც ვერ ასახავს ბიუჯეტის, როგორც საფინანსო ურთიერთობის ერთ-ერთ სფეროს მნიშვნელობასა და აზრს, რამდენადაც აღნიშნული განმარტების მიხედვით ბიუჯეტი არის ხელისუფლების მიერ დამტკიცებული შემოსულობებისა და გადასახდელების ნუსხა. ამასთან „ნუსხა“ იგივეა რაც სია, ცხრილი [3]. ბიუჯეტი კი ეკონომიკური კატეგორია და არ შეიძლება თუნდაც ხელისუფლების მიერ დამტკიცებულ შემოსულობებისა და გადასახდელების ნუსხას ნიშნავდეს. ეფიქრობთ აღნიშნულითაა განპირობებული ის, რომ სსენებულ კანონში „საქართველოს საბიუჯეტო სისტემა“ არ განიხილება, როგორც ურთიერთ-დამოკიდებული სხვადასხვა დონის ბიუჯეტების მთლიანობა, რომელშიც თითოეული დონე კონკრეტულად და განსაკუთრებით ახასიათებს საბიუჯეტო სისტემას. ასევე „საბიუჯეტო პროცესი“ არ არის აღქმული როგორც ბიუჯეტის მართვის პროცესი. ჩვენი თვალსაზრისით ის ხარგებები, რომელიც „საქართველოს საბიუჯეტო სისტემების შესახებ“ საქართველოს კანონს გააჩნია, ამ კანონით განსაზღვრული მიზნის რეალიზების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი გახდება. რამდენადაც აღნიშნული კანონის მიზანია განსაზღვროს საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპები და არეგულიროს საბიუჯეტო ურთიერთობები და პასუხისმგებლობა. თუ კი გავითვალისწინებთ იმას, რომ რეგულირება განსაზღვრული წესით წარმართვას ნიშნავს, მაშასადამე სწორედ ხსნებული კანონით უნდა რეგულირდებოდეს საბიუჯეტო სისტემის მართვის პროცესის ურთიერთშეთანხმების ნორმები და პრინციპები.

ჩვენ შეხედულებით ბიუჯეტის, როგორც საფინანსო სისტემის მთავარი სფეროს ზოგადი მნიშვნელობა, საფინანსო ურთიერთობით უნდა განისაზღვროს. აღნიშნულიდან გამომდინარე

ბიუჯეტის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელ ნიშანს უწინარეს ყოვლისა წარმოადგენს ის, რომ მისი მატერიალური საფუძველია ფული. ასევე საბიუჯეტო ურთიერთობის მეორე არსებითი და განმასხვავებელი ნიშანი მისი საფონდო ხასითით განისაზღვრება, რამდენადაც საბიუჯეტო ურთიერთობა, ქვეყნის ეროვნული შემოსავლის განაწილების პროცესში, ქმნის სახელმწიფო ფულადი რესურსების ფონდებს. ადსანიშნავია ისიც, რომ საბიუჯეტო ურთიერთობა, შესაბამის ნორმატიულ-სამართლებრივ აქტზეა მიბმული და შესაბამისად ურთიერთობა მყარდუბა არათანაბარუფლებიან სუბიექტებს შორის.

როგორც ცნობილია ხელისუფლება ისეთი ფუნქციებსა და ამოცანებს ასრულებს, რაც ქვეყნის საერთო ძალისხმევის გამოყენებას მოითხოვს. აღნიშნული კი გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული და მის უზრუნველსაყოფად ხელისუფლებას უნდა გააჩნდეს შესაბამისი ფულადი რესურსები. ფულადი ურთიერთობა, რომელიც ხელისუფლების მიერ არის ორგანიზებული, და რომელიც მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ფულადი რესურსების ფონდების მობილიზებასა და განაწილებას ითვალისწინებს, საბოუჯეტო ურთიერთობას წარმოადგენს. ამგვარად ბიუჯეტი ხელისუფლების მიერ ორგანიზებული ფულადი ურთერთობაა, რომელიც ეროვნული შემოსავლის განაწილების პროცესში მონაწილეობით, ფულადი რესურსების ფონდების მობილიზებითა და გამოყენებით, ხელისუფლების მიწნებისა და ვალდებულებების შესრულებას უზრუნველყოფს. მივგაჩნია, რომ აღნიშნული განმარტება ზოგადად ბიუჯეტის მნიშვნელობას ასახავს, რომლის დახმარებითაც შეიძლება ბიუჯეტის არსის, მისი მთავარი აზრის შეცნობა. რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ბიუჯეტის მიზნობრივი მართვა მოითხოვს არა მარტო იმას, რომ ვიცოდეთ ზოგადად რას ნიშნავს ბიუჯეტი, არამედ იმასაც თუ რაში მდგომარეობს ბიუჯეტის როგორც საფინანსო ურთიერთობის, მთავარი თვისება, მისი არსი და ამით რა ფუნქციას ასრულებს იგი არა მარტო საფინანსო სისტემაში, არამედ მთლიანად ეკონომიკურ სისტემაში.

საქართველოს სახელისუფლო სტრუქტურები, ეროვნული შემთხველის გადანაწილებულ ნაწილს საბიუჯეტო ურთიერთობის პროცესში შექმნილ შესაბამისი ფულადი რესურსების ფონდებიდან იღუბენ. ამ შემთხვევაში ბიუჯეტი, ფონდწარმოქმნის ფუნქციას (სამუშ-

აოს) ასრულებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ფულადი რესურსების მოძრაობით შესაძლებელი ხდება ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების კონტროლის განხორციელება. აღნიშნული ბიუჯეტის მაკინტროლებელ ფუნქციას ასახავს.

ბიუჯეტის ცნებიდან გამომდინარე საბიუჯეტო ურთიერთობის პროცესში ხდება ეროვნული შემოსავლის ნაწილის კონცენტრაცია ფულადი რესურსების ფონდებში და მისი მკაცრად განსაზღვრული მიზნით განაწილება-გადანაწილება. რაც ბიუჯეტის, როგორც საფინანსო სისტემის ერთ-ერთი შემადგენლი სფეროს, მთავარი თვისებას, მის არსეს განსაზღვრავს. ამგვარად ბიუჯეტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ბიუჯეტი – მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ-ერთ გამანაწილებელ ინსტრუმენტს (მეთოდს) წარმოადგენს.

მართვის სპეციალისტთა შეხედულებით დაგვამვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა რესურსების უფექტიანი განაწილებაა. ბიუჯეტი კი მიზნის მისაღწევად რესურსების განაწილების მეთოდია, რომელიც რაოდენობრივად არის დახასიათებულ [2]. ჩვენი თვალსაზრისით რესურსების განაწილება საფინანსო სისტემის ჟელა სფეროს და მათ შორის ბიუჯეტის შინაგან და მთავარ თვისებას წარმოადგენს, რომელიც ზოგადად ფინანსებისა და კრძოდ ბიუჯეტის არსის განმსაზღვრელია. ბიუჯეტის არსიდან გამომდინარე კი მისი როლი საფინანსო სისტემაში იმითაც განისაზღვრება თუ დროის კონკრეტულ პერიოდში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის რა ნაწილის განაწილება-გადანაწილება ხდება ბიუჯეტის მეშვეობით.

ამგვარად საბიუჯეტო ურთიერთობა გარკვეული მიზნით შეარდება, ხოლო ბიუჯეტის მართვაზე პასუხისმგებელია ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურები. მენეჯმენტის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ზოგადად ორგანიზაციის მართვა ნიშნავს მიაღწიო დასახულ მიზანს ადამიანების შრომის, ინტელექტის, მოტივისა და ქცევების გამოყენებით. შესაბამისად მართვა, ორგანიზაციის მიზნის მიღწევის საშუალებას წარმოადგენს, რომელიც მართვის პროცესშული კონცეფციის მიხედვით ოთხი ისეთი ურთიერთდაკავშირებული მართვის ფუნქციებისაგან შედგება,

როგორიცაა დაგეგმვა, ორგანიზაცია, მოტივირება და კონტრლი, რომელთაც კომუნიკაციისა და გადაწყვეტილების მიღების დამაკავშირებელი ფუნქციები აერთიანებს [2]. აღნიშნულიდან გამომდინარე ბიუჯეტის მართვას განვიხილავთ, როგორც პროცესს, რომელიც ხელისუფლების მიერ კანონით უნდა იყოს რეგლამენტირებული და ითვალისწინებდეს ბიუჯეტის მართვის ურთიერთდაკავშირებულ ფუნქციათა (დაგეგმის, ორგანიზაციის, მოტივირებისა და კონტროლის) შეთანხმებულ ქმედებას, რომელთა გაერთიანება უნდა მოხდეს კომუნიკაციისა და გადაწყვეტილების მიღების დამაკავშირებელი ფუნქციებით.

ამგვარად ბიუჯეტის მართვის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას ბიუჯეტის დაგეგმვა წარმოადგენს, რომელმაც უნდა განხაზოვოს საბიუჯეტო ურთიერთობის მიზანი და შემდეგის თურა უნდა გაკეთდეს მიზანის მისაღწევად. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბიუჯეტის გეგმის შედგენას და დამტკიცებას, რომლის შემდეგაც იგი კანონი ხდება, მხოლოდ მაშინ აქვს აზრი თუ კი შესაძლებელია მისი პრაქტიკული რეალიზაცია.

ბიუჯეტის მიზნის პრაქტიკული რეალიზაცა კი მოითხოვს ბიუჯეტის ორგანიზაციის ოპტიმალური ვარიანტის შემუშავებას. მართვის თეორიიდან გამომდინარე ბიუჯეტის ორგანიზაციის ერთ-ერთი ფუნქცია უფლებამოსილებისა და ვალდებულებების დელეგირებაა, ხოლო მეორე შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა [2]. ბიუჯეტის უფაქტიანი მართვის მზნით, შესაბამისმა სახელისუფლო სტრუქტურებმა, საჭირო ორგანიზაციის ხელისუფლი ფუნქციები ბიუჯეტის მართვის ცენტრალური და ეტაპზე განახორციელოს.

ამგვარად ხელისუფლება თავისი ვალდებულებების შესარულებლად, ქნის მისი მიზნებისა და სტრატეგიისის შესაბამის სტრუქტურებს, რომლის მიხედვითაც ხდება უფლებამოსილებისა და ვალდებულებების დელეგირება. იქმნება საერთო-სახულმწიფოებრივი ვალდებულებების განმახორციელებელი სახლისუფლო სტრუქტურები და ავტონომიური, რეგიონული და სხვა ტერიტორიული ერთეულების სახელისუფლო სტრუქტურები, რომლებმაც მათზე დელეგირებული ვალდებულებების,

ფუნქციებისა და უფლებების რეალიზებისათვის უნდა მოახდინონ ფულადი რესურსების მობილიზება და განაწყლება. შესაბამისად საბიუჯეტო სისტემის ორგანიზაციის ოპტიმალური ვარიანტი უნდა შემუშავდეს, რომელიც შემდეგ კონკრეტულ შემსრულებლამდე უნდა იქნეს დაყვანილი. აღსანიშნავია ის, რომ ხელისუფლების მრავალდონიანი სისტემის დასახასიათებლად გამოიყენება ტერმინი „ფედერალიზმი“, რომელ შიც ყოველ დონეს თავისი ბიუჯეტი გააჩნია და იგი მოქმედებს კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში [4]. აღნიშნული უკავშირდება ქვეყანაში სხვადასხვა დონის ბიუჯეტის ფორმირებას და ქმნის შესაბამის საბიუჯეტო სისტემას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ხელისუფლების სტრატეგიის რეალიზაცია. აღსანიშნავია ისიც, რომ დროთა განმავლობაში ხელისუფლების სტრატეგია შეიძლება შეიცვალოს, შესაბამისად ხელისუფლების ორგანიზაციული სტრუქტურა და საბიუჯეტო სისტემის სტრუქტურაც უნდა იქნეს შეიცვლილი.

ბიუჯეტის მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასევე მოტივაცია წარმოადგენს. ხელისუფლებას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ყველაზე საუკეთესოდ შედგენილი ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების გეგმით და სრულყოფილი სახელისუფლო სტრუქტურით, ასევე ყველაზე საუკეთესოდ შედგენილი ბიუჯეტით და შესაბამისი ორგანიზაციულ სტრუქტურით შეუძლებელი იქნება დასახული მიზნების პრაქტიკული რეალიზაცია, თუ კი მათზე დელეგირებული ფუნქციები კინმეს მიერ ხარისხიანად არ იქნა შესრულებული. აღნიშნულიდან გამომდინარე ბიუჯეტის შესრულების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მოტივაციის ფუნქციის მიზნობრივ გამოყენებას. მოტივაცია აუცილებელია იმისათვის, რომ მიღებული გადაწყვეტილება და დასახული მიზნები ეფექტურად იქნეს შესრულებული.

აღსანიშნავია ის, რომ საქართველოში მოქმედი სამართლებრივი ნორმები მეტნაკლებად არეგულირებს ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, მიღებისა და შესრულების, ასევე საბიუჯეტო მოწყობისა და კონტროლის პროცესს. რაც შეეხება მოტი-

ვაციის ფუნქციას იგი საერთოდ ყუადღების გარეშეა დარჩენილი. აღნიშნულს არ ითვალისწინებს ასევე ახლად მიღებული „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონიც. მიგვაჩნია, რომ ბიუჯეტის მართვის პროცესში მოტივაციის პრინციპების მიზნობრივი გამოყენება უნდა ეყრდნობოდეს თანამედროვე მოტივაციის თეორიების განზოგადოებას. რამდენადაც ბიუჯეტის მართვის ეფექტიანობას, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოტივაციის ისეთი თანამედროვე მოდელების გამოყენება, რომელმაც სამუშაოთა კოორდინირებასთან ერთად ადამიანები უნდა აიძულონ შეასრულონ ისინი.


ბიუჯეტის მართვის ერთ-ერთ უნიშვნელოვანებს და ურთულეს ფუნქციას წარმოადგენს ასევე საბიუჯეტო პროცესის კონტროლი. კონტროლის პროცესი, როგორც ცნობილია შედგება ისეთი ფუნქციებისაგან როგორიცაა სტანდარტების დადგენა, ფაქტიურად მიღებული შედეგების გაზომვა და იმ შემთხვევაში თუ კი მიღწეული შედეგი არსებითად განსხვავდება დადგენილი სტანდარტისაგან, შესაბამისი კორექტირების შეტანა. საბოუჯეტო პროცესის კონტროლი იწყება ბიუჯეტის მიღების მომზნებიდან და მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც არასათანადო კონტროლი, საბიუჯეტო რესურსების მობილიზებასა და გამოყენებაში უბრალოდ ქაოსს იწვებს.

პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში ზოგადად ფინანსებისა და კერძოდ ბიუჯეტის მართვაში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სისტემურ მიღომას. ვფიქრობთ ბიუჯეტის მართვა განხილული უნდა იქნეს, როგორც სხვავდასხვა საბიუჯეტო დონეების დია სისტემა. ამასთან ყოველი მათგანი მუდმივად ცვალებად გარემოში, განსხვავებული მიზნის მიაღწევას ცდილობს, ფულადი საშუალებების ფონდების ფორმირებისა და განაწილების თავისებურებით ხასიათდება, სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს და თავისი წელილი შეაქვთ ქვეყნის საბოუჯეტო სისტემის ფუნქციონირებაში. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა აერთიანებს საბიუჯეტო ურთიერთობის ისეთ სფეროებს როგორიცაა: სახელმწიფო ბიუჯეტი, აფხაზეთისა და აჭარის ატონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტი და საქართვე

ლოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტი. ამგვარად სისტემური მიღეომა ბიუჯეტის ეფექტიანი მართვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას უნდა წარმოადგენდეს, რამდენადაც მისი შეოლოდ ერთი რომელიმე სფეროს მართვაზე ან მართვის ერთ-ერთ ფუნქციაზე განსაკუთრებული უპირატესობის მინიჭება სა- ბოლოო მიზნის მიღწვას შეუშლის ხელს.

საქართველოში საბიუჯეტო ურთიერთობების მარეგული- რებელი სამართლებრივი ნორმები ვერ უზრუნველყოფს ქვეყა- ნაში ბიუჯეტის მიზნობრივ და ეფექტიან მართვას. ჩვენი ოვალ- სახრისით არასრულად და ერთმანეთთან დაუკავშირებლად განსაზღვრული ბიუჯეტის მართვის, მხოლოდ ზოგიერთ ფუნქ- ციათა მარეგულირებელი ნორმები ვერ ქმნის ქვეყნის საბიუჯე- ტო სისტემის ეფექტიანი მართვის სამართლებრივ საფუძველს. შედეგად ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტი არა მარტო სტაბილუ- რად მაღალია, არამედ ხშირად წლის განმავლობაშიც რამდე- ნიმეჯერ ხდება უკვე მიღებული ბიუჯეტის კორექტირება. ასე ჰაგალითად „საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონმდებრივება სამჯერ განიცა- და, მიუხედავად ამისა მესამედ კორექტირებული სახელმწიფო ბიუჯეტიც კი ვერ შესრულდა და შემოსავლების 32 პროცენტი- თა და დეფიციტის 68 პროცენტით შემცირებამ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი, ნაწილის 14,8 პროცენტით შემცირება გა- ნაპირობა. მსგავსი მდგომარეობა აღინიშნა 2001 და 2002 წლებშიც. აღსანიშნავია ისიც, რომ „საქართველოს სახელმწი- ფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრუ- ლი სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმიური შემოსავლები და ხარ- ჯები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არც ერთხელ არ შეს- რულებულა (გრაფიკი I) [5].

გრაფიკი 1



ბიუჯეტის მართვის შედეგი დამოკიდებულია იმაზე თუ რა-
მდენად პასუხობს ბიუჯეტის მიზანი სახელმწიფოს ძირითადი
მიზნებსა და სტრატეგიას და ასევე იმაზე თუ რამდენად სისტე-
მურად ხდება ბიუჯეტის მართვის ფუნქციათ რეალიზება.

განასხვავებენ ბიუჯეტის მართვის ორ ძირითად ფორმას
ეს არის რბილი და მკაცრი საბიუჯეტო მართვა. ბიუჯეტის მა-
რთვის ფორმა უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის განვითარების
სტრატეგიას. ამასთან ადსანიშნავია, რომ რბილი საბიუჯეტო
მართვის მეთოდის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ვადაგა-
დაცილებულ დავალიანებისა და საწარმოებს შორის არგადახ-
დების ზრდა, სამეწარმეო აქტივობის ვარდნა. მკაცრი საბიუჯე-
ტო მართვის პირობებში კი იზრდება ფინანსთა სამინისტროს
პასუხისმგებლობა, შეიმჩნევა სახელმწიფო ვალის ზრდის შენუ-
ლება, და იქმნება მისი შემცირების რეალური შესაძლებლობე-
ბი. ადსანიშნავია ისიც, რომ მკაცრი მართვა ასევე ავიწროებს
ბიუჯეტის ხარჯებს [6]. საქართველოში ბიუჯეტის მართვის
ფორმა არ ექვემდებარება ადნიშნულ პრინციპებს, რამდენა-
დაც დაბალი საგადასახადო შემოსავლები ზღუდდავს ბიუჯეტის
ხარჯებს, ხოლო მაღალი საბიუჯეტო დეფიციტი განაპირობებს
სახელმწიფო ვალების ზრდას. ბოლო ხუთი წლის განმავლობა-
ში სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების
ზრდა წინ უსწრებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზარდას.
იზრდება სახელმწიფოს საგარეო ვალიც [7].

საქართველოს მშპ-ში დაბალია როგორც საგადასახადო
შემოსავლების ისე ბიუჯეტის ხარჯების ხევედრიწონა. ასე მა-
გალითად 2000 წელს საგადასახადო შემოსავლების ხევედრითი
წილი მშპ-ში 14,2 პროცენტს შეადგენდა, 2002 წელს კი 14,8
პროცენტს, მაშინ როდესაც ეკონოკავშირის სტანდარტებით, სა-
ქართველოში, საგადასახადო შემოსავლები მოლიანი შიდა
პროდუქტის დაახლოებით 32 პროცენტს უნდა შეადგენდეს [8].

საქართველოს ბიუჯეტის ეფექტიანი მართვა მოითხოვს
დღეს მოქმედი კანონმდებლობაში პრინციპული ცვლილებების
განხორციელებას. ამასთან მოქმედი კანონმდებლობის ბაზაზე
მიზანშეწონილი იქნება შემუშავდეს ბიუჯეტის კოდექსი, რომე-

ლმაც უნდა განსაზღვროს ურთიერთდაკავშირებული ბიუჯეტის მართვის ფუნქციათა ურთიერთქმედების პრინციპები და ნორმები. ამგვარად ბიუჯეტის მართვა, როგორც პროცესი ურთიერთდაკავშირებული მართვის ფუნქციათა ერთობლიობას წარმოადგენს და მან ბიუჯეტისა და შესაბამისად ხელისუფლების მიზნებისა და ვალდებულებების ეფექტური რეალიზაცია უნდა უზრუნველყოს.

ლიტერატურა:

1. Розенталь М. Философский словарь. Москва, Политическая литература., 1975.
2. Мескон М.Х., Альберт М., Хедоури Ф. Основы менеджмента. Москва, Дело, 2002.
3. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი, 1986.
4. პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიკა და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, 2002.
5. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს კონტროლის პალატის ინფორმაცია. შესაბამისი წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების თაობაზე.
6. Бункина М. К., Семенов А. М. Экономическая политика. Москва, 1999.
7. საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტინი. თბილისი, 2002, № 4.
8. GEPLAC. ანგარიში, ერთი მხრივ საქართველოს და მეორე მხრივ ეკონოგაერთიანებასა და მათ წევრ ქვეყნებს შორის დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელების მაჩვენებლების მიმართ. თბილისი, 2000.

SOME PROBLEMS OF BUDGET MANAGEMENT IN THE POST-COMMUNIST COUNTRIES (LESSONS FROM GEORGIA)

Lily Gvenetadze

*Minister of Economy, Industry and Trade
12, Chanturia st., 0108, Tbilisi, Georgia*

Summary: The budget effective management is one of them necessary condition of financial security. The budget crisis together with other factors in the post-Communist countries is conditioned by the problems of budget management. The principles of interaction functions of budget management is breached. Acting regulation norms are not capable of creating strong legal basis for the effective management of the system budget. In result, deficit of statebudget is not onli high stability, but often happen correction of confirmative budget several times during the year. Besides, during the last five years, the law "About of Georgia's state budget" was not fulfilled. The national foreign debt was grown too.

Budget management is the most difficult process. Result of budget management is dependent on how much answers budget's aim to general aims and strategy of state and also dependent on how much sistemly happen realisation of budget management's functions. One of the necessary condition budget effective management is systemed approach, how much privileged approach one of the sphere of management or one of the functions of management influences on achievement of aim negatively.

In order to understand the whole and interaction the process budget management, the conception of the process approach management has been generalized in the article. The latter, must further the effective realization of the budget target.

НЕКОТОРЫЕ ПРОБЛЕМЫ УПРАВЛЕНИЯ БЮДЖЕТА В ПОСТКОММУНИСТИЧЕСКИХ СТРАНАХ (НА ПРИМЕРЕ ГРУЗИИ)

Лили Гвенетадзе

Министерство экономики,
промышленности и торговли
Тбилиси, 0108, ул. Чантурия 12.

Резюме: Эффективное управление бюджета является одним из обязательных условий финансовой безопасности страны. В посткоммунистических странах, бюджетный кризис, вместе с другими факторами, обусловлен проблемами бюджетного управления. В частности, нарушаются принципы взаимодействия функций управления бюджета. Действующие нормы регулирования не создают правовой основы эффективного управления бюджетной системой. В итоге государственный бюджетный дефицит Грузии не только высокий и стабильный, но и зачастую несколько раз в течении года происходит корректировка уже утверждённого бюджета. На протяжении последних пяти лет закон „О Государственном бюджете Грузии“ никогда не выполнялся. При этом растёт и государственный внешний долг.

Управление бюджета чрезвычайно сложный процесс. Результат управления бюджета зависит от того насколько цель бюджета отвечает основным целям и стратегиям государства и от того насколько системно происходит реализация функций управления бюджета. Одним из обязательных условий эффективного управления бюджета является системный подход.

Чтобы охватить процесс управления бюджета в целом и в взаимодействии, в статье сделано обобщение концепции процессного подхода управления, что должно способствовать эффективности реализации цели бюджета.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული პრივატციისა და საბაზარისახაზო- საზონანსო სამიანობის პიპლიური გააზრება

(INTERVIEW WITH A STUDENT OF THE UNIVERSITY OF GEORGIA)

შიხაშვილი გიორგი

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
0102, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 2

შემოვიდა: 2003 წლის 18 ივნისს

რეზიუმე. სტატიაში გადმოცემულია შემდეგი ძირითადი საკითხები: ბიბლიოური სწავლება სამეცნიერო და საგადასახადო-საფინანსო საქმიანობა; ძირითადი თეოლოგიურ-ეკონომიკური თემატიკა, რომელზეც მუშაობენ თანამედროვე უცხოელი მეცნიერები და ორგანიზაციები; საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების უმთავრესი მოქმედები; მდგრადი განვითარების გაეროს კონცეფციის ძირითადი დებულებები სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობაში მკვიდრი მოსახლეობისა და ადგილობრივი ტრადიციების როლის შესახებ; მოსაზრებები თეოლოგიური (ქრისტიანული) ეკონომიკის არსის შესახებ; მოსაზრებები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის თეოლოგიურ-ისტორიული პარადიგმების შესახებ; წინადაღებები ასეთი კონცეფციის შექმნისათვის საჭირო მუშაობის ძირითადი მიმართულებების შესახებ.

გაეკვითებულია დასკვნა, რომ ყოველმხრივ გააზრებული, ბიბლიოურ სწავლებაზე დამყარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის და შესაბამისი სამთავრო პროგრამის შემუშავება-განხორციელება შექმნის მყარ გარანტიას საქართველოს რეალური საზოგადოებრივი პროგრე-

სისათვის და გლობალურ სისტემაში მისი ჭეშმარიტი მისის
დაღვენისა და დირსული ადგილის დამკვიდრებისათვის.

* * *

„მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო
დმერთს დმრთისა” (მათ. 22, 21)

პოსტსოციალისტურმა რეფორმებმა საზოგადოებრივი ცხო-
ვების პრაქტიკულად ყველა სფერო მოიცვა, რომელთაგან უძ-
ნიშვნელოვანები - ეკონომიკაა.

გარდამავალი პერიოდის კომპლექსური ეკონომიკური პრო-
ბლემების პრაქტიკული გადაჭრა და ქეყნის შემდგომი წინსვ-
ლა ორგანულად არის დამოკიდებული ყოველმხრივ გააზრებუ-
ლი სათანადო თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების ჩა-
მოყალიბებაზე.

ნებისმიერი საქმის წარმატება უშეალოდ არის დამოკიდე-
ბული გულმოდგინე გააზრების, დაგეგმვის, სათანადო შესაძ-
ლებლობების გამოვლენისა და შესაბამისი სახსრებით უზრუნ-
ველყოფის სიავგარგეზე. აქ მოვიხმოთ სახარებისეული სიბრძნე
რომლითაც გვმოძღვრავს და გვაფრთხილებს უფალი იესო
ქრისტე: „...თუ რომელიმე თქვენგანი კოშის აგებას მოისურ-
ვებს, განა თავდაპირველად არ დაჯდება და არ გამოთვლის
ხარჯს, რაც დასჭირდება მის დასრულებას? რათა, საძირკველს
თუ ჩაყრის, მაგრამ ვერ შესძლებს დაასრულოს, მნახველებმა
დაცინება არ დაუწყონ მას, და არა თქვან: აი, კაცი, რომელმაც
დაიწყო შენება და დასრულება კი ვერ შესძლო” (ლუკ. 14, 28-
30).

დღეს, ახალი საზოგადოების შენებლობის პროცესში,
ჩვენ სწორედ ასეთ საჩოთირო მდგომარეობაში აღმოვჩნდით,
რაც მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზით არის გა-
მოწვეული. ამ მიზეზთა შორის უპირველესად აღსანიშნავია
ეკონომიკური რეფორმის არაყოველმხრივი მეცნიერული და

თეორიულ-მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა, რაც ფუნდამენტური კონცეფციის არქონასა და იდეების უცხოთაგან კალექტურაში არის გამოხატული.

ფუნდამენტური კონცეფციის შემუშავებისათვის აუცილებელია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა გათვალისწინება და მათი პარმონიული ურთიერთშეხამება. სწორედ ასეთ გზას უნდა დაადგნენ ცალკეული ქვეყნები და მთელი ქართული ორბრიობა XXI საუკუნეში.

გაეროს მიერ 1992 წელს მიღებული და მთელი მსოფლიო სათვის რეკომენდებული პოსტინდუსტრიული ეპოქის გრანდიოზული პროგრამა (მდგრადი განვითარების პრინციპები და “XXI საუკუნის დღის წესრიგი”) მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს ორგანულად დაუკავშირონ ერთმანეთს ტრადიციული და თანამედროვე საერთაშორისო სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური მიღწევები ხანგრძლივი და მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისათვის. მაგალითად, 22-ე პრინციპში ნათქვამია, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრაში უდიდესი როლი ენიჭება მკვიდრ მოსახლეობას, მის ცოდნას და ტრადიციულ პრაქტიკას. სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ მოსახლეობის თვითმყოფადობას, კულტურას, ინტერესებს და უზრუნველყონ მისი ეფექტიანი მონაწილეობა მდგრადი განვითარების საქმეში [2, გვ. X].

ზოგადიკაცობრიო და ეროვნულ ფასეულობათა შორის გამორჩეული ადგილი ბიბლიას, თეოლოგიურ ზნეობას და მასზე დაფუძნებულ სათანადო ეკონომიკურ და საგადასახადო-საფრნანსო საქმიანობას უკავია.

სამეცნიერო საქმიანობის ბიბლიურ ასპექტებს დიდი ხანა იკვლევენ დასავლეთის თეოლოგები და სწავლული ეკონომისტები. ამ საქმეში ჩაბმული არიან ცნობილი უნივერსიტეტები და სპეციალიზებული ინსტიტუტები. უცხოეთში ჩამოყალიბდა ისეთი მეცნიერული დისციპლინები, როგორიცაა: თეოლოგიური ეკონომიკა, ქრისტიანული ეკონომიკა, თეოლოგიური სამეცნიერო ეთიკა, ქრისტიანული ბიზნესი და სხვა. გამოკვლეულის შედეგში დის პრაქტიკული გამოყენების საფუძველზე საზღვარგარეთ იქმნება მდგრადი განვითარების საქმეში [2, გვ. XI].

წება სათანადო სამეცნიერო-საფინანსო კანონმდებლობა და ვითარდება ზნეობრივი ბიზნესი.

მაგალითად, ზნეობრივი ეკონომიკის ფუნდამენტურ რელიგიურ საკითხებს იყვლევენ თანამედროვე ამერიკელი მეცნიერები მაქს სტაქსაუსი – პრინციპონის თეოლოგიური სემინარიის პროფესორი, დენის მაკანი – და პაულის უნივერსიტეტის პროფესორი, შირლი როელსი – კელვინის კოლეჯის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი და პრესტონ უილიამსი – პარვარდის უნივერსიტეტის საღვთისმეტყველო სკოლის პროფესორი. მათი ნაშრომებიდან აღსანიშნავია 1995 წელს მიჩიგანში გამოცემული 979 გვერდიანი მონოგრაფია – “მორალური ბიზნესი. ეკონომიკური ცხოვრების ეთიკის კლასიკური და თანამედროვე რესურსები” [3].

წიგნში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

- ეკონომიკის ბიბლიური პრინციპები: თეორია და პრაქტიკა;
- საკუთრება და სიმძიდრე ძველ აღთქმაში;
- ახალი აღთქმის გამოყენება სოციალურ ეთიკაში;
- მართლმადიდებლური, კათოლიკური და პროტესტანტული მიდგომები ეკონომიკაში;
- მარქსიზმი და ქრისტიანობა;
- კაპიტალიზმი და ქრისტიანობა;
- რელიგია და ეკონომიკური კულტურა;
- მენეჯმენტის და ბიზნესის ეთიკა;
- თეოლოგია და ფული;
- დმერთი და მთლიანი შიდა პროდუქტი;
- ფინანსური ეთიკა;
- ტრანსნაციონალური კორპორაციების ეთიკა;
- ეკონომიკური განვითარება და გლობალური ეკოლოგია ქრისტიანული პარადიგმების ფონზე.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ლოს-ანჯელესის ბიოლას უნივერსიტეტის პროფესორის სკოტ რაეს და სიეტლის პაციფიკისტური უნივერსიტეტის პროფესორის კენმან ვონგის ფუნდამენტური,

656 გვერდიანი ნაშრომი – „უმაღლესი პატიოსნება. იუდეურ-ქრისტიანული მიდგომა ბიზნესის ეთიკისადმი”, გამოცემული მიჩიგანში 1996 წელს [4]. მასში განხილულია შემდეგი საკითხები:

- ქრისტიანობა, ბიზნესი და პოსტთანამედროვე ზნეობა;
- ინვესტორების ეთიკა;
- ეთიკა გლობალურ ექონომიკაში;
- კაპიტალიზმი და ბიბლიური ფასეულებები;
- პროდუქციის ხარისხი და სახურსათო უსაფრთხოება;
- ეკონომიკური განვითარება და გარემო;
- კორპორაციების თეოლოგია.

გვერდს ვერ ავუვლით ისეთ მონიგრაფიას, როგორიცაა შეეიცარელი ეკონომისტის და თეოლოგის, პროფესორ არტურ რიხის ფუნდამენტური, 810 გვერდიანი ნაშრომი – „სამეურნეო ეთიკა”, თარგმნილი და გამოცემული რუსულ ენაზე 1996 წელს მაინის ფრანკფურტსა და მოსკოვში [5]. მასშიც გამოკვლეულია უმნიშვნელოვანესი პრობლემები:

- ეკონომიკის არსის ეთიკური პარამეტრები;
- მოყვასის სიყვარული სამეურნეო საქმიანობაში;
- ეკონომიკის ეკოლოგიური დანიშნულება;
- ინდუსტრიული ეთიკა;
- სოციალისტური და კაპიტალისტური ეკონომიკა ზნეობის თვალსაზრისით;
- თანამონაწილეობა განაწილებაში;
- საბაზრო ეკონომიკის კოორდინაციის მექანიზმები.

უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომი შესრულდა რუსეთში 1994-2000 წლებში, სახელწოდებით – „რუსეთის მართლმადიდუბელი ეპლესიის სოციალური კონცეფციის საფუძვლები” [6], მისი მოცულობაა 127 გვერდი. ნაშრომი მომზადებულია ავტორთა კოლექტივის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ეპისკოპოსები, სამღვდელო პირები და ცნობილი მეცნიერებით მათ შორის – ეკონომისტებიც.

ნაშრომში გადმოცემულია ბიბლიური სწავლების ფუნქციების დებლური დებულებები ეკლესიურ-სახელწიფოებრივი ურთიერ-

თობების და საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე პრობლემების შესახებ. იგი ითვლება დოკუმენტად, რომელიც ასახავს მოსკოვის საპატრიარქოს ოფიციალურ პოზიციას სახელმწიფოსთან და საერო საზოგადოებასთან ურთიერთობების სფეროში. განსაზღვრულია, რომ ამ ნაშრომის საფუძველზე მიღებულ იქნას სათანადო დოკუმენტები ცალკეულ კონკრეტულ საკითხებზე.

კონცეფციაში განხილულია საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

- ძირითადი საღვთისმეტყველო დებულებები;
- ექლესია და ერი;
- ექლესია და სახელმწიფო;
- ქრისტიანული ეთიკა და საერო სამართალი;
- ეკლესია და პოლიტიკა;
- საქუთრება. შრომა და მისი ნაყოფი;
- ომი და მშვიდობა;
- ხალხის და პიროვნების ჯანმრთელობა;
- პიროვნული, ოჯახური და საზოგადოებრივი ზნეობრიობის საკითხები;
- ექლესია და ეკოლოგიის პრობლემები;
- ბიოეთიკის პრობლემები;
- მცნიერება, კულტურა, განათლება, მასმედია;
- საერთაშორისო ურთიერთობები. გლობალიზაციის და სეკულარიზმის პრობლემები.

ადნიშნულ ნაშრომებში, სხვა მნიშვნელოვან მომენტებთან ერთად, ხაზგასმულია, რომ თანამედროვე პირობებში აუცილებელია სამეურნეო და საგადასახადო-საფინანსო საქმიანობის რადიკალური პუმანიზაცია თეოლოგიური პრინციპების და ზნეობის საფუძველზე. ნაშრომებში გადმოცემული იდეები და რეკომენდაციები განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებადი ქვეყნებისათვის, სახელმობრ საქართველოსათვის, სადაც ესოდენ მწვავედ ვლინდება გაუაზრებელი და უზნეო ეკონომიკური საქმიანობის სავალალო სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური ჟღევები. ამდენად, უაღრესად მნიშვნელოვანია დასავლეთის

ანალოგიური კვლევითი მუშაობის გაშლა და მიღებული შედებების პრაქტიკაში დანერგვა ჩვენს სინამდვილეშიც.

ამ სფეროში სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის დაწყების და ეფექტიანი წარმართვის საფუძვლად წარმოგვიდგება კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ოკურენტულ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, რომელიც ხელმოწერილ იქნა ხვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში 2002 წლის 14 ოქტომბერს.

თეორიულ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ამ ხელშეკრულებაში უმთავრესია მუხლი 1.1, რომელშიც ნათქვამია; „სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ“ [7, გვ. 6].

ხელშეკრულებაში ასახულია, აგრეთვე, ისეთი მნიშვნელოვანი მომენტები, როგორიცაა:

- ეკლესიის ოურიდიული სტატუსი (მუხლი 1.3);
- საეკლესიო ჯვრისწერის და სამოქალაქო ქორწინების სტატუსი (მუხლი 3);
- მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთობლივი პროგრამების განხორციელების საკითხი (მუხლი 4.3);
- განათლების საკითხები (მუხლი 5);
- საკუთრებითი, ქონებრივი, სამეწარმეო, საფინანსო, საქველმოქმედო, საინვესტიციო, საგრანტო, საშემოსავლო და საგადასახადო ურთიერთობები (მუხლები 6.1 – 6.6);
- საეკლესიო ნაგებობების და საეკლესიო საგანძურის დაცვისა და მოვლა-პატრონობის საკითხები (მუხლები 7.1 – 7.2; 8.1 – 8.2; 9.1 – 9.2);
- XIX-XX საუკუნეებში ეკლესიისათვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ნაწილობრივი კომპენსაციის საკითხი (მუხლები 11.1 – 11.2).

მთლიანად, დოკუმენტის შინაარსი გვიდასტურებს საზოგადოებრივი ცხოვრების თეოლოგიურ-საერო (სინერგიული) გააზრების აუცილებლობას, შესაძლებლობას და წარმოგვიდგება ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანეს თეორიულ-მეთოდოლოგიურ

ქაკუთხედად. იგი ქმნის საუკეთესო წანამძღვარს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის შემუშავებისათვის, რომლის საფუძველს იღიასეული, ბიბლიური სწავლებიდან გამომდინარე სამერთიანი პარადიგმები: „ენა, მამული, სარწმუნოება” და „წარსული, აწმყო, მომავალი” – უნდა წარმოადგენდნენ.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და საგადასახადო-საფინანსო საქმიანობის ოროლოგიურ-ქრისტიანული საფუძვლების გააზრებისათვის აუცილებელია ბიბლიის სათანადო შესწავლა.

როგორი საზომებითაც არ უნდა მიუვადგეთ ბიბლიას, იგი სრულიად უნიკალური წიგნია. ბიბლიური თხრობა იწყება სამყაროს შექმნით, პირველი ადამიანების ყოფა-ცხოვრებით და მთავრდება რომაული კულტურის ეპოქით. ბიბლიის ყველაზე გვიანდელ წიგნებსაც კი თითქმის ორი ათასი წელი უსრულდებათ. მიუხედავად ასეთი სიძველისა, ბიბლია დღესაც უაღრესად ქმნიალურია. ასეულობით მილიონი ადამიანი დღევანდელ ეპოქაშიც ეწავება და ცხოვრებაში იყენებს ბიბლიურ სიბრძნეს. ამას საფუძვლად უდევს ლვთაებრივი მოძღვრების ჭეშმარიტება, სიწმინდე, უბერებლობა და ყოვლისმომცველობა.

ბიბლიის გავლენით საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის საფუძვლები – ეკონომიკა, სამართალი, მეცნიერება, განათლება, კულტურა, და მოქარისელი იდეალები, ადამიანის უფლებათა კონცეფციები. ეპროპის უდიდესი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მოღვაწეების საქმიანობა ბიბლიური იდეებით იყო განმსჭვალულ-შთაგონებული.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ტექნიკური წინსვლის პრქამ თითქოს ჩრდილში მოაქცია რწმენა, ბიბლია და მისი იდეალები, მაგრამ ცივილიზებული მსოფლიოს გამოჩენილი ჟეცნიერები, მეწარმეები და სახელმწიფო მოღვაწეები თვალსათლივ გვიჩვენებენ ასეთი გარემოების მოჩვენებითობას და მცდარობას. მოვიხმოთ ზოგიერთი მათგანის გამონათქვამები ამის შესახებ.

ალბერტ ეინშტეინი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ფიზიკოსი “რაც უფრო მეტ აღმოჩენებს აკეთებს მეცნიერება ფიზიკურ სამყაროში, მით უფრო მეტად მივდივართ დასკვნებამდე, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ რწმენით” [8, გვ. 41].

მაქს ბორნი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ფიზიკოსი: “მეცნიერება სწავლულს ბევრ მორალურ და ეთიკურ მოთხოვნას უყენებს. თუ მეცნიერს სწმას ღმერთი, ეს მას უადვილებს პრობლემას. მეცნიერს უნდა პქონდეს დიდი მოთმინება და მორჩილება, ამ თვისებებს კი მას რელიგია აძლევს” [8, გვ. 35].

ალფ ბიერჟე, ნორვეგიის ბიერჟეს საღებავების კორპორაციის პრეზიდენტი: ”თანამედროვე მეცნიერებამ ვერ მოკლა ბიბლიის ფუნდამენტური ჭეშმარიტებები. მე მწამს დმერთ, იესო ქრისტე, მე მწამს ბიბლია” [8, გვ. 14].

ჯორჯ ვაშინგტონი, ამერიკის 1-ლი პრეზიდენტი: ”შეუძლუ ბელია მართო ქეყანა და მსოფლიო დმერთის და ბიბლიის გარეშე” [9, გვ. 130]. ამ აზრს ანკითარებს უილიამ მაკეინლი, ამჟრიელის 25-ე პრეზიდენტი: “ჩვენ ვალდებული ვართ შევისწავლოთ ბიბლია, ოღონდ არ უნდა შემოვიფარგლოთ ამით, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ იგი ცხრვებაში” [9, გვ. 131], ხოლო თუ ოდორ რუზველტი ამბობდა: “თითქმის ყველა ადამიანი, რომელთა საქმიანობას შედეგი მოპქონდა, თავის ცხოვრებისეულ გზას ბიბლიურ სწავლებაზე ამყარებდა” [10, გვ. 97].

უაღრესად მრავალფეროვანია ეკონომიკური სამყარო ბიბლიისა, რომელშიც სიღრმისეულად არის ასახული ისეთი თემატიკა, როგორიცაა: საკუთრება, ქონება, სიმდიდრე, სიღარიბე მოთხოვნილებები, წარმოების ფაქტორები, სამურნეო საქმიანობა, შრომა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ფული, საფინანსო, საგადასახადო, სახესხეო და საბაჟო საქმე, ვაჭრობა, მოგზავნა, ადრიცხვა, სტატისტიკა, მართვა, დაგეგმვა, ორგანიზაცია, მოტივაცია, კონტროლი, ეფექტიანობა, გარემოს დაცვა, ქველმოქმედება, საერთაშორისო ეკონომიკა, ომები და სხვა.

აღნიშნული თემატიკა გადმოცემულია სამეცნიერო კვლევისათვის მიღებული და აუცილებელი ისეთი ფორმებით, როგორიცაა:

- დოგმატურ-საღვთოსმეტყველო დებულებები და საღმრთო განჩინებები;
- საღვთო და საერო აზროვნება-მოქმედებათა სინერგია;
- ზოგადიურიდიული და სამეურნეო სამართლის ნორმები;
- მეცნიერული კვლევა და მსჯელობა;
- სოციალურ-ეკონომიკური აზრის და სამეურნეო ცხოვრების ისტორია;
- ცალკეული მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური და კოლოგიური მოვლენები;
- სამეურნეო-პრაქტიკული და მმართველობითი საქმიანობის მეთოდები.

ყოველივე ეს ადასტურებს ბიბლიის უზენაეს თეორიულ-მეთოდოლოგიურ დირებულებას და მისი მეცნიერული შესწავლის შესაძლებლობა-აუცილებლობას სოციალურ-ეკონომიკური პროფილის მკვლევართათვის.

საგადასახადო თემატიკას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბიბლიურ დევთისმეტყველებასა და ისტორიაში. საზოგადოებრივ და საგადამხდელო მოვალეობათა საფუძვლები ასახულია სინას მთის კანონმდებლობაში, რომელიც ღმერთმა თავისი სასწაულებრივი გამოცხადების დროს დაუდგინა მორწმუნებალებს. ბიბლიურ კანონმდებლობას სხვაგვარად მოსეს კანონმდებლობა (რჯული) ეწოდება, ვინაიდან სწორედ მოსემ მოამზადა ერთ საღვთო რჯულის მისაღებად და ღმერთმაც მოსეს მეშვეობით გადასცა იგი ხალხს წერილობითი სახით.

მოსეს რჯულის მიხედვით საგადასახადო მოვალეობა ატარებდა საყოველთაო ხასიათს და ვრცელდებოდა არა მხოლოდ ადამიანთა რომელიმე ცალკეულ უენაზე, არამედ სახელმწიფოს უკელა წევრზე. ებრაელთა იმჟამინდევლ სახელმწიფოში, მისი მარტივი ორგანიზაციული მოწყობის გამო, არ არსებობდა ისეთი სახელისუფლებო დაწესებულებები, რომლებიც გარეშე მატერიალურ მხარდაჭერას საჭიროებდნენ. ამიტომ არც მაშინ და

არც მსაჯულთა მმართველობის დროს მოსახლეობის საგადასახადო მოვალეობა არ ატარებდა განსაზღვრულად სახელმწიფო უფლებრივ ხასიათს. ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც დახმარებას საჭიროებდა და რომლისთვისაც ღმერთმა საყოველთაო საგადასახადო ბეგარა დააწესა - იყო რელიგიური ორგანიზაცია, თავისი სადღესასწაულო კარვით, აღთქმის კიდობნით და მღვდელმსახურთა უენით. ამდენად, საგადასახადო მოვალეობა განსაკუთრებულად რელიგიური ხასიათისა იყო [11, გვ. 795-861].

გადასახადთა შორის უპირველესად უნდა აღინიშნოს ეწესულის გამოსასყიდი, რომლის დადგენისას უფალმა უთხრა მოსეს: “როცა შეუდგება (აარონი – გ.შ.) ისრაელიანთა აღრიცხვებას მათი სათვალავის გასაგებად, გადაუხადოს თითოეულმა აღრიცხვის დროს თავისი სულის გამოსასყიდი უფალს, რომ ესმი არ მოედოთ აღრიცხვისას. ეს უნდა გადაიხადოს ყველამ, ვინც სათვალავში გადის: ნახევარი შეკელი საღვთო-შეკელის მიხედვით: ოცი შერაა შეკელში; ნახევარი შეკელი საუფლო ძღვნია. ყველა, ვინც კი სათვალავში გადის, ოცი წლის ასაკიდან მოყოლებული, ძღვნი უნდა მიართვას უფალს. მდიდარმა არ უნდა გადაამეტოს და ლარიბმა არ უნდა დააკლოს ნახევარ შეკელს, რასაც უფალს აძლევთ ძღვნად თქვენი სულის გამოსასყიდად. აკრიფე გამოსასყიდი ვერცხლი ისრაელიანთაგან და გაეცი სადღესასწაულო კარვის სამსახურისათვის. იყოს სამახსოვრო ისრაელიანთათვის უფლის წინაშე თქვენი სულის გამოსასყიდად” (გამ. 30, 12-16).

აარონს და მის შთამომავლობას ღმერთმა მღვდლობის სამსახური მიანიჭა. ამასთან დაუდგინა: “აპა, გავალებ ჩემთვის შემოწირული დალისათვის ყურისგადებას; ისრაელიანთა მთელს შემოწირულობას გაძლევ წილად შენ და შენ შეილებს სამარადისო წესით” (რიცხ. 18, 8). ლევიტელებს კი ღმერთმა მისცა “სამკვიდროდ ყველაფრის მეათედი, რაც ისრაელშია, მათი სამსახურის სანაცვლოდ, რასაც სადღესასწაულო კარავთან ასრულებენ” (რიცხ. 18, 21), ამასთან დაუწესა: “როცა ისრაელიანთაგან აიღებთ მეათედს, რომელიც თქვენთვის მაქვს მათგან მოცემული თქვენს სამკვიდროდ, უფალს გადაუხადეთ მისგან

დალა - მეათედი მეათედიდან; ... მისგან გადაუხდით საუფლო დალას აარონ მღვდელს” (რიცხ. 18, 26, 28).

მოსახლეობისათვის დადგენილი იყო, აგრეთვე, მეათედი მთელი მოსაკლიდან, რომელიც ყოველწლიურად მოდის ყანაში, ხორბლის, ღვინის და ზეთის მეათედი, საქონლისა და ცხვრის პირველმოგებული საერთო- სახალხო ზეიმისათვის (რჯლ. 14, 22, 23). ცალქე იყო დაწესებული ბეგარა მიწის ყოველი პირველმოწეული ნაყოფის სახით; იგი ხმარდებოდა საზოგადოებრივ ზეიმებს (რჯლ. 26, 1-5), რომელებმიც, სხვათაშორის, დარიბი მოსახლეობაც მონაწილეობდა.

ყველა ეს რელიგიური ბეგარა სავალდებულო იყო თითოეული ადამიანისათვის, კანონი არ ყოფდა მოსახლეობას გადამხდელებად და არაგადამხდელებად. მეათედური წესით განსაზღვრული გამოსაძები საშემოსავლო ხასიათს ატარებდა, ანუ არ იყო მუდმივად დადგენილი და ყოველთვის ეფარდებოდა შემოსაკლის ოდენობას. ხოლო სულის გამოსასყიდის გადახდა ხდებოდა ყველასათვის დაწესებული თანაბარი რაოდენობით – ხახვარი შეკელი ვერცხლი დარიბისა და მდიდრისათვის.

აღსანიშნავია, რომ კანონი ანთავისუფლებდა ახალდაქორწინებულს ყოველგვარი სოციალური თუ ეკონომიკური ბეგარისაგან ერთი წლის განმავლობაში: “თუ ვინმეს ცოლი ახალი მოყვანილი ჰყავს, ნუ გავა სალაშქროდ და ნურც ნურაფერი დაეკისრება მას; ერთი წლით თავისუფალი იყოს სახლისთვის და გაახაროს თავისი ცოლი, რომელიც მოიყვანა” (რჯლ. 24, 5). ამაში ნათლად სჩანს ბიბლიური კანონმდებლობის კაცომოყვარე ხასიათი, რის საფუძველზეც ახალდაქორწინებულს ეძღვა საშუალება სრულად ჩაერთოს საშინაო მუერნეობის კეთილმოწყობისა და ოჯახის განმტკიცების უმნიშვნელოვანეს საქმეში.

მოსეს რჯული, მისი სადვთო წარმომავლობის გამო უზენაესი სიყვარულით, პუმანიზმით, სიბრძნით, სამართლიანობით და ძალით არის გამსჭვალული. ასევე სადვთო განგებულებით, მას უდიდესი ისტორიული დანიშნულება აქვს.

ცოდვით დაცემული კაცობრიობისათვის საბოლოო მსოფლიო-ისტორიული მიზანი ღმერთთან შერიგებაში და ზნეობის აღორძინებაში მდგომარეობს. ამ უდიდესი მიზნის განხორციელებისათვის და ამ პროცესში სხვა ერების მოზიდვა-ჩართვისათვის ღმერთმა ებრაელი ერი შეარჩია და სამოქმედო გეგმა კანონმდებლობითაც აღჭურვა. ამდენად, ბიბლიურ სწავლებას ყოველი ერისა და სახელმწიფოსათვის უზენაესი მნიშვნელობა გააჩნია.

მოსეს კანონმდებლობა და დამოუკიდებელი სახელმწიფო მაშინ ებობა ებრაელებს, როდესაც ისინი უფლის ნებით გაგატის მონობისაგან გათავისუფლდნენ და საზოგადოებრივ აღმშენებლობას შეუდგნენ. ეს გარემოება ნებისმიერმა ხალხმა და ქვეყანამ, მათ შორის საქართველომაც უნდა გაითვალისწინოს დამოუკიდებელი განვითარების პროცესში. მხოლოდ თანამედროვეობასთან ჰარმონიულად შეხამებული ბიბლიური სიბრძნის გამოყენებით შევძლებოთ ჩვენ ჰეშმარიტი სულიერ-მატერიალური პროგრესის მიღწევას.

ბიბლიური მოძღვრების მიხედვით შემოსავლის მქონე ადამიანმა თავისი სახსრებით შემდეგი საგადასახადო-საფინანსო მოვალეობები და საქმეები უნდა აღასრულოს შეძლებისამებრ:

- 1) პატივი მიაგოს ღმერთს და სახსარი შესწიროს ეკლესის განვითარებას;

- 2) დებმაროს სხვა ადამიანებს, განსაკუთრებით – გაჭირვა-ბულებეს;

- 3) მოიხადოს მოვალეობა სახელმწიფოს და საზოგადოების წინაშე;

- 4) იზრუნოს ღმერთის ქმნილების – ბუნების დაცვა-შენარჩუნებისათვის;

- 5) დაიკმაყოფილოს პირადი და საოჯახო მოთხოვნილებები;

- 6) გამონახოს, შეინარჩუნოს და განავითაროს შემოსავლის წეარო.

ეს სიბრძნე უნდა დაედოს საფუძვლად ყოველი ადამიანის და მთვლი საზოგადოების საქმიანობას ცხოველქმედების ყვა-

და სფეროში, მათ შორის, უპირველესად სამეურნეო და საგადახახადო-საფინანსო საქმიანობაში.

აღნიშნული საგადასახადო და მატერიალური მოვალეობები უფლისმიერად აკისრია ყველას - ცალკეულ ადამიანს, ოჯახს, სამთავრობო, სამეწარმეო თუ არასამთავრობო, არასამეწარმეო ორგანიზაციებს, პარლამენტს, სასამართლოს, მასმედიას, მთლიანად სახელმწიფოს, მის ლიდერებს, მეფეებს, პრეზიდენტებს და ოვით ეკლესიასაც.

სახელმწიფომ, მისმა ორგანიზაციებმა და მმართველებმა, მეწარმეებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ისინი ღმერთის ნების, დაშვების და განჩინებების საფუძველზე არსებობენ და მისგან-კე მოწოდებული არიან იზრუნონ ადამიანის, ერის, საზოგადოების, ქვეყნის და ეკლესიის კეთილდღეობისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში დუხშირი და სულიერად დაცლილი საზოგადოება არც და ვერც უზრუნველყოფს სახელმწიფოს არსებობას, ხოლო უფალი სხვა, ხალხისათვის მზრუნველ მმართველობას და მეწარმეებს მოუვლენს ქვეყანას.

ებრაელთა მეფე, ბიბლიური წინასწარმეტყველი, მეფსალმუნე დავითი, მაშინდელი სახელმწიფო მოხელეები, სამხედროები, მეწარმეები, მთელი ერი მადლიერებით და სიყვარულით სწირავდნენ ღმერთის ნებით მიღებულ ქონებას იმავე ღმერთს და მის ეკლესიას. წმ. დავითი ასე მიმართავს ქვეყნის შემოქმედს და გამგებელს: "შენია, უფალო, დიდება, ძლიერება, ქება, ძლევა და დიდებულება, ისევე როგორც ყოველივე ცაზე და ქვეყანაზე. შენია უფალო, მეფობა, ყველაზე აღმატებული ხარ მთავრად. სიმდიდრე და დიდება შენგან მოდის, შენ განაგებ ყოველივეს, შენს ხელშია ძალა და ძლიერება, შენს ხელშია ყოველივეს განდიდება და განმტკიცება. . . ვინა ვარ მე, ან კი არის ჩემი ერი, ამდენის შემოწირვა რომ შევიძელით? რადგან ყოველივე ეს შენგან არის, ეს ყოველივე შენი ხელით მოცემული შემოგწირეთ. ვინაიდან მდგმურნი და ხიზანნი ვართ შენს წინაშე, ჩვენი მამაპაპის მსგავსად... ახლა კი გახარებულს ქედავ აქ მყოფ შენს ერს, რომელიც შესაწირავს გიძღვნის. ... სამარადისოდ დაიცავი ეს, შენი ერის გულის ფიქრები და

ზრახვანი და შენსკენ წარმართე მათი გულები” (1 ნეშტ. 29, 11-18).

სახელმწიფოსა და მთელი საზოგადოების უპირველესი მოვალეობა სწორედ ღმერთისადმი პატივის მიგება და სულიერების აღმშენებლობაა. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ანგია წინასწარმეტყველის წიგნი, რომლის შინაარსი უაღრესად აქტუალურია დღევანდელი საქართველოსათვის. მასში, სახელდობრ, გატარებულია აზრი, რომ თუ ერთ განცემა უფალს, სარწმუნოებრივად დაკნინდა და არ სურს ტაძრის (როგორც კონკრეტულის, ასევე ზოგადის – ეროვნულ-სულიერი ტაძრის) შენებას შრომა და სახესარი შესწიროს და მხოლოდ პირად კეთილდღურია-გამდიდრებაზე ზრუნავს, იგი სასტიკად ისჯება. ხოლო, თუ აღადგენს დანგრეულ ტაძარს და დაუბრუნდება მამა-პაპათა სარწმუნოებას, მაშინ უფალი მასთან იქნება და ყველაფერში გაამარჯვებინებს.

ანგია წინასწარმეტყველის პირით ღმერთი საყვედურობს მდიდრებს, რომ ისინი კეთილმოწყობილ სახლებში ცხოვრობენ, ხოლო უფლის სახლი და საქმე კი მიგდებული აქვთ. ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: „დაუკვირდით ოქვენს საქციელს. ბეჭრის თესავთ, მაგრამ ცოტასა მკით; ჭამთ, მაგრამ ვერ ძღვით; სვამთ, მაგრამ ვერ იკლავთ წყურეილს; იცვამთ, მაგრამ ვერ თბებით; გახვრეტილი ქისისთვის იღებს მშრომელი შრომის საზღაურს. . . ბეჭრის მოლოდინი გაქვთ, მაგრამ მცირედი გისრულებათ; რაც სახლში მიგაქვთ, იმასაც ვანიავებ, ... იმიტომ, რომ მიგდებულია ჩემი სახლი, ოქვენ კი ყველანი თქვენ სახლებზე ზრუნავთ. ამიტომ არის, რომ დაგიკავათ ცამ ცვარი და მიწამ დაგიკავათ მოსავალი. გამოვიხმე გვალვა მიწაზე, მოქზე, პურზე, ღვინოზე, ზეთისხილზე და ყველაფერზე, რასაც მოწა აღმოაცენებს; ადამიანზე, პირუტყვზე და ყოველივე ნაჭირნა ხულევზე” (ანგ. 1,5-11).

ისმინა ხალხმა ღმერთის ხმა და დაიწყო ტაძრის მშენებლობა, ხოლო უფალი ამხნევებს მას: „გამაგრდი, მთელო ქვენის ერო! ამბობს უფალი, და იშრომეთ, რადგან თქვენთანა ვარ, ამბობს ცაბაოთ უფალი.

... ჩემი სული იმყოფებს თქვენს შორის. ნუ გეშინიათ. . . .
 კიდევ ცოტაც და შევარყევ ცას და მიწას, ზღვასა და ხმე-
 ლეთს. შევარყევ ყველა ხალხს, და ასრულდება ყოველი ხალ-
 ხის საწადელი: დიდებით ავავსებ ამ სახლს, ამბობს ცაბაოთ
 უფალი. ჩემია ვერცხელი და ჩემია ოქრო, ამბობს ცაბაოთ უფა-
 ლი. პირვანდელზე უფრო დიდი იქნება ამ უკანასკნელი სახ-
 ლის დიდება, ამბობს ცაბაოთ უფალი. ამ ადგილზე მოვაუენ
 შევიდობას, ამბობს ცაბაოთ უფალი” (ანგ. 2,4-9).

ამ მცირე მოცულობის წიგნის დაკვირვებული მკითხველი
 ჟამჩნევს, რომ მასში გაძმოცემულია ფუნდამენტური თეოლო-
 გიური მიღებობა ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი, რო-
 გორიც არის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნუ-
 ლი კონცეფცია, რაც ესოდენ აქტუალურია თანამედროვე სა-
 ქართველოსათვის.

საქართველოში დღეს მიმდინარე სულიერი აღორძინების
 პროცესი, ხალხის (განსაკუთრებით – ახალგაზრდობის) მობ-
 რუნება სარწმუნოებისაკენ, ტაძარ-მონასტრების განსაცვიფრუ-
 ბელი მომრავლება, სასულიერო ლიტერატურის ნაკადის საო-
 ცარი ზრდა, ჩვენი დროის სასწაული – წმიდა სამების გრანდი-
 ოზუდი ტაძრის მშენებლობა, ყოველივე ნათლად გვიჩვენებს,
 რომ ვისმინეთ უფლისა და კვლავ დაგადექით მის გზას, რაც
 ჩვენი გადარჩენის, გამარჯვების და დეტივსულიერი პარმონიუ-
 ლი განვითარების საწინდარს წარმოადგენს.

საქართველოს სულიერი აღორძინება და პარმონიული გან-
 კითარების პერსპექტივა ჩვენი ქავენის ჭეშმარიტ უცხოელ
 ჟურნალებსაც უნდა ახარებდეს, ვინაიდან ბიბლიური ისტორი-
 ადნ ცნობილია, რომ თვით წარმართი, ებრაელთა მოსისხლე
 ჰუნების მეფეებიც კი მიაგებდნენ პატივს ჭეშმარიტ, ბიბლიურ
 ღმერთს და მის ეკლესიას. მაგალითად, იერუსალიმის დანგრე-
 ული ტაძრის აღდგენის ხელშეწყობისა და დაფინანსების მიზ-
 ნით სპარსთა მეფე ართახშასთამ (არტაქსერქსემ) გასცა გან-
 კარგულება “... ყველა მეგანძურის მიმართ, რომ რასაც კი
 მოგონიერებული ეზრა, მდგრელი და ცათა დმერთის რჯულის მოძღ-
 ვრი, დაუყონებლივ შესრულდეს. ... ყველაფერი რაც ნაბრძა-

ნები აქვს ცათა ღმერთს, ბეჯითად უნდა გაკეთდეს ცათა ღმერთის სახლისათვის, რათა არ დაატყდეს მისი რისხევა სამეფოს, მეფეს და უფლისწულებს. გაცნობებთ, რომ არც ერთ მდგვდელს და ლევიანს, არც მგალობელს და შეწირულ კარისკაცს ამ დვთის სახლში მომსახურეს, არ დაეკისროს არც ხარკი, არც გადასახადი და არც ბეგარა” (1 ეზრ. 7, 21, 23, 24).

უფრო ადრე სპარსთა მეფე დარიოსს გაუცია განკარგულება ქვეშევრდომთა მიმართ, თუ რა უნდა გაეკეთებინათ იუდას უხუცესებისათვის დვთის სახლის ასაშენებლად: „სამეფო ხაზინიდან და მდინარის გაღმა შემოსავლიდან სასწრაფოდ მიეცეს სახარჯოდ იმ ხალხს, რათა არ შეწყდეს მშენებლობა”, ამასთან, მიეცეს ყოველივე სხვა პროდუქტი იერუსალიმელ მდგდლებს „... ყოველდღიურად, შეუწყევებლივ, რათა შესწიროს სურნელოვანი მსხვერპლი ცათა ღმერთს და ილოცონ მეფის და მისი შვილების სიცოცხლისათვის. ... ღმერთმა, რომლის სახელიც არის იქ დავანებული, დაამხოს ყოველი მეფე და ხალხი, რომელიც ხელს აღმართავს, რომ შესცვალოს ეს, რომ ზანი მიაყენოს ამ დვთის სახლს იერუსალიმში” (1 ეზრ. 6, 8-10, 12).

საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, თუ რა დიდ სახსარს და შრომას გაიღებდნენ ჩვენი მეფეები, ერი და სახელმწიფო სულიერებისა და ზნეობრიობის აღმშენებლობისათვის არა მარტო საქართველოში, არამედ თვით ისრაელში და ქვეთ ნიერების სხვა კუთხეებშიც. ამას ემსახურებოდა, როგორც საქართველოს ოფიციალური საგადასახადო-საფინანსო პოლიტიკა, ასევე ცალკეული ორგანიზაციების და პიროვნებების კეთილი ნება.

სამწუხაროა, რომ დღევანდელ საქართველოში ეს ბიბლიური მოვალეობა და ისტორიული ტრადიცია ჩვენი საგადასახადო-საფინანსო პოლიტიკისათვის მეორეხარისხოვან საგანს წარმოადგენს. ამავე პოლიტიკის უმთავრესი მიზანია გადასახადის ამოღება ნებისმიერი საშუალებით და თითქმის სრულიად არის უგულებელყოფილი ისეთი მნიშვნელოვანი ზნეობრივ-სამეურნეო ფაქტორი, როგორიც გადამხდელთა საერთო სოცია-

ლურ-ეკონომიკური, სამართლებრივი მდგომარეობა და კონკრეტული გადახდისუნარიანობაა. ასეთი გარემოებით თამამდებიან ბიზნეს-ორგანიზაციებიც, რომლებიც, თავის მხრივ, მძარცვა-ლურ ფასებს და ტარიფებს უწესებენ მომხმარებელს.

გულისტკივილით უნდა აღინიშნოს XX და XXI საუკუნეების ალბათ უპრეცედენტო მსოფლიო პარადოქსი: - საქართველოში სხვადასხვაგვარი გადასახადით დაბეგრილია სუბიექტი (პიროვნება, ხაწარმო, ორგანიზაცია), რომლის შემოსავალიც საგრძნობლად ნაკლებია, როგორც ამ სუბიექტის საარსებო მინიმუმზე, ასევე სავალდებულო საგადასახადო თანხის ოდენობაზე. ეს ხდება იმის ფონზე, როდესაც სახელმწიფო ვერ თუ არ უზრუნველყოფს წარმოების განვითარებას, მოსახლეობის დახაქმებას და ბიზნეს-სფეროს გაუმაძღვრობის დაოკებას.

პარადოქსია ისიც, რომ ამ პირობებში მოქმედებს ასევე უპრეცედენტო დირექტივა-განაჩენი გადახდისუნარო, დატაკი გადამხდელის მიმართ: “ უნდა გადაიხადო! თუ არ გადაიხდი – დაიღუპები!” ხოლო ამ დირექტივა-განაჩენის ავტორ-აღმსრულებელი არის ის, ვინც თავად არ თუ ვერ უზრუნველყოფს გააზრებული, ცივილიზებული და ზნეობრივი საგადასახადო-საფინანსო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებას.

კვლავ დავუბრუნდეთ ბიბლიურ მოძღვრებას და ვნახოთ, თუ რას ასწავლის იგი ეკონომიკის მესვეურებსა და სხვადასხვაგვარი გადასახად-ტარიფების დამდგენ-შემკრებებს გადამხდელის ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, იმ ფონზე, როცა საქართველოში გადამხდელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გადახდისუნაროა. ამისათვის განვიხილოთ თეოლოგიური სწავლება შრომის საზღაურისა და დარიბებისადმი დამოკიდებულების შესახებ.

ბიბლიის ტექსტებში განსაკუთრებულად არის ხაზგასმული შრომის დაფასებისა და მუშაკის საზღაურის მნიშვნელობის საკითხი. ბიბლია გვასწავლის, რომ “ . . . ღირსია მაშვრალი თავისი საზღაურისა” (ლუკ. 10,7), ხოლო გასამრჯელოს გადახდის აუცილებლობაზე ნათქვამია: “ნუ დაჩაგრავ მოჯამაგირეს და დარიბ-დატაკს, შენი მომმე იქნება ის თუ შენს ქვეყანა-

ში, შენს კარზე მცხოვრები მდგმური. თავის დროზე გადაუხადე გასამრჯელო და ნუ დაუცდი მზის ჩასვლას, რადგან დარიბია იგი და შენი იმედი აქვს; არ გიჩივლოს უფალთან და ცოდვა არ დაგედოს “(რჯლ. 24, 14, 15); “ნუ შეავიწროვებ შენს თვისტომს, და ნუ გაძარცვავ; ნუ დაიტოვებ დილამდე ქირის კაცის გასამრჯელოს ”(ლევ. 19, 13); “როცა შენი მოძმე გაღარიბდება შენს თვალწინ, და შენ მოგვიდება, მონურად ნუ ამუშავებ. ... ნუ იბატონებ მასზე ძალმომრეობით და: შენი ღმერთის გეშინოდეს ”(ლევ. 25, 39, 43); “დარიბს ნუ წაართმევ, რადგან დარიბია იგი; ბეზავს კარიბჭესთან ნუ დაჩაგრავ; რადგან უფალი გამოესარჩლება მათ და მის მძარცველთა სულს გასძარცვავს ”(იგავ. 22, 22, 23).

უველა ვალდებულია დაეხმაროს და გადაარჩინოს დარიბი ადამიანი. ხოლო უსამართლო, გულქვა, მძარცველ და სასტიკი ადამიანებს ღმერთი ჯეროვან სასჯელს განუმზადებს. ასეთებს არ ასცდებათ უფლის და ერის წყველა (რჯლ. 27, 19) და საუკუნო ცეცხლსა და ვაებას დაიმსახურებენ (იაკ. 5, 3, 4; ებ. 10, 1-3). ასეთი სასჯელის მაგალითები ბიბლიაში უამრავია.

მნელი შესამჩნევი არ არის, რომ განხილული ბიბლიური სწავლება თითქმის სრულად შეესაბამება დასაქმება-ანაზღაურებისა და გადამხდელთა სავალალო მდგომარეობას დღვევანდელ საქართველოში. საგადასახადო და საფასო-სატარიფო პილიტიკის შემმუშავებელ-გამტარებელმა უნდა გააცნობიეროს, რომ გადამხდელთა მასას აუცილებლად ზნეობრივი და პუმანური საზომებით უნდა მიუღებს. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი ეფექტიანი სამეწარმეო და საფინანსო საქმიანობის წარმართვა, გადახდისუნარიანობის ამაღლება, გადასახადუბის წარმართვა, გადახდისუნარიანობის ამაღლება, გადასახადუბის მობილიზება, ბიუჯეტის გაზრდა-განმტკიცება და რეალური სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი.

თეოლოგიური გაგებით, ყოველმა ადამიანმა, ორგანიზაციამ, ერმა და სახელმწიფომ, მათთვის ღვთიებოძებული თავისუფალი ნებისა და გონიერების მეშვეობით უნდა ამოირჩიონ ეკონომიკური და საგადასახადო-საფინანსო საქმიანობის ისეთი გზა, რომელიც ბიბლიური ზნეობრიობისა და პუმანურობის სა-

უფრო გელზე მოაწესრიგებს მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების ღმერთისთვის მოსაწონ ურთიერთშეხამებას, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების ღვთივსულიერ პარმონიულ განვითარებას.

სარწმუნოებრივ საფუძველზე დამყარებულ სამეურნეო საქმიანობას შეისწავლის და წარმართავს სათანადო სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინა – თეოლოგიური (ქრისტიანული) ეკონომიკა, რომელსაც აქვს თავისი კვლევის საგანი, მიზანი, ამოცანები, პრინციპები, მეთოდები და ა.შ.

თეოლოგიური ეკონომიკა საღვთისმეტყველო-ეკონომიკური სახითის დისციპლინაა. იგი შეისწავლის სამეურნეო პროცესებში ადამიანის და საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო ნივთიერი და არანივთიერი ღოვლათის შექმნის და გამოყენების გრონივრულ გზებს ღვთივდადგმნილ იმ ზნეობრივ საფუძველზე, რომელიც ადამიანის და ერის საუკუნო ნეტარებას უზრუნველყოფს. თეოლოგიური ეკონომიკა არის სამეურნეო და საგადასახადო-საფინანსო საქმიანობის თურიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი, რომლის პრაქტიკული რეალიზაცია უზრუნველყოფს ცალკეული ადამიანის, საზოგადოების და სახელმწიფოს და კაცობრიობის ღვთივსულიერ პარმონიულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

უდიდესი ბიბლიური მცნებით, ადამიანის და საზოგადოების მოღვაწეობა, სახელმობრ, ეკონომიკური და საგადასახადო-საფინანსო საქმიანობა სიყვარულის უზენაეს გრძნობას უნდა ეფუძნებოდეს. ამასთან დაკავშირებით, ა. გლაგოლევი წერს, რომ ქრისტიანული ეკონომიკის უმთავრესი მიზანია სიყვარულზე დაფუძნებული მეურნეობის დამკვიდრება [12, გვ. 65]. ა. რიხი მრავალგზის აღნიშნავს, რომ ადამიანის ნებისმიერ საქმიანობაში უმთავრესია ქრისტიანული პუმანურობა (რწმენა, იმედი, სიყვარული). ადამიანის სიყვარულის აუცილებლობის პრინციპი „სამართლიანია არა მხოლოდ უშუალო პიროვნული, არამედ ინსიტუციონალურ-განზოგადებული ურთიერთობებისთვისაც, მათ შორის – ეკონომიკური სისტემების შიგნით“ [5, გვ. 416].

თეოლოგიური ეკონომიკის უმთავრესი პრინციპია – ფასეულობათა (მათ შორის ფულის, ქონების, სიმდიდრის) პუმანურობით, სიმართლით (დვოივდადგენილი ზნეობით) მოპოვება და სიკეთეში გამოყენება.

ეკონომიკური საქმიანობის თეოლოგიურ-ზნეობრივი და პუმანისტური აღქმა მიგვითითებს ფულის, გადასახადებისა და ფინანსების ტრადიციული ფუნქციების ბიბლიური პოზიციებიდან გააზრების აუცილებლობაზე. სახელდობრ, ყოველი მათგანის უმთავრესი ფუნქცია, ჩვენი აზრით, უნდა მდგომარეობდეს მათ მიერ სიყვარულის და ზნეობრიობის საზომის განხორციელებასა და ხორციელი და სულიერი საწყისების დვოივსულიერი პარმონიული ურთიერთშეხამების მოგვარებაში.

საგადასახადო-საფინანსო საქმისათვის ფუძემდებლურს და სავალდებულოს წარმოადგენს იქსო ქრისტეს სწავლება: „მა-აგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმრთისა“ (მათ. 22, 21), რომელ შიც ასახულია გადასახადების უმთავრესი ფუნქციაც და ზნეობრივი ნორმაც. კეისრის (ხელისუფლების) მსახურება ხელს არ უნდა უშლიდეს ღმერთის ჭეშმარიტ მსახურებას და ზნეობრიობის აღსრულებას. ამ გარემოებას გადასახადების დამდგენამკრევიც და გადამხდელიც აუცილებლად უნდა ითვალისწინებდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში კოლიზიები გარდაუვალია. ამის შესახებ წმ. იოანე ოქროპირი ამბობს: „ხოლო შენ, კაცო, ოდეს გესმას, თუ: “ მიეცით კეისრისაი კეისარსა”, უწყოდე ვითარმედ მათ საქმეთა იტყვის მიცემად კეისრისა, რომელი ღმრთისმსახურებასა არა ავნებენ, ვითარ არს ხარკი ანუ ზუერი, გინა თუ ესევითარი რაიმე. ესე არიან კეისრისანი. ხოლო უკუეთუ ესევითარსა რასმე ეძიებდეს კეისარი (რომელ არს მეფე), რომელ სულისა საენებელ იყოს და ღმრთისგან განმყოფელ, არა ჯერ-არს მორჩილებაი. უკუეთუ ესევითარსა რასმე ზედა ვჰმორჩილობდეთ, არა კეისრისაი არს იგი საქმე, არამედ ეშმაკისა ხარკი არს და ზუერი ესევითარი იგი“ [13, გვ. 259].

გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური რეფორმების წარმატებისა და საქართველოს შემდგომი წინსვლისათვის აუცილებელია ბიბლიური და რელიგიურ-ეთიკური პოზიცია.

ებიდან გავიაზროთ საზოგადოების განვითარების კანონზომიერები. დღის წესრიგში დგას ქართული ტრადიციული მსოფლიერებისაკენ შემობრუნება და თანამედროვეობასთან პარმონიულად შეხამებული თეოლოგიური

ეკონომიკური აზროვნებისა და შესაბამისი სამეურნეო საქმიანობის განვითარება. სწორედ ასეთ საძირკველს ეფუძნებოდა საუკუნეების მანძილზე ჩვენი საზოგადოებრივი და სამეურნეო ყოფა, რამაც ისტორიულ ქარტებილებში ფიზიკურ გადარჩენასთან ერთად, თავის დროზე, მსოფლიოში მოწინავე და თვითმეფიადი ეკონომიკური კულტურის ერადაც წარმოგვაჩინა.

ამის შესახებ წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) წერდა: „უეჭველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიკური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იყი გასძღვილია ამოდენა ვაი-ვაგლახესა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში. აი, საგანი ლირს შესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალ-წინ ჰქონდეს ჩვენს ეხლანდელს მეისტორიეს, ამ საგანზედ რომ უეჭველი აასუხი მოგვცეს ვინმე, ბევრს ნათელს მოპოვენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნაოებდა” [14, გვ. 176], „... წარსული - მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ... ეს სამთა უამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი. ... აღდგენა ისტორიისა - ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან” [15, გვ. 200, 204], ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა: ერთს რომ ხორცისათვის მოაქეს საზრდო, მეორეს - სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე, - გვამი ერისა მკვდარია, ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული, სააქაოსათვის მაინცა. ამიტომაც, ვნცა სწივის და პლატადებს სახორციელო პურისათვის, ის პლენადვე, თუ არ მეტად, უნდა იღწვეოდეს სასულიერო პურისათვისაც. ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ

კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი” [16, გვ. 342].

ჩვენი დრმა ოწმენით, სწორედ ასეთ გააზრებას უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფცია, რომლის ბაზაზეც წარიმართება მიზანდასახული და მაღალზნეობრივი სამეურნეო საქმიანობა მთელი თავისი მრავალფეროვნებით, მათ შორის ისეთ უმნიშვნელოვანებს სფეროში, როგორიცაა საგადასახადო-საფინანსო საქმიანობა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებლად მიგვაჩნია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ საქართველოს პარმონიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და, კონკრეტულად, საგადასახადო-საფინანსო სისტემის რადიკალური სრულყოფისათვის აუცილებელია მუშაობის გაშლა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- უმცემდებლური საღვთისმეტყველო, სოციალური და ეკონომიკური დოგმების, პარადიგმების, კონცეფციების, დებულებების და პრინციპების შეხამბული გამოყენება;

- საქართველოს ეკონომიკური განვითარების ისტორიული ასპექტების სიღრმისეული - გააზრება. საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობრიობის გამოცდილების შესწავლა-გამოყენება;

- თანამედროვე მსოფლიოს უახლესი სოციალურ-ეკონომიკური კონცეფციების (თეოლოგიური ეკონომიკა, ნეოეკონომიკა, მეტაეკონომიკა, მდგრადი განვითარება და სხვ.) და პროგრესული სამეურნეო პრაქტიკის სათანადო შესწავლა და გამოყენება;

- პარმონიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი დვოივდადგენილი პარადიგმების („წარსული-აწმყო-მომავალი”; „ენა, მამული, სარწმუნოება”; „სხეული - უფლისათვის და უფალი - სხეულისათვის”) სიღრმისეული შესწავლა;

- საქართველოში მთელი საზოგადოებრივ-სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური თეოლოგიურ-სოციალურ-ეკონომიკურ-ეთიკური ანალიზის ჩატარება;

- აღნიშნულის საფუძველზე საზოგადოების პარმონიული დვოთივსულიერი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის და შესაბამისი პროგრამის შემუშავება;

- ეროვნული მეურნეობის ყოველი ცალკეული სფეროსათვის (მათ შორის, საგადასახადო-საფინანსო სისტემისათვის) სათანადო სამოქმედო ეროვნული ქვეპროგრამების შემუშავება და განხორციელება.

ბიბლია გვასწავლის:

- „უფალი იძლევა სიბრძნეს და მის ბაგეთაგან არის ცოდნა და შეგნება” (იგავ. 2, 6);

- „ესავდე უფალს მთელი გულით და ნუ დაენდობი საკუთარ ჭკეას. შეეცადე მის შეცნობას ყოველ შენს გზაზე და ის გაგისწორებს სავალს” (იგავ. 3, 5, 6);

- „კაცს ღმერთი აძლევს ქონებასა და სიმდიდრეს და იმის შენსაც, რომ მოიხმაროს, მიიღოს წილი და გაიხაროს თავისი შრომით; ეს ყველაფერი დვთის წყალობაა” (ეპლ. 5, 18);

- „სიბრძნეც დაიფარავს კაცს და უულიც დაიფარავს, მაგრამ სიბრძნე უპირატესია; მის მფლობელს აცოცხლებს” (ეპლ. 7, 12);

- „ბედნიერია ის კაცი, ვინც პპოვა სიბრძნე და ვინც გონიერება შეიძინა! რადგან მისი შეძენა სჯობს ვერცხლის შეძენას და მისი მოსავალი – ხალას ოქროს” (იგავ. 3, 13, 14);

- „დიდებას დაიმკიდრებს ბრძენი ხალხი, უგუნურები კი სირცევილს წაიღებუნ” (იგავ. 3, 35).

ღმერთი თავისი არსით – სრულყოფილებაა (მათ. 5, 48), მისი ნებაც ასევე კეთილი, სათხო და სრულყოფილია (რომ. 12, 2). ასეთივე თვისობრივი მდგომარეობისაკენ მოუწოდებს უფალი ყოველ ადამიანს, ყველა ერს: „იყავით თქვენ სრულქმნილი, როგორც სრულქმნილია მამა თქვენი ზეციერი” (მათ. 5, 48). ასეთი მდგომარეობის მიღწევა უნდა იყოს ყველა ჩვენგანის და მოელი ქვეყნის უმთავრესი მიზანი ჩვენი ნებისმიერი საქმიანობის და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში. ამ მიზნის მისაღწევად კი საჭიროა „განვწმინდოთ ჩვენი თავი ხორცისა და სულის ყოველგვარი ბიწისაგან” (2 კორ. 7,1).

ბიბლიური სწავლებით ადამიანის სხეული ტაძარია მასში დამკვიდრებული სულიწმიდისა, რომელიც ღმერთისგან გვაქვს და არ გვეკუთვნის ჩვენ, ამიტომ უნდა ვადიდოთ ღმერთი ჩვენი სხეულით და ჩვენი სულით, რომელიც არიან ღმრთისა (1 კორ. 6, 19, 20).

ჩვენს მიზანსწრაფვათა უზენაეს კრიტერიუმად უნდა იქცეს პავლე მოციქულისეული მოწოდება: „სხეული – უფლისათვის და უფალი – სხეულისათვის“ (1 კორ. 6, 13).

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სრულყოფილი, უუნდამენტური კონცეფციის და შესაბამისი, ყოვლისმომცველი პროგრამის გარეშე საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა და წინსელა შეუძლებელია. ასეთი დოკუმენტების შექმნისათვის კი საჭიროა ყველა დაინტერესუ-ბული მაღალკალიფიციური სპეციალისტის და ავტორიტეტული ორგანიზაციის ერთობლივი, მიზანსწრაფული შრომა ზე მოთ გადორცემული ძირითადი მიმართულებებით.

ყოველმხრივ გააზრებული, ბიბლიურ სწავლებაზე დამყარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის და შესაბამისი სამთავრობო პროგრამის შემუშავება-განხორციელება შექმნის მყარ გარანტიას საქართველოს რეალური საზოგადოებრივი პროგრესისათვის და გლობალურ სისტემაში მისი ჰეშმარიტი მისის დადგენისა და ღირსეული ადგილის დამკვიდრებისათვის.

ლიტერატურა:

1. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა. თბილისი, 1989.
2. Программа действий. Повестка дня на XXI век. Сост. М. Китинг. Женева, 1993.
3. M. Stackhouse, D. McCann, S. Roels, P. Williams. On Moral Business. Classikal and Contemporary Resources for Ethics in Economic Life. Michigan, 1995.

4. S. Rae, K. Wong. Beyond Integrity. A Judeo – Christian Approach to Business Ethics. Michigan, 1996.
5. А. Рих. Хозяйственная этика. Пер. с нем. Е.Довгань.Франкфурт на майне, Москва, Посев, 1996.
6. Основы социальной концепции Русской Православной Церкви. Москва, 2001.
7. ქონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ოკუროვალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. საპატრიარქოს უწყებანი, № 42, 18-24 ოქტომბერი, 2002წ.
8. Мы верим. Говорят современные учёные о вере в Бога. Москва, 1988.
9. Библия опережает науку на тысячи лет. Ред. В. Губанов. Москва, 1996.
10. Библия и наука. Ред. П. Харчлаа. Ашфорд. США.
11. А. П. Лопухин. Библейская история Ветхого Завета. Т.1, СПб, 1889, Москва, 1998.
12. А.Глаголев. Христианская экономия в свете насущных задач экономической реформы в России. Вопросы экономики, 1993, № 8.
13. წმინდა იოანე თქმუბირი. თარგმანებანი მათეს სახარებისა. თარგმანი წმ. ეფთვიძე მთაწმინდელისა. წიგნი III, თბილისი, 1998.
14. ი. ჭავჭავაძე. ძველი საქართველოს ეპონომიური წყობის შესახებ. თხ. ტ. 4. თბილისი, 1955.
15. ი. ჭავჭავაძე. ერი და ისტორია. თხ. ტ. 4. თბილისი, 1955.
16. ი. ჭავჭავაძე. შინაური მიმოხილვა 1895 წლისა. თხ. ტ. 5. თბილისი, 1955.

BIBLICAL PERCEPTION OF NATIONAL CONCEPTION OF SOCIAL AND ECONOMIC DEVELOPMENT AND TAX AND FINANCE ACTIVITIES

Giorgi Shikhashvili

Tbilisi State University

2, University str., 0102, Tbilisi, Georgia

Summary. The paper covers the following basic issues: Biblical teaching about economic and tax and finance activities; main theological-economic themes being researched by contemporary foreign scientists and organizations; principle moments of the Constitutional Agreement signed up between the state of Georgia and Orthodox Church of Georgia; UN sustainable economic development conception's principle resolutions about the role of native population and local traditions in social-economic activities; considerations about an essence of theological (Christian) economy; considerations about theological-historic paradigms of national conception of social-economic development of Georgia. Suggestions about main directions of the work necessary for the creation of such conception.

It's concluded that elaboration and implementation of fundamentally considered, on Biblical teaching based national conception of social/economic development and appropriate state program will create sound guarantee for real social progress of Georgia, determine its true mission and establish its worthy place in the global system.

1. Аналитика ведущих международных институтов. № 1. 1989.
2. Дорогами этической философии. Ред. А. Альберт, С. Г. М. Келлер. Книга. 1993.
3. M. Slackhouse, D. McCann, S. Roots, P. Williams. On Moral Business. Classical and Contemporary Resources for Ethics in Economic Life. Michigan, 1995.

БИБЛЕЙСКОЕ ОСМЫСЛЕНИЕ НАЦИОНАЛЬНОЙ КОНЦЕПЦИИ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ И НАЛОГОВО-ФИНАНСОВОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ

Шихашвили Георгий

Тбилисский Государственный университет
им. Ив. Джавахишвили

Тбилиси, 0102, ул. Университетская 2

Резюме. В статье рассмотрены следующие основные вопросы: Библейское учение о хозяйственной и налогово-финансовой деятельности; основная теолого-экономическая тематика, над которой работают современные иностранные учёные и организации; основные моменты Конституционного соглашения между Грузинским государством и Православной Церковью Грузии; основные положения Концепции устойчивого развития ООН, касающиеся роли коренного населения и местных традиций в социально-экономической деятельности; соображения автора о сущности Теологической (христианской) экономики; соображения автора о важнейших теолого-исторических парадигмах Национальной концепции социально-экономического развития Грузии; предложения автора об основных направлениях работы по созданию такой Концепции.

Сделано заключение о том, что разработка и осуществление всесторонне осмысленной, основанной на Библейском Учении Национальной концепции социально-экономического развития Грузии и соответствующей правительственный Программы создаст прочную гарантию для реального общественного прогресса Грузии и установления её истинной миссии и достойного места в глобальной системе.

სახელი აპტორთათვის

1. უკრნალში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე – გეონომიის სერია, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე ქვეყნდება სტატიები, რომელებიც შეიცავენ ინფორმაციას თანამედროვე ეკონომიკური მიმართულებების თეორიული და პრაქტიკული პლევების შედეგების შესახებ. პერიოდულად იბეჭდება რეცენზიები, აგრეთვე კონფერენციების, სხდომების და სხვა სამეცნიერო-ორგანიზაციული ღონისძიებების ქრონიკები.
2. რედაქციაში გამოგზავნილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში კი – უკვდა თანაავტორის მიერ, სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტკბლურის, ფაქტის, ლექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატიის მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, რეზუმე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე არ უნდა აღემატებოდეს კომპიუტერზე ნაბეჭდი ტექსტის 12 გვერდს, რომელიც დაბეჭდილია 15 ინტერვალით.
4. ლიტერატურის დასახლება უნდა მოთავსდეს სტატიის ბოლოს ერთიანი ხილის სახით.
5. წიგნებისათვის უნდა დავიცვათ შემდეგი თანმიმდევრობა: ავტორის გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, ტომი, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი.
6. საფურნალო სტატიისათვის – ავტორის გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, უკრნალის დასახელება, წელი, ტომი, ნომერი (გამოშება).
7. ლიტერატურის ნომერი საში შეესაბამება ტექსტში მათი მოხსენიების რიგს. ტექსტში ლიტერატურის დასახლებისას უნდა აღინიშნოს მისი რიცხოვი (მაგალითად, [3]). ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის ბიბლიოგრაფიული აღწერა ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს წიგნის (უკრნალის) სატიტულო უზრუნველყოფით.
8. უკრნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსელის რიგის მიხედვით. თუ რედაქცია დაბრუნებს სტატიას გადასამუშავებლად, სტატიის წარმოდგენის თარიღად ითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი. კრთ ნომერში შეიძლება მოცემული ავტორის მხოლოდ ერთი სტატიის გამოქვეყნება.
9. სტატია ეჭვემდებარება რეცენზირებას. სტატიის გამოქვეყნებაზე უარის თქმის შემთხვევაში რედაქცია უფლებას იტოვებს ის არ დაუბრუნოს ავტორს.
10. სტატია, რომელიც არ ასუხობს ზემოთ მოყვანილ პირობებს, რედაქციის მიერ არ მიიღება.

INSTRUCTION TO AUTHORS

1. The journal *Proceedings of the Georgian Academy of Sciences – Economic Series* publishes papers in Georgian, Russian and English, which includes the results of theoretical and applied research in leading trends of modern economic sciences. Periodically published reviews, chronicles of conferences, meetings, seminars.
2. An original paper sent to editorial board must be signed by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and e-mail.
3. Volume of the paper, list of references and summary in Georgian, Russian and English should not exceed 12 lines, printed by computer with 1.5 spacing.
Two copies of paper with electronic version (MS Word, font – Times New Roman) should be sent to the publisher.
4. Literature is listed as a general list at the end of the paper in the following order:
Books: 1-st, 2-nd and 3-rd names of the author, title of the book, place of publication, publishing house, year.
Journal papers: 1-st, 2-nd and 3-rd names of the author, papers title, year of publication, volume, issue. Literature is listed following the sequence of references in the text of the paper. References in the text of an article are given in parentheses. A bibliographic description of each title in the list of literature must correspond strictly to the title page of a book, or a journal.
5. Papers are published in succession of their receiving by the editorial staff. If a paper is sent back to the author for revision, the date of receiving the final text is regarded as the date of submission for consideration.
6. In case of a refusal to publish the paper, the editorial staff reserves the right not to return it to author.
7. The paper not meeting these requirements is not taken for consideration.

ПРАВИЛА ДЛЯ АВТОРОВ

1. В журнале *Известия Академии наук Грузии – серия экономическая* публикуются статьи на грузинском, русском и английском языках, в которых содержатся результаты исследований теоретического и прикладного характера по ведущим направлениям современной экономической науки. Периодически публикуются рецензии, хроника о конференциях, совещаниях, семинарах и других научно-организационных мероприятиях.
2. Направленный в редакцию оригинал статьи должен быть подписан автором, а в случае соавторства – всеми соавторами, с указанием фамилии, имени, отчества, места работы, ученоей степени и звания, полного почтового адреса и телефонов, факсов электронной почты.

3. Объем статьи, список использованной литературы, резюме на грузинском, русском и английском языках, не должны превышать 12 страниц, набранного на компьютере 1,5 интервалом.

Статьи представляются в редакцию в двух экземплярах, в месте с электронной версией (MS Word, шрифт – Times New Roman).

4. Литература приводится в конце статьи общим списком в следующем порядке:

Книги: Фамилия и инициалы автора. Название книги. Том. Место издания, издательство, год.

Журнальные статьи: Фамилия и инициалы автора. Название статьи. Название журнала, год, том, номер (выпуск).

Список литературы составляется в порядке упоминания работ в статье. Ссылки на литературу в тексте даются в квадратных скобках (например, [3]). Библиографическое описание каждого названия в списке литературы должно строго соответствовать титульному листу книги (журнала).

5. В журнале статьи публикуются в порядке поступления в редакцию. В случае возвращения автору статьи для доработки, датой представления считается день получения редакцией окончательного текста. В одном номере журнала может быть опубликована только одна статья одного и тог же автора.
6. Статьи рецензируются. В случае отклонения статьи редакция оставляет за собой право не возвращать ее автору.
7. Рукописи, не отвечающие настоящим правилам, редакцией не принимаются.

ВОЛОГДА ГИДАНИЧИ

2
1039
04.03.2003
308-2470000

CONTENTS

Vladimir Papava, Vepkhia Chocheli	146
Formation of "The New Three-Poles World Currency System" and Georgia	
Mirian Murjikneli	156
Budget and Health Reform in Transitional Economy	
Anzor Abralava	169
Sustainable and Safe Development	
of National Economy in the Epoch of Globalization	
Jakhangir Gadjev	188
Conceptual Foundations for the Formation of the Bank of National Development	
Iza Natelauri	205
Foreign Trade Models and their Role in Achieving Macroeconomic Equilibrium	
Vajha Kakabadze	217
Nontariff Regulation of Foreign Trade	
Natalia Achelashvili, Marina Achelashvili	232
Peculiarities of Economic and Ecological Policies in Nature Management of Georgia	
Lily Gvenetadze	246
Some Problems of Budget Management in the Post-Communist Countries (Lessons from Georgia)	
Giorgi Shikhashvili	274
Biblical Perception of National Conception of Social and Economic Development and Tax and Finance Activities	

გვერდი
VOLUME 11
TOM

2003 № 3

76196